

კარგად დაფიქრდით მომავალ არჩევნებზე
A3



"თქვენი აფხაზეთი"
A8



ვისაც გვჭერა, გაგვატარეთ!
A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 2005 წელი. №255 (1115) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ძველი თბილისის ახალი შესაძლებლობები

გუშინ თბილისის მერიამ და "ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წარმომადგენლებმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" პროექტ "ძველი თბილისის ახალი შესაძლებლობების" პრეზენტაცია გამართეს.

A2

## ამბები

### თბილისის მერი მთაწმინდის პარკის პროექტით აღფრთოვანებულია

მთაწმინდის განახლებული პარკი 2007 წლის 26 მაისს ამოქმედდება. ამის შესახებ ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა გუშინ თბილისის მერიაში განაცხადა.

A2

## ამბები

### საგადასახადო ცვლილება ადგილობრივ ბიუჯეტებს ამცირებს

მომავალი წლიდან თბილისის ბიუჯეტი დაახლოებით 150 მილიონი ლარით მცირდება. ამას საგადასახადო კოდექსში შეტანილი ის ცვლილება იწვევს, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადი 2006 წლიდან, ადგილობრივის ნაცვლად, მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება.

A2

## ამბები

### ქართული კონსტიტუციონალიზმის სამოყვარულო დონე

საქართველოში 2003 წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობას დიდი იმედები ჩაუსახა, შეიცვალა ხელისუფლება, შეიცვალა მისდამი დამოკიდებულებაც. ბევრი რამ თვალშისაცემი გაკეთდა და კეთდება. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. მაგრამ ის, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ შეფასებას საჭიროებს.

B2

## ამინდი

| | 16/11 | 17/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 16 |
| ტყიბული | 18 | 18 |
| სოხუმი | 17 | 17 |
| გორი | 12 | 12 |
| ონი | 11 | 11 |
| ზუგდიდი | 20 | 20 |
| ახმეტა | 12 | 15 |
| სამტრედია | 20 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.1112 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1366 |
| რუბლი | 0.0624 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| თვალსაზრისი | B 2 |
| თვალსაზრისი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# „კოსოვოს პრეცედენტის" მოლოდინში

### აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ბედი ბალკანეთში წყდება?

*კოსოვოს სტატუსზე მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დაიწყება. ბალკანეთის ამ ცხელი წერტილის მომავალი შესაძლოა პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მოგვარების მოდელზეც აისახოს. დღის წესრიგში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება დადგა. რას მოუტანს ეს პრეცედენტი საქართველოს? რას უნდა ელოდოს ქვეყანა, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ცდილობს?*

დიმიტრი ავალიანი

"ჯერ - სტანდარტები, შემდეგ - სტატუსი" – გაერო-ს უშიშროების საბჭოს 24 ოქტომბრის სხდომაზე ამ ფორმულამ, რომელიც თავიდანვე დაედო საფუძვლად ამ სისხლიანი კონფლიქტის მოგვარებას, ოდნავ სახე იცვალა, და ამჯერად კოსოვოსაგან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვას ისე დაჟინებით აღარ მოითხოვენ. "სტანდარტები და სტატუსი – ორი პარალელური პროცესი" – ასე ჟღერს უშიშროების საბჭოს წევრთა ახალი ხედვა, რომლის საფუძველზეც მწვანე შუქი აენთო მსჯელობას რეგიონის მომავალი სტატუსის შესახებ.

1999 წელს, იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ კოსოვოში ჯარების შეყვანის შემდეგ, რასაც ალბანური მოსახლეობის მსხვერპლი და დევნილობა მოჰყვა, ნატო-ს ჯარებმა იუგოსლავიაზე იერიში მიიტანეს. სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმმა ზეწოლას ვერ გაუძლო და კოსოვოს დატოვებას დათანხმდა. იმ დროიდან რეგიონს საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტი აკონტროლებს, ხოლო მმართველობას გაერო-ს დროებითი ადმინისტრაცია ახორციელებს. თუმცა, ამგვარმა სტატუსმა ვერ დაიცვა რეგიონის სერბული მოსახლეობა, რომლის უმრავლესობამაც კოსოვო დატოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეკონომიკურ აყვავებამდე გასაკეთებელი ბევრია

### ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოში ჩამოვიდა

ნინო ნარჩემაშვილი

*გუშინ საქართველოში ჩამოვიდა სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ორგანიზაციის - "case ვარშავის" დამფუძნებელი და პოლონეთის "ეკონომიკურ სასწაულად" შერაცხული პროგრამის ავტორი, ამჟამად კი პოლონეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ლეშეკ ბალცეროვიჩი. მისი ვიზიტი ოთხდღიანია და 19 ნოემბრამდე გასტანს.*

ვიზიტის ფარგლებში ლეშეკ ბალცეროვიჩი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს. სასტუმრო „თბილისი მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში კი გაიმართება სემინარი, რომელზეც პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარდგება მოხსენებით - „გარდამავალი ეკონომიკის გაკვეთილები".

გაგრძელება A3 გვერდზე



ლეშეკ ბალცეროვიჩი: "ევროკავშირში შესასვლელად აუცილებელია ეკონომიკური აყვავება".

# პაუზა ისტორიაში

მაია ჭალაგანიძე

*იკვლევს თუ არა ვინმე ამ ქვეყანაში სოციალურ ფონს – ქრება თუ მკვიდრდება საშუალო ფენა, მზარდია თუ არა სოციალური უკმაყოფილება. ანდა, იკვლევს თუ არა ვინმე ხელისუფალთა ფსიქოლოგიას. ზოგი მათგანი პირდაპირ სასწავლებლიდან მოვიდა, ზოგი – არასამთავრობო სექტორიდან, ზოგი ძველი მთავრობიდან გადმობარგდა. მათ ჰქონდათ გარკვეული ცოდნა დემოკრატიაში. დღეს მათ არ ჰყოფნით გამბედაობა, შეეწინააღმდეგონ არადემოკრატიულ გადაწყვეტილებებს, იტანენ პრეზიდენტის საჯარო დატუქსვას. გულწრფელობა, ენერგია, ხალხთან ახლოს ყოფნა, ცოტა აგრესია და ძალა – ეს იყო ნოემბრის გამარჯვების თანმდევი თვისებები, რომლითაც გამსჭვალული იყო ხალხიც და მაშინდელი ოპოზიციაც. აწ ბევრი მათგანი ხელისუფლებაშია და ამ თვისებებს გამოაკლდა გულწრფელობა, ხალხთან ახლოს ყოფნა. დარჩა ენერგია, რომელიც ზოგჯერ არასწორად მიემართება, აგრესია, რომელიც გადაწყვეტილებებში იგრძნობა და ძალა, რომელსაც დაემატა სიტყვა - უფლება. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის პოლიტიკური კრიზისი თუ არის დემოკრატიის კრიზისი? ამის გასარკვევად სტუმრად მოვიწვიეთ ზაზა შათირიშვილი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფოსი, კულტუროლოგი, რომელიც მუშაობს ლიტერატურის ინსტიტუტში და თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან.*



ზაზა შათირიშვილი.

გაგრძელება B1 გვერდზე

# სასიკვდილო განაჩენი სასამართლოს გარეშე

**"ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება"**

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი*

**"სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი"**

*საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, პუნქტი 1*

სოფიკო ჩხაიძე

11 ნოემბერს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ სპეცოპერაციის დროს ერთ-ერთი მძარცველის - 18 წლის ლევან გულუას ლიკვიდაციის გამო, თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების მუხლით აღიძრა. გამოძიება კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იარაღი, რომელიც, პოლიციის მტკიცებით, ლევან გულუას აღმოუჩინეს, ბალისტიკურ ექსპერტიზაზეა გაგზავნილი.

თავისთავად საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის ტერმინი - "აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება". იმავე კოდექსის თანახმად, მკვლელობა, ჩადენილი "აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით" სამართლებრივად არცთუ მძიმედ არის შეფასებული – ორ წლამდე გამასწორებელ სამუშაოს, სამ წლამდე თავისუფლების შეზღუდვას ან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სამაგიეროდ, არასამართლებრივი, ასე ვთქვათ, სამოქალაქო კუთხით თუ შეხედავთ, ბუნებრივად იბადება კითხვა - თუ მავანი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადასცილდა, ანუ არ იყო აუცილებელი და ადამიანი მოკლა, რა ნიშნით არ არის იგი ჩვეულებრივი მკვლელი?

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოპოზიცია ცაიტნოტში იბრძვის

### როგორ თვითმმართველობას მივიღებთ?

*როგორც მოსალოდნელი იყო, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტმა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი არ მიიღო, თუმცა, ოპოზიციას საკუთარი ვარიანტის გადარჩენის შანსი მაინც მისცა.*

ნანა ქადაგიშვილი

თუკი საპარლამენტო ოპოზიცია იმარჯვებს, მომავალ კვირას პლენარულ სხდომაზე, შეიძლება, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ორი ვარიანტი გავიდეს: ერთი, სახელისუფლებო, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის ინიციატივით, და მეორე, საინიციატივო ჯგუფის (არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის) მიერ მომზადებული ვარიანტი, "დემოკრატიული ფრონტისა" და "მემარჯვენეების" ინიციატივით.

ორი კვირის წინათ ოპოზიციას იმისი იმედიც არ ჰქონდა, რომ არასამთავრობოთა მიერ მომზადებული კანონპროექტი რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში დღის სინათლეს იხილავდა, არათუ პლენარულ სხდომაზე განხილვის შანსი მიეცემოდა. კანონპროექტის სახელისუფლებო ვარიანტი კომიტეტმა ორი კვირის წინათ მიიღო და მისი ალტერნატიული ვარიანტების განხილვა, თავიდან, კატეგორიულად იუარა. ალტერნატივა თუ გქონდათ, ადრე უნდა წარმოგედგინათო, უარის მიზეზი ასე განმარტა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა. თუმცა, ოპოზიცია კომიტეტს იქით ადანაშაულებს: **"არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მომზადებული კონცეფცია კომიტეტს, კარგა**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ტურნე აზიაში

*ახალი ზესახელმწიფოს დაბადების შიში ამერიკას მოსვენებას არ აძლევს. ჯორჯ ბუში აზიაში ვიზიტით ოფიციალურ პეკინზე ზეგავლენის მოხდენას შეეცდება, თუმცა, კომუნისტური ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდა უკვე შეუქცევადი პროცესია. ჩინეთმა ახლო მომავალში, შესაძლოა, აშშ-ს მსოფლიოს ერთადერთი ჰეგემონი ქვეყნის სტატუსი ჩამოართვას.*

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის რვადღიანი აზიური ტურნე ორშაბათს დაიწყო. ვიზიტის ფარგლებში ჯორჯ ბუში იაპონიას, სამხრეთ კორეას, ჩინეთსა და მონღოლეთს მოინახულებს.

ამერიკელი ლიდერი თავის აზიელ კოლეგებთან მოლაპარაკებებისას ყურადღებას მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის ქათმის გრიპის საკითხსა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მოგვარებაზე გაამახვილებს.

ჯორჯ ბუშის პირველი გაჩერება, ბუნებრივია, აშშ-ს ყველაზე ერთგული მოკავშირე იაპონია იყო. პრეზიდენტის თვითმფრინავი გუშინ დილით, თავდაპირველად ოსაკაში დაეშვა, მოგვიანებით აშშ-ს ლიდერის დელეგაცია ქვეყნის ძველ დედაქალაქ კიოტოში გაემგზავრა. იქ თეთრი სახლის წარმომადგენელი, სპეციალურად მისი ვიზიტისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებაზე დასწრების შემდეგ, იაპონიის პრემიერ-მინისტრს ძუნიტირო კოიძუმის შეხვდა. თეთრი სახლის ხელმძღვანელმა იაპონელ პოლიტიკოსებს აზიის მომავალი განვითარების თაობაზე აშშ-ს პოზიცია გააცნო.

ჯორჯ ბუშმა თავის გამოსვლაში იაპონიას, სამხრეთ კორეას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას დემოკრატიული ქვეყნები უწოდა და სხვა აზიურ სახელმწიფოებს დემოკრატიის საკითხში დასახელებულ ქვეყანათა მიბაძვისკენ მოუწოდა. საგულისხმოა, რომ ჯორჯ ბუშის ეს სიტყვები უშუალოდ ჩინეთის მისამართით იყო ნათქვამი.

აღნიშნულ ფაქტს ამერიკელი დამკვირვებლები ოფიციალური ვაშინგტონის სტრატეგიულ შეცდომად მიიჩნევენ. **"ჩინეთი დღეისთვის ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ფრთხილად და დელიკატურად უნდა მოექცე. პოლიტიკოსებმა მასთან ურთიერთობისას მკვეთრი განცხადებებისა და უხეში ქმედებებისგან თავი უნდა შეიკავონ,"** – აღნიშნა ვაშინგტონის გავლენიანი დამოუკიდებელი ანალიტიკური ორგანიზაცია "საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო"-ს წარმომადგენელმა ედ ლიკოლნმა.

გაგრძელება A5 გვერდზე



ბორჯომის მინერალურ წყალზე მოთხოვნილება სწრაფი ტემპებით იზრდებოდა რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში. პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, ოდესასა და თბილისში გაიხსნა სააგენტოები, რომლებიც მინერალური წყლის რეალიზაციაზე სპეციალიზირდებოდნენ.

1900 წელს ბორჯომის მინერალური წყლის წარმოებამ პირველად გადააბიჯა მილიონ ბოთლს.



"ბორჯომის" N1 ჩამომსხმელი ქარხანა.

1904 წელს მოხერხდა წარმოების ნაწილობრივი მოდერნიზება. მართალია, შუშის ბერვა ჯერ კიდევ ხელით ხდებოდა, მაგრამ თავად ჩამოსხმის პროცესი უკვე მექანიზირებული გახდა. პარალელურად იზრდებოდა მინერალური წყლის ბორჯომის ფარგლებს გარეთ გატანაც. 1854 წელს, ბორჯომიდან 1 350 ბოთლი მინერალური წყალი გაიტანეს, ხოლო 1913 წლისათვის 9 მილიონ ბოთლს გადააჭარბა. ამ წლებიდან ბორჯომის ჩამოსხმის ინდუსტრიალური ეპოქა დაიწყო.



დიდი ოქროს მედალი ცარსკოე სელოს საერთაშორისო გამოფენაზე - 1910 წ.

"ბორჯომი" ისხმება როგორც მინის, ისე პლასტმასის ბოთლებში. კომპანიამ შეინარჩუნა მინის ბოთლის ტრადიციული, ცნობადი დიზაინი. დაწყებული 1995 წლიდან მინის ბოთლის წარმოებისათვის სპეციალურად იქნა შემუშავებული ღია მწვანე ფერის მასალა. შემდგომში, საერთაშორისო დონეზე დარგის პროფესიონალთა შორის დადგენილ ლექსიკონში ამ ფერის მინას ეწოდა "ქართული მწვანე".

ერთი სარკინიგზო ვაგონი იტევს 73 ათას ნახევარლიტრიან მინის ბოთლს ან 55800 1-ლიტრიან პეტ ბოთლს.

"ბორჯომი"-ს მინერალური წყლის ყველაზე უფრო დინამიურად მზარდი ბაზარია უკრაინა. შარშანდელთან შედარებით, "ბორჯომი"-ს გაყიდვები უკრაინაში გაიზარდა 50%-ით. იანვარი-ივნისის განმავლობაში, უკრაინაში გაყიდულ იქნა 6 მილიონი ბოთლი მინერალური წყალი. თუ გაყიდვები განაგრძობს მატებას ასეთივე ტემპებით, მაშინ უკვე მომავალი წლისათვის თავისი მნიშვნელობით უკრაინა გახდება "ბორჯომი"-სთვის მეორე ბაზარი რუსეთის შემდეგ.

დღეისათვის "ბორჯომი"-ს 2/3 იყიდება რუსეთში, ხოლო საქართველოში, დაახლოებით 13%.

საქართველოს ყველაზე წარმატებული საფეხბურთო კლუბები სპონსორდებოდა GG&MW-ს მიერ. 1999-2005 წლებში ჩვენი კომპანია იყო თბილისის "დინამო"-ს გენერალური სპონსორი. 2005 წლიდან GG&MW გახდა საფეხბურთო კლუბ "ბორჯომი"-ს სპონსორი.



"ბორჯომის" ბოთლი "აეროფლოტის" მგზავრებისათვის

# ძველი თბილისის ახალი შესაძლებლობები

*გუშინ თბილისის მერიამ და "ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წარმომადგენლებმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" პროექტ "ძველი თბილისის ახალი შესაძლებლობების" პრეზენტაცია გამართეს. პროექტის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს ძველი ქალაქის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. ამჟერად ფონდმა თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის - კალას განვითარების საინვესტიციო კონცეფცია წარუდგინა საზოგადოებას.*

თამარ დვალი

**"როდესაც ჩვენ ძველი ქალაქის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ორი მთავარი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ეს არის იერსახის შენარჩუნება და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება, რომელსაც ძველ უბნებში ვაწყდებით. ცალსახად მინდა ვთქვა, რომ კერძო საკუთრებაზე სახელმწიფო კომპენსაციებს ვერ გასცემს, კერძო საკუთრებას მისმა მფლობელებმა უნდა მიხედონ. ასეთი პროექტების განხორციელებისას, საჭიროა ინვესტორმა მოსახლეობასთან მონახოს საერთო ენა და დაიწყოს მუშაობა კონკრეტული გეგმის მიხედვით, რომელიც ისტორიული რეგულაციის დაცვას ითვალისწინებს,"** – განაცხადა გუშინ პრეზენტაციაზე მისულმა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ. მისივე განმარტებით, ისტორიული უბნის შენარჩუნება და ინვესტორის დაინტერესება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ასეთ უბნებს შეეცვლება ფუნქცია. ანუ, საცხოვრებელი უბნების ნაცვლად, შერეული ფუნქციის მატარებელი უბნები გვექნება, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვას. ამ შემთხვევაში საუბარია კალას უბანზე, უფრო კონკრეტულად კი, აკოფიანის ქუჩასა და აკოფიანის შესახვევზე.

ფონდში შემავალი სპეციალისტების - არქიტექტორების, ურბანისტების, ხელოვნებათმცოდნეებისა და იურისტების აზრით, პროექტი მიზანად ისახავს ძველი ქალაქის ეკონომიკური შესაძლებლობების სრულ გამოყენებას ისე, რომ მოხდეს მიზანმიმართული განვითარება და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. პროექტი სამი შენობის მაგალითზე გაკეთდა. **"ჩვენ კონკრეტული სახლის მაგალითზე დავამუშავეთ ბიზნესგეგმა, რომელიც სხვადასხვა ინვესტორისთვის შეიძლება საინტერესო იყოს. პირადად ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ სასტუმროს, თუმცა ეს არის რეკომენდაცია და არა მოთხოვნა,"** – აღნიშნეს ფონდის წევრებმა.

"ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი" თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის მიზანია შეიმუშაოს თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის სისტემა (რაც ძველი თბილისის იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს) და ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას თბილისის ისტორიულ ნაწილში.

აღნიშნული პროექტი მოიწონა თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ეს ფონდი. **"მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფულია დახარჯული და ასევე უამრავჯერ არის შესწავლილი კალას უბანი, არც ერთ პროექტში ფინანსური გაანგარიშება არ ყოფილა წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში, ქალაქის მერიას ასეთი სრული სქემა არ ჰქონია. მთავარია, ფინანსური გათვლები საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მოხდეს და არა ისე, თუ რა ოდენობის მოგებას ნახავს კერძო ინვესტორი. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ფონდმა გააკეთა გათვლა და ეს არის ყველაზე ღირებული. თავის მხრივ, მერიისა და ქალაქის მთავრობისთვის გამზადდა დოკუმენტი, რომელიც შეიძლება შესთავაზო ინვესტორს, მანამდე ეს არც ერთ კვლევას არ გაუკეთებია,"** – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

პრეზენტაციაზე მოწვეული სტუმრებიდან პროექტით დაინტერესება გამოთქვა სამშენებლო კომპანია "არსის" ხელმძღვანელმა გია აბულაძემ. **"კარგი დასაწყისია და მიხარია, რომ ამ პროექტზე სწორედ ახალგაზრდები მუშაობდნენ. მთავარია, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ და ვფიქრობ, ჩვენი კომპანია ამ წამოწყებას შეუერთდება,"** – განაცხადა აბულაძემ.

გუშინდელი პრეზენტაციის მთავარ მიზანს ინვესტორების მოზიდვა წარმოადგენდა. თუ რომელი კომპანია დაინტერესდა აღნიშნული პროექტით, ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

# თბილისის მერი მთაწმინდის პარკის პროექტით აღფრთოვანებულია

მთაწმინდის განახლებული პარკი 2007 წლის 26 მაისს ამოქმედდება. ამის შესახებ ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა გუშინ თბილისის მერიაში განაცხადა. პატარკაციშვილმა თბილისის მერს, გიგი უგულავას მთაწმინდის პარკის განაშენიანების პროექტი პრეზენტაციაზე წარუდგინა. ბიზნესმენის განცხადებით, პროექტის პირველი ეტაპი, რომლის დასრულებაც 2007 წლის მაისში იგეგმება, მთაწმინდის პარკის 12 ჰექტარზე განაშენიანებას ითვალისწინებს. "პარკი ორნაწილიანი იქნება. მის ერთ ნაწილში მყუდრო დასასვენებელი მოეწყობა, სადაც ადამიანებს წიგნის წაკითხვის, ჭადრაკის თამაშისა და დასვენების შესაძლებლობები მიეცემათ. მეორე ნაწილში კი განთავსდება ხმაურიანი გასართობი ცენტრი, სადაც თანამედროვე დონის ატრაქციონები და სხვა გასართობი საშუალებები იქნება. დამონტაჟდება ე.წ. "ამერიკული მთები", რომელიც სიდიდით მსოფლიოს ატრაქციონების ოცეულში შევა. მისი სიმაღლე 40 მეტრი იქნება," - განაცხადა პატარკაციშვილმა. პროექტის პირველ ეტაპზე აღდგება რკინიგზა, საბაგირო, გაკეთდება მანქანების სადგომი, რომელიც 1000 მანქანას დაიტევს, ფეხბურთის სათამაშო მოედანი, საცურაო აუზი და სხვა. პატარკაციშვილის თქმით, "მამა დავითის" ეკლესიასთან მისასვლელი გზაც მთლიანად კეთილმოეწყობა. "ჩვენ ვთხოვთ თბილისის მერიას, გამოგვიყოს ტერიტორია, სადაც მანქანების სადგომს გავაკეთებთ, რადგან უკვე არსებული სადგომი მომავალში მოთხოვნას ვეღარ დააკმაყოფილებს. ამისთვის ორმოცდაათამდე ხის მოჭრა მოგვიწევს, მაგრამ სამაგიეროდ, პროექტის ფარგლებში გაცილებით მეტი ხე დაირგვება," - განაცხადა პატარკაციშვილმა. მისი განმარტებით, პროექტის განხორციელებისას ძირითადი ყურადღება უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებას მიექცევა. "უსაფრთხოების ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, რათა ყველა ადამიანის სიცოცხლე, ვინც პარკში შევა, დაცული იყოს. ამისთვის ჩვენ გაცილებით მეტ თანხებს გავიღებთ," - განაცხადა ბიზნესმენმა. როგორც მან აღნიშნა, მთაწმინდის პარკის მსგავსი გასართობი ცენტრი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც არ იქნება. შესაბამისად, მას რეგიონული დანიშნულება ექნება. "ვგეგმავთ, გავყიდოთ ორდღიანი და ერთკვირიანი ტურები, რომლითაც მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ადამიანებს პარკში დასვენების საშუალება მიეცემათ. თბილისელებისთვის კი პარკში შესვლა უფასო იქნება," - აღნიშნა მან.



პატარკაციშვილმა უგულავას მთაწმინდის პარკის განაშენიანების პროექტი წარუდგინა.

პროექტის მეორე ეტაპზე, მთაწმინდაზე თბილისში არსებული ზოოპარკის გადატანა იგეგმება. პროექტის ფინანსური მენეჯმენტის, კომპანია "სელფორდი საქართველოს" გენერალური დირექტორის განცხადებით, პირველ ეტაპში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულება 60 მილიონი დოლარი იქნება. შეგახსენებთ, რომ მთაწმინდის პარკი ერთი წლის წინ თბილისის მერიამ 49-წლიანი იჯარით კონკურსში გამარჯვებულ შპს "ლინქსს" გადასცა, რომლის უკანაც ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დგას. აღნიშნული პროექტი სწორედ მისი დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის უშუალო შემსრულებელი კი ბრიტანული კომპანია "დეიტო ინტერნეიშენალია". შპს "ლინქსმა" თბილისის მერიას ყოველწლიურად, იჯარის სახით, 220 ათასი ლარი უნდა გადაუხადოს. უგულავას არ დაუმალავს აღნიშნული პრეზენტაციით გამოწვეული სიამოვნება და პატარკაციშვილს მადლობაც გადაუხადა. "სულ მალე მთაწმინდის პარკი იქნება ჩვენი ქალაქის სიამაყე და მარგალიტი. ის არის თბილისის ძარღვი და მისი ამოქმედებით დედაქალაქს ახალი სიცოცხლე შეემატება," - განაცხადა მერმა. 2007 წლის მაისში მთაწმინდის პარკში კულტურული ფესტივალი გაიმართება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საგადასახადო ცვლილება ადგილობრივ ბიუჯეტებს ამცირებს

## იქნება თუ არა 2006 წელს თბილისის ბიუჯეტი დეფიციტური?

*მომავალი წლიდან თბილისის ბიუჯეტი დაახლოებით 150 მილიონი ლარით მცირდება. ამას საგადასახადო კოდექსში შეტანილი ის ცვლილება იწვევს, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადი 2006 წლიდან, ადგილობრივის ნაცვლად, მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება. ფინანსთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას ექსპერტთა ერთი ნაწილი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის შეზღუდვად აფასებს. თავად ცვლილების ინიციატორები კი ამის აუცილებლობას მოგების გადასახადის შინაარსით ხსნიან.*

ეთერ მამულაშვილი

თავიდანვე ცხადია, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ხსენებული ცვლილება ყველაზე დიდ დარტყმას მსხვილ ქალაქებსა და რაიონებს მიაყენებს. მათ შორის, თბილისს. ქვეყანაში მოქმედი მეწარმეების უმრავლესობა სწორედ დედაქალაქშია რეგისტრირებული და, შესაბამისად, მათ მიერ გადახდილი მოგების გადასახადი დღემდე თბილისის ბიუჯეტს დაახლოებით 35 პროცენტით ავსებდა (დედაქალაქის ბიუჯეტი წელს 450 მილიონ ლარს შეადგენს).

იქნება თუ არა თბილისის 2006 წლის ბიუჯეტი დეფიციტური და როგორ მოხდება 150 მილიონი ლარის კომპენსირება? ფინანსთა სამინისტროსა და დედაქალაქის მერიას შორის ამ საკითხზე მოლაპარაკება აქტიურად მიმდინარეობს. ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული იმედოვნებს, რომ მხარეები კონსენსუსამდე მივლენ და თბილისის 150 მილიონლარიანი დანაკლისის კომპენსირება ცენტრალური ბიუჯეტიდან აუცილებლად მოხდება.

**"მოგების გადასახადი თავისი შინაარსით არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი და ის, შესაბამისად, ასივე პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა ირიცხებოდეს. მოგება არ იქმნება ერთ რომელიმე რაიონში, არამედ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე,"** - ასე განმარტავს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების აუცილებლობას ფინანსთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ გობეჯიშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი შინაარსით საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებში კლასიფიცირდება საშემოსავლო გადასახადიც და, მინისტრის მოადგილის ზემოთ მოყვანილი ლოგიკის მიხედვით, მაშინ ეს გადასახადიც ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა ირიცხებოდეს. დღეს საშემოსავლო გადასახადი მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტებს რჩება და როგორც გრიგოლ გობეჯიშვილი განმარტავს, მისი ცენტრში წამოღების საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას.

ჩვენთან საუბრის დროს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ისიც აღნიშნა, რომ 2006 წლის ბიუჯეტში თბილისისთვის გათვალისწინებული იქნება მიზნობრივი ტრანსფერი დედაქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, დაახლოებით 60 მილიონი ლარის ოდენობით. **"გარდა ამისა, ცენტრი საკუთარ თავზე აიღებს დედაქალაქის გარკვეულ ხარჯებს. მათ შორის - განათლების ხარჯებს, ჯანდაცვის პროგრამების ნაწილს და სხვა,"** - დასძინა გობეჯიშვილმა.

საინტერესო დეტალი: როგორც "24 საათმა" გაარკვია, თბილისის განათლების ხარჯები ცენტრალურ ბიუჯეტში მხოლოდ ხელფასების ნაწილში იქნება გათვალისწინებული. კაპიტალური ხარჯი ისევ დედაქალაქის ბიუჯეტის მიერ იქნება გასაწევი. ასეთ შემთხვევაში კი, გაურკვეველია, როგორ შეძლებს თბილისის მთავრობა ამ ტიპის ხარჯების გაწევას, თუკი მომავალი წლიდან ის შემოსავლის მესამედზე მეტს კარგავს.

"24 საათთან" საუბრის დროს ქალაქის პრემიერი ამბობს, რომ მისთვის პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თბილისი შემოსავალს ტრანსფერის სახით მიიღებს თუ მოგების გადასახადიდან. **"ქვეყნის საფინანსო პოლიტიკას ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, ამ თანხას ნორმატიული აქტის საფუძველზე მოგების გადასახადიდან მივიღებთ თუ ტრანსფერის სახით,"** - აღნიშნა თემურ ქურხულმა.

თუმცა, დამოუკიდებელი ექსპერტებისთვის და საზოგადოების კარგად გათვითცნობიერებული ნაწილისთვის ამას სწორედ რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ექსპერტები ამბობენ, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ხსენებული ცვლილება ადგილობრივ ბიუჯეტებს ცენტრალურზე დამოკიდებულს ხდის, რაც, თავის მხრივ, თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს.

**"თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დღეს დედაქალაქშია თავმოყრილი, ასეთ დროს მოგების გადასახადის ცენტრში გადაქაჩვა და შემდეგ მისი ცენტრალურ ბიუჯეტში ტრანსფერად ასახვა თბილისის დამოკიდებულების ხარისხს ცენტრალურ ხელისუფლებაზე მნიშვნელოვნად ზრდის,"** - ასე აფასებს საგადასახადო კოდექსის ხსენებულ ცვლილებას "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დავით ნარმანია.

**"ამ შემთხვევაში ჩვენ სისტემურ პრობლემასთან მივდივართ. იმის ნაცვლად, რომ ზოგადად ქვეყანაში იყოს ტენდენცია ფისკალური დეცენტრალიზაციისკენ, ყველაფერი პირიქით ხდება,"** - ასეთ შეფასებას კი "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე თენგიზ შერგელაშვილი აკეთებს.

ერთი საყურადღებო დეტალი: ბოლო თვეების განმავლობაში მთავრობის ეკონომიკური გუნდი თავს იმით იწონებს, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით 12 პროცენტით იზრდება. ეკონომიკური ექსპერტი საბიუჯეტო საკითხებში კახა იმერლიშვილი ირწმუნება, რომ ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან "წამოღებული" მოგების გადასახადზე მოდის. **"თუკი ჩვენ მოგების გადასახადს, რაც არის გათვალისწინებული 2006 წლის ბიუჯეტში, გამოვაკლებთ სახელმწიფო ბიუჯეტს, მაშინ მხოლოდ 3-პროცენტიან ზრდას მივიღებთ. დანარჩენი 9 პროცენტი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ცენტრისკენ გადმოქაჩულ მოგების გადასახადზე მოდის,** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კახა იმერლიშვილმა, - **ასეთი ტიპის საგადასახადო ცვლილება მიუთითებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება თვითმმართველობებზე ორიენტირებული არ არის და ასეთი ქმედებით ის ტერიტორიული ერთეულების ცენტრალურ ბიუჯეტზე დამოკიდებულების ხარისხს კიდევ უფრო ზრდის."**

ინფორმაციისთვის: "საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონში შარშან მიღებული ცვლილება ცალსახად ამბობს, რომ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. დამოუკიდებლობა კი, პირველ რიგში, საკუთარი შემოსავლების ქონას გულისხმობს. კახა იმერლიშვილი განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის ეს ცვლილება საბიუჯეტო სისტემების შესახებ კანონის ზემოთ ხსენებულ მთავარ პრინციპს არღვევს.

## მოკლედ

### საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტესტირება გრძელდება

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა 5 ნოემბერს დაწყებული სერტიფიცირების პროცესი 17 დეკემბერს დასრულდება. მოხელეობის 2 500 მსურველიდან 2000 თბილისში გაივლის ტესტირებას, დანარჩენი – ბათუმში. ბათუმში სერტიფიცირება შედარებით გვიან, 1 დეკემბერს დაიწყება. ტესტირებას ყოველდღიურად 180-მდე ადამიანი გადის. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობის მსურველებმა 100 ტესტის შევსება 6 საათის განმავლობაში უნდა მოასწრონ. ტესტების 70 პროცენტი საკანონმდებლო ნაწილს (საარჩევნო კოდექსი, კონსტიტუცია, რეფერენდუმი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსი) უკავია, 6 ტესტი კი უნარ-ჩვევების გამოსავლენია. როგორც სერტიფიცირების გუშინდელმა მონაწილემ გიორგი დათელაძემ გვითხრა, ტესტების შევსება კანონების კარგად მცოდნე ადამიანისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება უნარ-ჩვევებს, არც ეს ყოფილა რთული, თუმცა არც მთლად ისეთი იოლი, როგორც მერია-საკრებულოს მოსამსახურეთა კონკურსის დროს იყო. **"რაც მთავარია, ტესტირებაზე სრული სიწყნარე იყო და ხელს არავინ გვიშლიდა,"** –აცხადებს დათელაძე.

შედეგები ტესტირების დასრულებიდან რამდენიმე საათში უკვე ცნობილია, სერტიფირებულთა სიები კი მეორე დღესვე გამოიკვრება.

### ლუბლიანაში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა დაიწყო

სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში შერეული საკონტროლო კომისიის ორდღიანი სხდომა დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტის მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ კომისიის წევრებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გეგმა გააცნო. შეხვედრაზე ხაინდრავამ რუს სამშვიდობოებზეც ისაუბრება, რომლებიც, ქართული მხარის განცხადებით, კონფლიქტის რეგიონში მშვიდობის გარანტის ფუნქციას ვერ ასრულებენ. სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა მოლაპარაკების ფორმატის შეცვლა და მასში ევროკავშირისა და აშშ-ს აქტიურად ჩართვის შესახებ საკითხი დააყენა. სავარაუდოდ, რუსეთი ქართული მხარის წინადადებას მხარს არ დაუჭერს. ამის შესახებ შერეულ საკონტროლო კომისიაში რუსეთის წარმომადგენელმა ვალერი კენიაკინმა საკუთარი პოზიცია უკვე დააფიქსირა. "მოლაპარაკებათა ფორმატის შეცვლა ჯადოსნური ფორმულის მეშვეობით არარეალურია. კონფლიქტის მოსაგვარებლად მთავარი პოლიტიკური ნებაა," - განაცხადა მან.

რაც შეეხება ოსურ მხარეს, თვითაღიარებული "სამხრეთ ოსეთის" საგანგებო საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი ლუბლიანას შეხვედრაზე საქართველოს სამხედრო ტექნიკით მომარაგების შეწყვეტის საკითხს დააყენებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბექაური კუკავას აღარ ემუქრება

პარლამენტარ კობა ბექაურსა და კახა კუკავას შორის დაპირისპირება ახსნა-განმარტებებით დასრულდა. "ბექაურის წარმომადგენლებისგან მივიღე განმარტება, რომ მისი მუქარა ცხელ გულზე იყო გაკეთებული და პასუხისმგებლობას კუკავას ხელშეუხებლობაზე "ნაციონალების" წარმომადგენლები საკუთარ თავზე იღებდნენ," - განაცხადა კუკავამ. პარლამენტარმა ამ ახსნა-განმარტებების შემდეგ სასამართლოს აღარ მიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო მუქარები კობა ბექაურმა კახა კუკავას მისამართით მას შემდეგ დაიწყო, რაც "კონსერვატორების" წარმომადგენელმა "ოპიზას" საქმესთან დაკავშირებით მერაბ ფიჩხაძის დაკითხვა მოითხოვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### იუშჩენკო რუსეთს მოუწოდებს, სააკაშვილის ინიციატივას შეუერთდეს

საქართველომ, რუმინეთმა, ლიტვამ, ესტონეთმა, მაკედონიამ, ასევე ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა მარკ პერენ დე ბრიშამბომ უკვე განაცხადეს მზადყოფნა ფორუმში "გაერთიანება დემოკრატიული არჩევანისთვის" მონაწილეობის მიღებაზე. ჯერჯერობით უცნობია ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბოსნია და ჰერცოგოვინის, სერბიის, ჩერნოგორიის, აშშ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ნატო-ს, გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს გადაწყვეტილება. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაწვევი რუსეთსაც ერგო, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა ფორუმში მონაწილეობა მიიღოს. სამიტის ოფიციალური მიზანია რეგიონის დემოკრატიულ, სტაბილურ და უსაფრთხო სივრცედ გადაქცევის, ასევე ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციის საკითხების განხილვა. ბალტიისპირეთის, შავი ზღვისა და კასპიის რეგიონის ქვეყნების გაერთიანების ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. ამის შესახებ მან 12 აგვისტოს უკრაინის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის დროს განაცხადა. ახალი ალიანსი "რეგიონის საზღვრებისგან გათავისუფლებას, ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრას და გაყინული კონფლიქტების მოგვარებას" ემსახურება. გაერთიანებაში საქართველო, უკრაინა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, პოლონეთი, ჩეხეთი, მოლდოვა, ბულგარეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, თურქეთი და რუმინეთი მოიაზრებიან. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს, ჯერჯერობით, ეს ქვეყნები ახალი ინიციატივის აქტიური მხარდაჭერისგან თავს იკავებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ოპოზიცია ცაიტნოტში იბრძვის

პირველი გვერდიდან

**ხნის განმავლობაში, უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი. ამ კონცეფციისთვის ვინმეს ყურადღება თავის დროზე რომ მიექცია, კანონპროექტის მომზადება და წარდგენაც დროულად მოესწრებოდა,"** – აცხადებს მამუკა კაციტაძე.

ასეა თუ ისე, ოპოზიციის აქტიურობითა და პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის რჩევით, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტმა გუშინ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტიც განიხილა, თუმცა, როგორც ოპოზიცია ვარაუდობდა, მის პლენარულ სხდომაზე გატანაზე უარი განაცხადა.

**"საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, ამიტომ კომიტეტი, საკუთარი ინიციატივით, მას პლენარულ სხდომაზე ვერ გაიტანს,"** – დაასკვნა სხდომის ბოლოს კომიტეტის თავმჯდომარემ ედუარდ სურმანიძემ. კანონპროექტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში კი სურმანიძე და ხუხუნაიშვილი სამხარეო ხელისუფლების შემოღებას გულისხმობდნენ (არასამთავრობოთა მიერ მომზადებული კანონპროექტი ორდონიან თვითმმართველობას გულისხმობს. პირველი – თემის, ქალაქის დონეზე მოწყობილი თვითმმართველობა და მეორე დონე – სამხარეო ხელისუფლება). **"ეს არ არის ორდონიანი თვითმმართველობა... თუკი ვინმე დამტკიცებს, რომ სამხარეო ხელისუფლება თვითმმართველობაა, პარლამენტიდან წავალ. ესეც რომ არა, ჩვენი კონსტიტუცია სამხარეო ხელისუფლების არსებობას არ ითვალისწინებს. გამოდის, რომ კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება,"** – განაცხადა ხუხუნაიშვილმა.



შალამბერიძე (მარჯვნივ) უმრავლესობიდან ერთადერთი იყო, ვინც ალტერნატიულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა.

კომიტეტის ერთადერთი წევრი (საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი), ვინც ალტერნატიულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა, ალექსანდრე შალამბერიძე აღმოჩნდა. **"თუკი ადგილობრივ თვითმმართველობას რაიონის დონეზე მოვაწყობთ (როგორც ამას კანონპროექტის სახელისუფლებო ვარიანტი ითვალისწინებს), ძალიან მალე ისევ ამ დარბაზში შევიკრიბებით და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევს. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის პრინციპები ჩემთვის ბევრად უფრო მისაღებია,"** – განაცხადა შალამბერიძემ.

ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი "ჩასაგდებად" მაინც ვერ გაიმეტა და მას პლენარულ სხდომაზე გატანის შანსი მისცა. **"თუკი რომელიმე პოლიტიკური ძალა კანონპროექტის ინიცირებას საკუთარ თავზე აიღებს, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ბიუროს, რომ კანონპროექტი განიხილოს,"** – განაცხადა სურმანიძემ. საინიციატივო ჯგუფს ასეთი პოლიტიკური ძალის მოძებნა არ გასჭირდება. "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი და "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე სხდომის დასაწყისშივე აცხადებდნენ, რომ თუკი კომიტეტი ალტერნატიულ კანონპროექტს ბიუროზე არ გაიტანდა, ინიციატივას მათი ფრაქციები გამოიჩენდნენ. თუმცა, ერთი პრობლემა მაინც რჩება – პლენარულ სხდომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის (სახელისუფლო ვარიანტი) განხილვა მომავალ კვირაშია დაგეგმილი. კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტის გასატანად კი ოპოზიციამ რეგლამენტით დადგენილი ყველა პროცედურის შესრულება ამ კვირაში უნდა მოასწროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის სახელისუფლებო ვარიანტს (ანუ ერთდონიან, რაიონების დონეზე მოწყობილ თვითმმართველობას) კონკურენტი არ ეყოლება.

# კარგად დაფიქრდით მომავალ არჩევნებზე

## მიხეილ მაჭავარიანის რჩევა

*ქართულ რეალობაში მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა მხოლოდ წინასაარჩევნოდ "ახერხებს" ამომრჩეველთან შეხვედრას, არჩევნების შემდეგ კი დაპირებები დაპირებად რჩება.*

ელზა ჯაფოშვილი

2004 წლის ნოემბრიდან 2005 წლის ნოემბრამდე "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" მიერ განხორციელდა პროექტი - "აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება", რომლის მიზანს ხელისუფლებისა და მოქალაქეთა დაახლოება წარმოადგენდა.

ორგანიზაციის ერთწლიანი დაკვირვების შემდეგ "სამართლიან არჩევნებში" აქტიური და პასიური მაჟორიტარები დასახელდნენ. ამომრჩეველთა ყველაზე დიდი უკმაყოფილება საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარმა თენგიზ ოქროცვარიძემ დაიმსახურა, იგი ამომრჩევლებს წელიწადნახევრის მანძილზე ერთხელაც არ შეხვედრია. "შავ სიაში" მოხვდნენ ასევე დეპუტატები: გოჩა ჩახვაძე (ხარაგაულის რაიონი); ლაშა ნარჩემაშვილი (წყალტუბოს რაიონი); ბესარიონ ჯუღელი (ჩუღურეთის რაიონი); ნიკა კვეზერელი (გურჯაანის რაიონი).

კვლევის შედეგებით, ამომრჩევლებს ყველაზე ხშირად სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ხვდება; "აქტიურ" დეპუტატთა სიაში არიან: ნანა პატარკაციშვილი (ყვარლის რაიონი); გიორგი ასანიძე (კრწანისის რაიონის); ზვიად ძიძიგური (სამტრედიის რაიონი).

ბევრი ამომრჩევლისთვის მაჟორიტარი დეპუტატის და რაიონის გამგებლის ფუნქცია-მოვალეობები დღემდე გაურკვეველია.

მაჟორიტარი დეპუტატების აქტიურობის ხარისხი "სამართლიანი არჩევნების" ოფისში გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე სტუმრობითაც უნდა დადასტურებულიყო, თუმცა პრესკონფერენციაზე 71 მაჟორიტარი დეპუტატიდან მხოლოდ ერთმა, მიხეილ მაჭავარიანმა გასცა შეკითხვებზე პასუხი. მისი განცხადებით, **"არსებულ უსიამოვნო სიტუაციას არაფერი ეშველება. მთავარი ის არის, მომავალ არჩევნებზე ამომრჩეველი კარგად დაფიქრდეს იმაზე, თუ ვინ გახდება მისი რჩეული."**

*24 საათი*

# „კოსოვოს პრეცედენტის" მოლოდინში

პირველი გვერდიდან

იმის მიუხედავად, რომ რადიკალი პოლიტიკოსები რუსეთში კოსოვოს დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარებას ოპტიმიზმით ელიან და აცხადებენ, რომ ამას ავტომატურად აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლეგიტიმაცია და მათი სტატუსის საკითხის გადაწყვეტა მოჰყვება, რუსეთის ოფიციოზის პოზიცია უფრო ფრთხილია. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, რომელიც 10 ნოემბერს ბელგრადში და კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში იმყოფებოდა, მხარეებს ურჩია, სტატუსზე მოლაპარაკების პროცესი ხელოვნურად არ დააჩქარონ.

"დამოუკიდებლობა ერთადერთი გამოსავალია," – აღნიშნულია ბრიუსელში მდებარე არასამთავრობო ორგანიზაციის "საერთაშორისო ანტიკრიზისული ჯგუფის" დასკვნაში, კოსოვოს ირგვლივ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც 2005 წლის იანვარში გამოქვეყნდა. მოხსენების ავტორთა აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც საამისოდ გარკვეული პირობები შესრულდება, ძირითადად, ეროვნული უმცირესობების და ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

პარალელურად, 2004 წლის დეკემბერში და 2005 წლის იანვარში, ამერიკელმა კონგრესმენებმა - კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ჰენრი ჰაიდმა და კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრმა ტომას ლანტოსმა, კონგრესის განსახილველად კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი რეზოლუციის ზედიზედ ორი პროექტი შეიტანეს.

ანტიკრიზისული ჯგუფის მოხსენებას აღშფოთებით შეხვდა როგორც სერბეთისა და ჩერნოგორიის, ასევე რუსეთის ხელისუფლება. სერბეთისა და ჩერნოგორიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ დრაშკოვიჩმა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ გეგმას "კატასტროფული და სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი" უწოდა. მან აღნიშნა, რომ გაერო-ს წესდების თანახმად, არ შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სხვა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი ნების გარეშე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით კი, ამგვარი რეცეპტები "კონტრპროდუქტიული" და საშიშია და პროცესების ხელოვნურად ფორსირებას ემსახურება.

ეს განცხადებები წლის დასაწყისში გაკეთდა, თუმცა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ოქტომბრის გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, "ანტიკრიზისული ჯგუფის" რეკომენდაციებს ემთხვევა, სტატუსზე მოლაპარაკებისა დაწყების ვადებისა და "კოსოვოს სტანდარტების" განხილვისადმი მიდგომის თვალსაზრისით.

უახლოეს მომავალში მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით, ექსპერტებს კოსოვოს სტატუსის ორი შესაძლო ვარიანტი მოჰყავთ.

პირველი – კოსოვოს აღჭურვა იგივე უფლებამოსილებებით, რითიც ფედერაციის ფარგლებში ჩერნოგორია სარგებლობს. ანუ ყოფილი იუგოსლავია სამსუბიექტიან ფედერაციად (სერბეთი, კოსოვო და ჩერნოგორია) უნდა იქცეს.

მეორე ვარიანტი კი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და ევროკავშირში განსაკუთრებული სტატუსით გაწევრიანებაა. ამ სტატუსმა უნდა უზრუნველყოს უმცირესობების ყველა უფლების დაცვის გარანტია ახალშექმნილ სახელმწიფოში. ამ ვარიანტის მიხედვით, კოსოვოს სხვა სახელმწიფოებთან (მაგალითად, ალბანეთთან) გაერთიანების უფლება არ ექნება.

ქართველ ექსპერტს პაატა ზაქარეიშვილს კოსოვოს დამოუკიდებლობის უახლოეს მომავალში აღიარება საეჭვოდ მიაჩნია. **"არა მგონია, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა მოხდეს. როგორც ჩანს, გაერო კოსოვოს კონფედერაციის ვარიანტს შესთავაზებს, რომელშიც კოსოვო, სერბეთი და ჩერნოგორია გაწევრიანდებიან,"** - განაცხადა მან "24" საათთან საუბრისას.

მისი აზრით, კოსოვოს მომავალი სტატუსი პირდაპირ გავლენას არ იქონიებს პოსტსაბჭოთა, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზე. თუმცა, რუსეთის მხრიდან ამ საკითხით სპეკულირების მცდელობები იქნება.

ექსპერტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს სხვა კონფლიქტებისაგან მკვეთრად განასხვავებს: **"კოსოვოს, კვიპროსის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებში სეპარატისტების უკან დგას ეთნოკულტურული სახელმწიფო - ალბანეთი, თურქეთი, სომხეთი. ამ რეგიონების უმრავლესობა სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობაა. აფხაზეთში კი აფხაზები დღესაც არ არიან უმრავლესობაში. ამ მხრივ მათ არანაირი რესურსი არა აქვთ."**

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტზე საუბრისას პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ **"ასეთი იოლი კონფლიქტი, როგორიც სამხრეთ ოსეთშია, მსოფლიოში არ არსებობს,"** და **"რომ არა უგუნური პოლიტიკა, რომ არა სროლები, 2-3 წელიწადში ეს კონფლიქტი მოგვარდებოდა."** მისი თქმით, ამისთვის აქტიური მოლაპარაკებაა საჭირო, რისთვისაც, მისი აზრით, მზად არის ზოგიერთი პიროვნება თავად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის გარემოცვაშიც.

რუსეთში მოქმედი "პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის" ექსპერტს სერგეი მარკედონოვსაც მიაჩნია, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება უახლოესი მომავლის საქმე არ არის. მისი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, კოსოვოს პრეცედენტის მექანიკურად განვრცობა პოსტსაბჭოურ კონფლიქტებზე არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის ქვეყნების მიერ. **"დასავლეთში არ მალავენ, რომ კოსოვოს და პოსტსაბჭოთა კონფლიქტებს ისინი ერთ კონტექსტში არ განიხილავენ. დასავლეთისთვის სასურველია, რუსეთი აგრესორად წარმოაჩინოს,"** - აცხადებს მარკედონოვი "24 საათთან" საუბარში.

**"თუ კოსოვოს გაერო-ს წევრის სტატუსით აღიარებენ, ეს გახდება ეთნიკური თვითგამორკვევის აღიარების პრეცედენტი ე. წ. ეთნოდემოკრატიისა, ანუ დემოკრატიისა მხოლოდ ერთი ეთნოსისთვის, რომელიც არ გულისხმობს პოლიეთნიკურ დემოკრატიულ სახელმწიფოს,"** - განმარტავს ექსპერტი და აღნიშნავს, რომ ამგვარი პრეცედენტის დაშვებას ჯერჯერობით არავინ აპირებს და ამის გამო კოსოვოს **"სწრაფი და ფორსირებული აღიარება"** არ მოხდება. **"თავის დროზე მაკედონიაში ალბანელთა გამოსვლებმა მთლიანად შეცვალეს ამ ქვეყნის პოლიტიკური სურათი. აღიარების შემთხვევაში კი გააქტიურდებიან ალბანელები ჩერნოგორიაში, საბერძნეთსა და თავად სერბეთში. საფრანგეთში განვითარებული მოვლენების ფონზე კი ევროპა უფრო ფრთხილი იქნება,"** - აცხადებს ექსპერტი.

მარკედონოვის აზრით, თუ კოსოვოს პრეცედენტი შეიქმნა, პირველი კანდიდატი დამოუკიდებლობის აღიარებაზე მთიანი ყარაბაღი იქნება. **"იქაც ჩამოყალიბებული ეთნოდემოკრატიაა. ეს არის შემდგარი სახელმწიფო, განვითარებული სახელმწიფო ინსტიტუტებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანელების გარეშე. აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ამ მხრივ ცოტა უფრო მოკრძალებული მდგომარეობა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს სახელმწიფოებრიობის უფრო მეტი ნიშნები აქვს სამხრეთ ოსეთთან შედარებით."** აქედან გამომდინარე, მისი აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების საკითხის "ფორსირება" არც ამ შემთხვევაში მოხდება.

მარკედონოვის აზრით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია არა მხოლოდ კოსოვოსგან, არამედ ერთმანეთისგანაც. მისი თქმით, **"ამ ორ არაღიარებულ სახელმწიფოს სხვადასხვა მისწრაფებები აქვს. აფხაზეთის შემთხვევაში ისინი წმინდა სეპარატისტულია, სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში კი – ირედენტული. იქ უმაღლეს თანამდებობებზე "წმინდა ოსური გვარების" წარმომადგენლები ბარანკევიჩი, მოროზოვი და ა. შ. მუშაობენ. აფხაზეთს კი რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურს, და მაქსიმუმი, რასაც დათანხმდებიან, ეს ასოცირებული წევრობაა."**

რაც შეეხება პრობლემებს, რაც, შესაძლოა, კოსოვოს პრეცედენტმა თავად რუსეთს შეუქმნას, მარკედონოვი აცხადებს, რომ **"ჯერჯერობით, კოსოვოს სცენარის პერსპექტივა რუსეთში არ ჩანს. თუ რუსეთში დემოკრატია იქნება, ეს არ მოხდება. თუმცა, არაფერია გამორიცხული, თუ ძველი იმპერიული პოლიტიკის რესტავრაციის მცდელობა მოხდა და მმართველობის ხარისხმა იკლო."**

მარკედონოვი არ გამორიცხავს, რომ აფხაზეთში საკუთარი მოქალაქეობისა და პასპორტების შემოღება სწორედ "კოსოვოს კაზუსს" უკავშირდება. პრეცედენტის მოლოდინში, თვითგამოცხადებული აფხაზეთის ხელისუფლება დამოუკიდებელი ქვეყნის კიდევ ერთი ატრიბუტის ამოქმედებას ჩქარობს.

# ეკონომიკურ აყვავებამდე გასაკეთებელი ბევრია

პირველი გვერდიდან

სემინარის მონაწილეები გაეცნობიან „Wall Street Journal"-ში დაბეჭდილ ლეშეკ ბალცეროვიჩის სტატიას „ხალხთა სიმდიდრე". ვიზიტის ფარგლებში სემინარი ბორჯომის სამთავრობო რეზიდენციაშიც გაიმართება, რომელზეც ბალცეროვიჩი გააკეთებს მოხსენებას თემაზე „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის გაკვეთილები."

გუშინ კი პოლონეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს რომან გოცირიძეს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ლეშეკ ბალცეროვიჩმა განაცხადა, რომ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს დადებითად აფასებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მისი თქმით, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეასრულა იმ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, რომელსაც ბალცეროვიჩი შევარდნაძის ხელისუფლებას აძლევდა. **"ამის მიუხედავად, საქართველოში გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რადგან ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ეკონომიკური აყვავება გახლავთ."**

ბალცეროვიჩი, როგორც პოლონეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, რეკომენდაციებისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ როგორც ეკონომისტს, მას შეუძლია საქართველოს მთავრობას გარკვეული რჩევები მისცეს.

ბალცეროვიჩი მიიჩნევს, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი კონკურენტულ გარემოში უნდა წარიმართოს. უნდა შემცირდეს გადასახადების განაკვეთები და მან მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 20 პროცენტზე მეტი არ უნდა შეადგინოს, რადგან ეს საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

**"საქართველოში ფისკალური რეფორმები კიდევ გასატარებელია. ადამიანებს ჯიბეში მეტი ფული უნდა ჰქონდეთ და ცოტა გადასახადებს უნდა იხდიდნენ. ამასთან, აუცილებელია იყოს გამჭვირვალე იურიდიული საკანონმდებლო ბაზა, კეთილსინდისიერი და ეფექტური სასამართლო სისტემა,"** - განაცხადა პრესკონფერენციაზე ბალცეროვიჩმა.

ლეშეკ ბალცეროვიჩმა საქართველოს ეროვნულ ბანკს დაჯავშნული მანქანა გადასცა. **"ეს არის სასიამოვნო სიურპრიზი, რომელიც პოლონეთის ცენტრალურმა ბანკმა ჩვენ გაგვიკეთა. იმედი მაქვს, ქვეყანაში იმდენი ფული იქნება, რომ ამგვარი მანქანები კიდევ ბევრი დაგვჭირდება,"** - ასე შეაფასა ეს ჟესტი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. რომან გოცირიძის თქმით, საქართველომ უნდა გაიზიაროს ის გამოცდილება, რომელიც პოლონეთში არსებობს. პოლონეთმა, საქართველოს მსგავსად, ტრანსფორმაციის რთული გზა გაიარა და ის უკვე ევროკავშირის წევრია.

გუშინვე საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნის - „შეზღუდული სახელმწიფოსაკენ" - პრეზენტაცია მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ ბალცეროვიჩის წარმომადგენლები, ვარშავის სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრის დირექტორთა საბჭოს დელეგაცია, საქართველოში ორი წლის წინ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იმყოფებოდა. მათი ვიზიტი პირადად ფინანსისტ ჯორჯ სოროსის ინიციატივა გახლდათ, ხოლო მიზანი - ახალი ხელისუფლებისათვის საჭირო დახმარებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. მაშინ ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოს ახალი პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის საკითხიც კი განიხილებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბალცეროვიჩის ჯგუფი ქვეყნის ყოფილ მთავრობასთან "საქართველოსთვის მაკროეკონომიკური და სტრატეგიული რეფორმების საკონსულტაციო პროექტს" ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც, მათი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, კონსულტანტთა ჯგუფები ყველა უწყებაში კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობდნენ. შევარდნაძის ხელისუფლება ბალცეროვიჩის და მის კონსულტანტთა რჩევების შედეგებზე ყოველთვის დუმილს ამჯობინებდა. ყოფილი მთავრობის ოპონენტები კი ამტკიცებდნენ, რომ მთავრობა მათ, უბრალოდ, არ ითვალისწინებდა. პროფესორ ბალცეროვიჩის მხრიდან პერიოდულად გაკეთებული უკმაყოფილო განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და მისი მთავრობა მათ რეკომენდაციებს ყურს დიდად არ უგდებდა. სამინისტროები და უწყებები კი ინფორმაციას მიმდინარე თუ უკვე შემდგარი კონსულტაციების შესახებ, ფაქტობრივად, არ გასცემდნენ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ბალცეროვიჩის საქმიანობას არა საქართველოს მთავრობა, არამედ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებდა. ეს კი ქართული ოფიციოზისთვის "ყურის არდასაგდებად" სერიოზული მოტივაცია გახლდათ.

რატომ დაბრუნდა ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოში? ამას "24 საათის" ხვალინდელი ნომრიდან შეიტყობთ - ნომრის სტუმარი ლეშეკ ბალცეროვიჩი იქნება.

# NATO-ს კარი საქართველოსთვის ღიაა

### და ახლა ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების წარმატებებზე იქნება დამოკიდებული - აღნიშნავს ნატოს გენერალური მდივანი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე კოპენჰაგენში იმყოფება, სადაც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 51-ე სესიის მუშაობაში იღებს მონაწილეობას. 13 ნოემბერს გიორგი ბარამიძე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომაზე (Civil Dimension of Security) სიტყვით გამოვიდა. სახელმწიფო მინისტრმა საქართველოში რევოლუციის შემდეგ მიმდინარე რეფორმებზე, რეგიონში არსებულ კონფლიქტებსა და არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების საკითხებში საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურების მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, ნატო-ში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია და დამსწრე საზოგადოებას 2006 წლის განვითარების სამოქმედო გეგმაში (MAP) საქართველოს (უკრაინასთან ერთად) ჩართვის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. სახელმწიფო მინისტრი ასევე საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, პიერ ლელუშს შეხვდა.

გუშინ გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 51-ე სესიის ოფიციალური გახსნის ცერემონია. სიტყვით გამოვიდნენ ასამბლეის პრეზიდენტი, ნატო-ს გენერალური მდივანი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი. მაღალი დონის სტუმრის სტატუსით მოწვეულ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გამოსვლისას სახით, სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცა. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ჰოპ სხეფერმა გამოსვლისას საქართველოსთვის მხარდაჭერა გამოხატა და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის ღიაა და ახლა ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების წარმატებებზე იქნება დამოკიდებული.

გამოიცა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური წიგნი, სადაც საქართველოს და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ურთიერთობის თაობაზე გიორგი ბარამიძის სტატია დაიბეჭდა.

# "უცნობი თავისუფლება"

### გადაცემის სტუმარია პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი

**ალექსანდრე ელისაშვილი:** პრეზიდენტი რუსთაველის თეატრში ბიზნესმენებს შეხვდა. უცნაური იყო, რომ მხოლოდ პრეზიდენტი საუბრობდა 40 წუთის განმავლობაში და ეს არ იყო დისკუსია. თქვენი აზრით, რას ემსახურება ამ ფორმატის შეხვედრები?

**ლევან ბერძენიშვილი:** ორი მიზანია. ეს არ არის მხოლოდ ამ დღისთვის შერჩეული, არამედ არის ახალი ფორმატი, რომელიც ვიღაც ჭკვიანმა დაამუშავა. პრეზიდენტის გამოსვლაც ამ ფორმატს ემსახურებოდა. მე რომ ბიზნესმენი ვყოფილიყავი, ვერ გავიგებდი, თუ რისი თქმა უნდოდა პრეზიდენტს. მესიჯი იყო შემდეგი - წილებში ჩაჯდომა გარდაიცვალა საქართველოში. ეს შეიძლება მოქალაქეებს უთხრა, მაგრამ როგორ შეიძლება, მესიჯი იყოს ბიზნესმენისთვის, რომელმაც იცის, რომ გარდაიცვალა წილებში 10-პროცენტიანი ჩაჯდომა და დაიბადა 80-პროცენტიანი წილი. ბიზნესმენები ბევრს ლაპარაკობენ გულისტკივილით, მაგრამ პრეზიდენტმა არ ისურვა, საჯაროდ მოესმინა ბიზნესის სურვილები და პრეტენზიები. შესაბამისად, შეხვედრა ემსახურება ერთ მიზანს - პრეზიდენტმა მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ მას ბიზნესთან კარგი ურთიერთობა აქვს. სამწუხაროდ, უმრავლესობამ უკმაყოფილება ფარულად გამოხატა. ამ შეხვედრის მიზანი იყო ერთი, რომ დაემკვიდრებინათ დებატების ახალი ფორმა, რომ ისინი არ შევლენ დებატებში, თუმცა იქნებიან ეკრანზე.

**ა. ე.:** არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ამ მოულოდნელი შეხვედრით ბიზნესმენებთან პრეზიდენტმა სცადა, გადაეფარა ის უარყოფითი ემოცია, რაც რამდენიმე დღის წინ თბილისში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ "ინვესტირება საქართველოში" გამოიწვია. სადაც ამერიკის პალატის წარმომადგენელმა და დიდი ბრიტანეთის ელჩმა ძალზე დიპლომატიურად ფინანსური პოლიცია დაადანაშაულა, რომ ბიზნესს არახელსაყრელ პირობებს უქმნის.

**ლ. ბ.:** მოგეხსენებათ, ჩვენი პრეზიდენტი მუშაობს, როგორც წამყვანი ტელევიზიის ხელმძღვანელი. ის, ძირითადად, PR-აქციებზეა აგებული. ეს არაა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი. ვინც ალლო აუღო ახალ ეპოქას, ასე მუშაობენ. დღევანდელი პრეზიდენტი წარმოუდგენელია ტელეკომუნიკაციების გარეშე. ქვეყნის დღევანდელი მართვა ახლა უფრო ჰგავს მართვის სიმულაციას, ვიდრე ოდესმე. ყველაზე ნაკლები ხელისუფლება აქვს დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ ყველაზე მეტი ხელისუფლება უჩანთ მათ მიერ მართვად მედიაში. ჩვენმა ხელისუფლებამ აირჩია ყველაზე მარტივი გზა, სადაც დადგენილი არაა დრო და საათი. როდესაც მოიცლის, როდესაც მოეხასიათება, მაშინ შეხვდება ბიზნესმენებს და ტელევიზიაც იქ იქნება.

**ა. ე.:** თქვენ ბრძანდებოდით ერთ-ერთი პირველი ადამიანი, ვინც გამოვიდა პარლამენტში და წინანდლის სახლ-მუზეუმის გასხვისების მცდელობა გააპროტესტა. ყველაფრის მიუხედავად, წინანდლის მამული 49-წლიანი იჯარით გაიცა. რა მივიღეთ ჩვენ? რა მიიღეთ თქვენ, ლევან ბერძენიშვილმა?

**ლ. ბ.:** მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა ყოფილმა საყვარელმა მოსწავლემ ირაკლი ჩოგოვაძემ გაასხვისა თავისი გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება ჯერჯერობით, დადებული არაა. პარლამენტი აცხადებს, რომ ხელშეკრულება უნდა ნახოს. მე ვაგრძელებ ბრძოლას იმისთვის, რომ წინანდლის სახლ-მუზეუმს მუზეუმის სტატუსი მიენიჭოს, რომელიც, რატომ წაართვეს, დღემდე გაუგებარია. სტატუსის აღდგენის შემდეგ მუზეუმში ექსპონატებს ხელს ვერავინ ახლებს.

**ა. ე.:** თვითმმართველობის კანონის შესახებ კანონპროექტები მრავლადაა, მაგრამ მოსახლეობისთვის გაუგებარია, თუ რაზეა ლაპარაკი.

**ლ. ბ.:** ხელისუფლებას უნდა, გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონებზე და, ფაქტობრივად, თვითმმართველობის ნაცვლად გვთავაზობს მმართველობის სქემებს. იმდენად ბოლომდე გააზრებული პოლიტიკა აქვს, რომ მომავალში უნდა შექმნას თვითმმართველობის სამინისტროც კი.

მეორე მხრივ, არსებობს თვითმმართველობის იდეა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული და შეჯერებული კანონპროექტი ორდონიან თვითმმართველობას გვთავაზობს. ხელისუფლება ამბობს, რომ უნდა იყოს ერთი დონე და ეს უნდა იყოს რაიონი. რაც შეეხება ხალხის მიერ მომზადებულს, იქ ორი დონეა, ერთია ქალაქის, რაიონის თვითმმართველობა და მეორე – თემის, სოფლის თვითმმართველობა. რაც მეტია დონე, მით უკეთესია ხალხისთვის, რადგან საკითხი უფრო იოლად წყდება. თუ რაღაც პრობლემა მაქვს, თვითმმართველობის წესებით, უნდა წავიდე რაიონში და იქ ვეძებო სამართალი. მეორე ვარიანტში არსად არ მივდივარ, არც არაფრის მტკიცება არ მჭირდება, რადგან თვითმმართველობა იქვეა, ანუ საკითხის ეფექტიანი გადაწყვეტა უფრო რეალურია. ამან შეიძლება იმუშაოს ისეთ დაქცეულ ქვეყანაშიც, როგორიც საქართველოა.

ხელისუფლება ამბობს, რომ საქართველოს თვითმმართველობის გამოცდილება არ აქვს. საერთოდ, ხელისუფლებაში ხშირად აცხადებენ, რომ ყველაფერი დაიწყო 2003 წელს. მერე გადაიწერება ისტორია და გვეტყვიან, რომ ყველაფერი დაიწყო სააკაშვილის დაბადებიდან, მანამდე არაფერი იყო. ერთი სიტყვით, ხალხისთვის მისაღები იქნება ის კანონპროექტი, რომელსაც არასამთავრობოები და ოპოზიცია სთავაზობს. ამ საკითხთან დაკავშირებით შეხლა-შემოხლა იქნება პარლამენტში, რომელიც დამთავრდება უმრავლესობის "კანონიერი" უსამართლო გამარჯვებით.

**ა. ე.:** გიორგობა მოდის. ბევრს საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, ღირს თუ არა რევოლუციის მეორე წლისთავის აღნიშვნა. აპირებენ, რესპუბლიკის მოედანს ვარდების რევოლუციის სახელი დაარქვან. რამდენად მართებულია ეს?

**ლ. ბ.:** ყველაზე კარგი იქნებოდა, ამ დღეს რაიმე სასიკეთო გაგვეკეთებინა ხალხისთვის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დიდი სიკეთეა, ერთი ძეგლი აიღო და მეორე დადგა, პირველი ძეგლის ღირსებებზე ილაპარაკო უარყოფით კონტექსტში, მეორე, ჯერ არდადგმულზე - დადებით კონტექსტში, ცდება. ჩემი აზრით, ამ ძეგლებს შორის თუ არის ხარისხში სხვაობა, პირველი სჯობს. გვარიდან გამომდინარე, მიკერძოებაში ნუ ჩამითვლით.

გემოვნების საკითხში რევოლუცია ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. რევოლუცია ბედნიერებაა მაშინ, როდესაც რაღაც კარგს მოიტანს, თორემ, ცუდი რაც მოაქვს, ცნობილია. თავების დაყრა, ციხე - ეს მოიტანა. ასეთი პომპეზურობა რევოლუციის სისუსტეების ნიშანია, ნაკლებ პომპეზურობა იქნებოდა რევოლუციის სერიოზული გამარჯვების ნიშანი. ბოლო დროს ვნახე ვაცლავ ჰაველისა და მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა. ორივემ ილაპარაკა თავის ქვეყანაზე. ჰაველის გამოსვლაში არაფერი თქმულა იმაზე, რომ ის ამაყია და სამყარო გადაარჩინა, არადა, დედას ვფიცავარ, ეს ასე იყო. ხოლო სააკაშვილის სიტყვა სავსე იყო "მე ვარ, მე ვარ"-ს ძახილით. ეს ვარდიც იქნება სიმბოლო ამ ერთი "მე"-სი. მახსენდება შევარდნაძის ვიზიტი კახეთში. რომ ჩავიდა, კახელებს უთხრეს, დედის გინება არ გავიგოთო. რახან გინება არ შეიძლებაო, ერთი კახელი ადგა, ხელი აწია და, ყვავილოო, მიმართა. აი, ეს ყვავილი იქნება სააკაშვილი, ერთი ვარდით წარმოდგენილი.

# სასიკვდილო განაჩენი სასამართლოს გარეშე

პირველი გვერდიდან

მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ პოლიციელს, რომელსაც, შესაძლოა, ლევან გულუას მკვლელობის გამო "აუცილებელ ფარგლებს გადაცილება", ანუ ჩვეულებრივ მოკვდავთა ენაზე რომ ვთქვათ, მკვლელობა დაუმტკიცდეს, რამდენიმე დღით ადრე მოუწოდეს - მოეკლა, თანაც მოუწოდეს არაერთგზის და მოუწოდეს იმ პირებმა, რომელთა ბრძანების მორჩილებაც მას ევალება, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ კანონის შემდეგ. კანონებში კი ქართველი პოლიციელები ცუდად ერკვევიან და ამის შესახებ, ვინ ვინ და, საქართველოს პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა სხვებზე უკეთ უწყიან. მეტიც, მიუხედავად მათივე ოპტიმისტური განცხადებებისა შინაგან საქმეთა ორგანოების ულირსთაგან გაწმენდის შესახებ, ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ კანონების არცოდნა პოლიციელთა ერთადერთი ნაკლი არ არის და მათთვის სრული თავისუფლების მინიჭება, თუნდაც დამნაშავეების ლიკვიდაციის საქმეში, არაერთი დანაშაულებრივი გადაცდომის საფუძვლად შეიძლება იქცეს და არაერთი უდანაშაულო ადამიანიც შეიწიროს.

**"მოვუწოდებ საქართველოს პოლიციის შემადგენლობას – არავითარ შემთხვევაში არ აგიკანკალდეთ ხელი, თუ დაინახავთ, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის, პოლიციელის სიცოცხლეს - გამოიყენეთ იარაღი. ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც კრიმინალის ლიკვიდაციით თავიდან აიცილეს სერიოზული დანაშაული,"** - პარლამენტის ტრიბუნიდან მოუწოდა ქვეშევრდომთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა. ესეც რომ არა, ორიოდე დღით ადრე, ქუთაისში ვიზიტისას იმავე შინაარსის განცხადების გაკეთებისას, საქართველოს პრეზიდენტმა დამნაშავეთა ლიკვიდაციის კანონიერების შესახებ აუწყა სამართალდამცველებს: **"მე მინდა ვუთხრა დამნაშავეთა სამყაროს, ჩვენ დავიცავთ ყველას უფლებებს, ჩვენ არავის ტყუილად არ გამოვეკიდებით, მაგრამ, თუ რომელიმე კრიმინალი შეუქმნის მოქალაქეებს ან პოლიციელს საფრთხეს, პოლიციას აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომ არ გარისკოს არც მოქალაქეების და არც პოლიციელების სიცოცხლე და თუ სხვა გამოსავალი არ არის, ყველა კრიმინალი გაანადგუროს ადგილზე. ეს არის სწორი და კანონის ფარგლებში."**

ვერ გეტყვით, რომელ კანონს გულისხმობდა პრეზიდენტი - მას ეს არ დაუკონკრეტებია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იარაღის გამოყენების უფლებას სამართალდამცველებს საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ მართლაც აძლევს. ვიმეორებთ – იარაღის გამოყენების და არა მკვლელობის. მეტიც, იმავე პოლიციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილში გარკვევით წერია, რომ **"ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა"**, დავაზუსტოთ – გამიზნული გასროლა არ ნიშნავს გასროლას მაინცდამაინც გულის ან თავის არეში, რაც, უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილს იწვევს.

პოლიციის შესახებ კანონში თითქმის დეტალურადაა გაწერილი, რა შემთხვევაში აქვთ პოლიციელებს იარაღის გამოყენების (და არა მკვლელობის) უფლება, ამ შემთხვევების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ **"პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი"**.

უეჭველია, რომ, როდესაც ვინმე ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს სამართალდამცველებს, პოლიციელების მიერ "იარაღის გამოყენების დროს", მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში სკანდალს არავინ ააგორებს. მაგრამ ლევან გულუას შემთხვევაში საქმე სხვაგვარად გახლდათ.

როგორც ცნობილია, პოლიციის მონაცემებით, 18 წლის ლევან გულუა, ორ თანამზრახველთან ერთად, გამსახურდიას გამზირის ერთ-ერთი კორპუსის მცხოვრების ბინის გაქურდვას ცდილობდა. შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელების მოწოდებას, შეჩერებულიყვნენ, მძარცველები არ დაემორჩილენ, რის გამოც სამართალდამცველებმა ცეცხლი გახსნეს. შედეგად, ქურდობის მცდელობაში ეჭვმიტანილი 18 წლის ახალგაზრდა დაიღუპა. მას არ შეუქმნია საფრთხე არც პოლიციელთა, არც უბრალო მოქალაქეთა სიცოცხლისთვის (არადა, სწორედ ამ შემთხვევაში მოუწოდა პრეზიდენტმაც, მინისტრმაც, ხელის აუკანკალებლად სროლა პოლიციელებს), არ აუყვანია მძევლები, მეტიც, პოლიციელები ამტკიცებენ, რომ იარაღი ჰქონდა, მაგრამ ამ იარაღის ამოღება მას არც უცდია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიციას, კანონით, იარაღის გამოყენების უფლება ჰქონდა, ოღონდ არავითარ შემთხვევაში გაფრთხილების გარეშე, და კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ - იარაღის გამოყენების და არა მკვლელობის.

პოლიციელმა, რომელმაც ლევან გულუას ესროლა, იტვირთა 18 წლის ახალგაზრდის მკვლელობა, თუნდაც, "აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით". ფაქტია, პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებები რომ არა, იგი ქურდობის მცდელობაში ეჭვმიტანილს ასე ხელაღებით არ ესროდა.

დაბოლოს, წერილის დასაწყისში დემოკრატიულ ფასეულობათა ქვაკუთხედად აღიარებული დოკუმენტისა და საქართველოს უზენაესი კანონის ციტირება მოვახდინეთ. ამითვე დავასრულებთ:

**"ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ, საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა,"** - ვკითხულობთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლში.

**"ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით,"** - ეს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტია.

აქედან გამომდინარე, სასამართლომდე ვინმესთვის, თუნდაც უმძიმეს დანაშაულში ეჭვმიტანილისთვის განაჩენის, მით უმეტეს - სასიკვდილოს, გამოტანა, ლინჩის წესით გასამართლება – მკვლელობასთან გათანაბრებული დანაშაულია და არა "კანონის ფარგლებში" მოქმედება, საითაც პოლიციელებს მოუწოდებენ.

# შიდა ქართლის პოლიციის შეფი შეიცვალა

თეა თედლიაშვილი
გორიდან

*რამდენიმე თვეა, გორში შიდა ქართლის პოლიციის უფროსის შეცვლის შესახებ ლაპარაკობენ; არ გამორიცხავდნენ ვოვა ჯუღელის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გადაყვანას, თუმცა ჯუღელი შიდა ქართლიდან ისევ ძველ თანამდებობას დაუბრუნდა, ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ოპერატიული სამმართველოს უფროსად იმუშავებს.*



*ახალი პოლიციის შეფი შინაგან საქმეთა მინისტრის მადგილემ ლევან გვაზავამ წარადგინა.*

შიდა ქართლში ახალი პოლიციის შეფი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან გვაზავამ წარადგინა:

**"ცვლილება გამოწვეული არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხით. ეს არის ჩვეულებრივი როტაცია. ვოვა ჯუღელი გადაყვანილია სამინისტროს ერთ-ერთი ოპერატიული სამსახურის სამმართველოს უფროსად, ხოლო შიდა ქართლის სამმართველოს უფროსად დაინიშნა დევი ჭელიძე, რომელიც მანამდე ვაკე-საბურთალოს უშიშროების სამსახურის უფროსად მუშაობდა. ის არის უაღრესად პატიოსანი პიროვნება, აქვს კონტრაბანდასთან, კრიმინალებთან ბრძოლის გამოცდილება და სწორედ ამ კრიტერიუმებით შეირჩა შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსად",** - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან გვაზავამ.

პოლიციის ახალი უფროსის თქმით, მისთვის ამ თანამდებობაზე დანიშვნა მოულოდნელი იყო:

**"ჩვენ ჯარისკაცები ვართ, გვიბრძანეს და წამოვედი. ხელმძღვანელობას მოლოდინს აუცილებლად გავუმართლებ. მართალია, რეგიონს ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ გავიცნობ ძალიან მოკლე ხანში",** - ამბობს ახლად დანიშნული უფროსი დევი ჭელიძე.

შიდა ქართლის პოლიციის უფროსი მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ საუბარს თავს არიდებს, თუმცა რეგიონში ჩამოსვლისთანავე გაათავისუფლა საგანგებო დავალებათა რაზმის ხელმძღვანელი ზაზა მჭედლიძე და შეიცვალა კრიმინალური პოლიციის უფროსი.

**"ვიდრე საკადრო ცვლილებებს განვახორციელებ, უნდა გავესაუბრო კოლექტივს, ვნახო თითოეული ოპერმუშაკის მუშაობის შედეგები და ამის შემდეგ გავარკვევ, განხორციელდება თუ არა საკადრო ცვლილებები",** - აღნიშნავს ჭელიძე.

შიდა ქართლის პოლიციის ყოფილი უფროსი ვოვა ჯუღელი მიიჩნევს, რომ მის ადგილზე გამოცდილი კადრი მოვიდა და რეგიონში მუშაობას თავს კარგად გაართმევს.

# ადვოკატი სამართალდამცველთა კანონდარღვევებზე საუბრობს

საპატრულო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაკავებული 21 წლის გიორგი მიქიაშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ განხორციელებულ კანონდარღვევებზე საუბრობს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დაკავებულის ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ 29 ოქტომბერს გიორგი მიქიაშვილი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მობილური ტელეფონის მოპარვის ბრალდებით დააკავეს, რაც მოგვიანებით არ დადასტურდა.

**"მიქიაშვილს დაკავების დროს სამართალდამცველებმა თავის არეში დაზიანებები მიაყენეს, რასაც შემდგომ საპატიმროში ცემის ფაქტიც დაემატა. დღეს კი დაკავებული ციხის საავადმყოფოში იმყოფება და მას ცემისგან ფსიქიკური პრობლემები აქვს",** - განაცხადა ხატიაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიების მხარე ამ დრომდე ადვოკატებს ფიზიკური დაზიანებების ხარისხის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ნებართვას არ აძლევს. **"გამომძიებელი აცხადებს, რომ, დაკავებულის ცნობით, მას დაზიანებების კვალი დაპატიმრებამდე აღენიშნებოდა, რის გამოც, ექსპერტიზის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამგვარი დასაბუთება კანონით დაუშვებელია",** - განაცხადა ადვოკატმა. ზაზა ხატიაშვილმა ექსპერტიზის ჩატარებაზე ბრალდების მხარის უარი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. ადვოკატის ინფორმაციით, ამგვარი საჩივარი, კანონით, მოსამართლემ 24 საათის ვადაში უნდა განიხილოს, თუმცა შუამდგომლობის შეტანის შემდეგ უკვე 5 დღე გავიდა. **ინტერპრესნიუსი**

# მკვლელობა სიღნაღში

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში მკვლელობა მოხდა. ავთანდილ ვარდოსანიძეს, რომელიც სოფლის ვენახებში ვაზის ლერწამს აგროვებდა, ოთხი ადგილობრივი მცხოვრები დაესხა თავს და ცემით მოკლა. აღნიშნული ფაქტის თვითმხილველი გარდაცვლილის ვაჟიშვილია. **"როცა დავინახე მამაჩემს ოთხი ადამიანი ურტყამდა, საშველად მივედი, მაგრამ მათ ცემა მეც დამიწყეს. ამ საქციელს იმით განმარტავდნენ, რომ მათ ტერიტორიაზე უკანონოდ ვიყავით შეჭრილები",** - იხსენებს თვითმხილველი ილია ვარდოსანიძე. მომხდართან დაკავშირებით საქმეს სიღნაღის რაიონული პოლიცია აწარმოებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამართალდამცველებმა მკვლელობიდან რამდენიმე საათში დანაშაულში მხილებული სამი ეჭვმიტანილი დააკავეს. მათ ჩადენილი დანაშაული აღიარეს. *24 საათი*

# რუსმა სამშვიდობოებმა კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოქალაქე დაჭრეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ მორიგი ინციდენტი მოხდა. გორი-ცხინვალის საავტომობილო მაგისტრალზე, სამშვიდობოების მეღვრეკისის საგუშაგოსთან რუსმა ცისფერჩაფხუტიანებმა ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანას, რომელსაც აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქე, გარდაბნის მკვიდრი, ვადალად მამედოვი მართავდა. სროლის შედეგად მამედოვმა თავის არეში დაზიანება მიიღო. მამედოვს პირველი სამედიცინო დახმარება მეღვრეკისის პოსტზე არსებული საველე საგუშაგოს სამხედრო ექიმებმა აღმოუჩინეს. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების თქმით, მძღოლი მათ მითითებას არ დაემორჩილა. თუმცა, მამედოვი ამტკიცებს, რომ ცისფერჩაფხუტიანებს მისთვის ავტომანქანის გაჩერება არ უნიშნებიათ.

გუშინ, მომხდარის შემდეგ მეღვრეკისის საგუშაგოზე იმყოფებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო კონტინგენტის სარდალი გენერალი მარატ კულახმეტოვი. მას კომენტარი არ გაუკეთებია. კომენტარს თავი აარიდეს რუსმა ჯარისკაცებმაც. **ინტერპრესნიუსი**

# აფხაზური მილიციის ქართველ თანამშრომელს უშედეგოდ ეძებენ

გალის აფხაზური ადმინისტრაცია უშედეგოდ ეძებს აფხაზური მილიციის თანამშრომელს, ქართველი ეროვნების ფრიდონ ჯგერენაიას. იგი სოფელ ოტობაიაში ცხოვრობს და აფხაზურ მილიციაში, დაახლოებით ორი წელია, მსახურობს.

როგორც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა აცხადებს, ფრიდონ ჯგერენაია განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ქართველების მიმართ და, შურისძიების მიზნით, მის გაუჩინარებას არ გამორიცხავენ.

აფხაზური მხარის მიერ წარმოებული გამოძიების თანახმად, ჯგერენაია ბოლოს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებმა ძმებმა მორგოშიებმა ნახეს, რომლებმაც იგი ავტომანქანაში ჩაისვეს და გალიდან ოტობაიაში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით დაუდგენელია ჯგერენაიას ადგილსამყოფელი. აფხაზურმა მხარემ დააკავა მორგოშიები, რომლებიც ამჟამად გალის მილიციის იზოლატორში იმყოფებიან.

აფხაზური მხარე აცხადებს, რომ მათ მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლებენ, როცა ჯგერენაიას ადგილსამყოფელი გაირკვევა.

დაკავებული ძმების ნათესავები, რომლებიც გუშინ გალის მილიციის შენობასთან შეიკრიბნენ, კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათ ჯგერენაიას გატაცებასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს ციხეებში შიდსიანი პატიმრის იზოლირებას კრძალავენ

საქართველოს ერთ-ერთ საგამოძიებო იზოლატორში შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პატიმარი 15 ჯანმრთელ პატიმართან ერთად არის მოთავსებული. ეს ინფორმაცია პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებისთვის ავადმყოფის ოჯახის წევრის მიერ შეტანილი განცხადებით გახდა ცნობილი.

"მისი იზოლირება იკრძალება. ერთ-ერთი დაავადებული პატიმრის იზოლირების გამო, ადრე ევროსაბჭოსგან საყვედური მივიღეთ", - აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და დასძენს, რომ კომიტეტისთვის მიწოდებულ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს გადასცემს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროსაბჭო შიდსით დაავადების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას ადამიანის უფლების დარღვევის მოტივით კრძალავს. თუმცა, ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ ასეთი ინფორმაცია, უმჯობესია, დაფარული არ იყოს, რათა დაავადებულის უფლებების ხარჯზე ჯანმრთელის უფლებები არ შეილახოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

The British Airways Sale
FROM $400
LONDON HEATHROW RETURN
3 FLIGHTS A WEEK
To book, visit ba.com, call us on (32) 940 719/20 or see a travel agent.
BRITISH AIRWAYS
Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

Nestlé

# "რა არის მონოოქსიდის დიჰიდროგენი? ბავშვთა კვების წარმოებაში გავრცელებული საშიში შხამი?"



ა.წ. 14 ნოემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" კომპანია "ნესტლემ" ჩაატარა პრესკონფერენცია თემაზე: "რა არის მონოოქსიდის დიჰიდროგენი? ბავშვთა კვების წარმოებაში გავრცელებული საშიში შხამი?"

პასუხი ამ კითხვაზე საკმაოდ კომიკურია: "თუ ვინმეს აინტერესებს, სად შეიძლება მონოოქსიდის დიჰიდროგენის აღმოჩენა, შეუძლია უახლოესი სასმელი წყლის ონკანი მოუშვას".

(იხ.http://cactus.eas.asu.edu/partha/Columns/11-05-DHMO.htm)

"*დიჰიდროგენმონოქსიდი* (ანუ მონოოქსიდის დიჰიდროგენი) არის **წყლის** პედანტური სახელწოდება, რომელიც გამოიყენება როგორც ხუმრობა იმის ილუსტრაციისათვის, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს საზოგადოება მეცნიერების ელემენტარული ჭეშმარიტების იგნორირებამ.

*ეს საინტერნეტო "ხუმრობა"* პირველად მოიგონეს ერიკ ლეჩნერმა და კრეიგ ჯექსონმა 1990 წელს და მიაწოდეს ფართო საზოგადოებას 1997წელს; 14 წლის სტუდენტების "ხუმრობამ" თავისი პარადოქსული შედეგი გამოიღო და აქტივისტთა ჯგუფის ჩამოყალიბებასაც კი დაუდო საფუძველი. სწორედ ამ ჯგუფის მიერ ინტერნეტის სხვადასხვა გვერდებზე ვრცელდება სტატიები-ე.წ. "საშიში ხუმრობები", რომლებიც მთელი სერიოზულობით მოუთხრობენ საზოგადოებას თუ რაოდენ "სახიფათო" შეიძლება იყოს"დიჰიდროგენმონოქსიდი" - იგივე წყალიადამიანთა ჯანმრთელობისათვის.". *(წყარო: Wikipedia, ენციკლოპედია)*

**ტერმინოლოგია:** წყლის მოლეკულის ქიმიური ფორმულაა H2O, რაც გულისხმობს, რომ იგი შედგება წყალბადის (ჰიდროგენის) 2 ატომისა და ჟანგბადის (ოქსიგენის) 1 ატომისაგან.

**დი-ჰიდროგენ-მონ-ოქსიდი;**

პრეფიქსი "დი" ნიშნავს ორს, ხოლო "მონ" კი მომდინარეობს "მონო"-ს შემოკლებიდან, რაც ნიშნავს ერთს. "ოქსიდი" ნიშნავს ნაერთში ჟანგბადის-ოქსიგენის შემცველობას.

**ამრიგად, დი-ჰიდროგენ-მონ-ოქსიდი არის ორი ჰიდროგენი (წყალბადი) და ერთი ოქსიგენი (ჟანგბადი) -ანუ წყალი, რომლის ქიმიური ფორმულა H2O (*wyaro: Wikipedia, enciklopedia*).**

როგორც ჩანს, არც გაზეთი "ალია" და არც ქალბატონი ქეთი ნემსაძე (სტატიაში მოხსენიებული, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრთა კავშირის თავმჯდომარე) დარჩნენ გულგრილი ამ საინტერნეტო ხუმრობის მიმართ და წყლის (ანუ მონოოქსიდის დიჰიდროგენის) თვისებების საკმაოდ "საინტერესო" შეფასებაც შემოგვთავაზეს. მაგ: თამარ როსტიაშვილის სტატიაში ვკითხულობთ, რომ: "დადასტურებულია მონოოქსიდის დიჰიდროგენის პირდაპირი კავშირი ავთვისებიან სიმსივნეებთან, კუჭისა და ფილტვების კიბოსთან, ბაზალურ-უჯრედოვან სიმსივნეებთან, მწვავე მიელობლასტურ ლეიკოზთან და ევინგის სარკომასთან..."; ხოლო ქ-ნი ქეთი ნემსაძის განმარტებით: "მონოოქსიდის დიჰიდროგენი გახლავთ ემულგატორი, რომელიც ნატურალურ ბავშვთა საკვებს უხანგრძლივებს შენახვის ვადას. ის, რომ ეს ემულგატორი კარგად არ აისახება ჩვილის კუჭ-ნაწლავის სისტემაზე, ამაზე ორი აზრი არ არის".

ამგვარად, ის რაც გაზეთ "ალიას" რედაქციასა და ქ-ნ ქეთი ნემსაძეს ასე აშფოთებთ, უბრალოდ წყალია! რასაკვირველია, ამავე სტატიაში მოტანილი განცხადება, რომ თითქოს ევროკავშირი მონოოქსიდის დიჰიდროგენის (წყლის) შემცველობის გამო ბავშვთა კვების პროდუქტებს კრძალავდეს, ისეთივე არასერიოზულია, როგორც ის ფაქტი, რომ წყალი შხამია!

დაბოლოს, ინტერნეტის გვერდებზე ყოველდღიურად უამრავი ინფორმაცია ვრცელდება; მაგრამ ინტერნეტი ასევე გვაძლევს საშუალებას, შევამოწმოთ ჩვენი ელემენტარული ცოდნა...





# ტურნე აზიაში

პირველი გვერდიდან

ყველასათვის ნათელია, რომ თეთრი სახლის ლიდერის აზიაში სტუმრობის მთავარ ამოცანას პეკინზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. კომუნისტური ჩინეთის მზარდი ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე თეთრ სახლს დიდი ხანია, აღელვებს. ოფიციალური ვაშინგტონის შიში საფუძველს მოკლებული არაა. პეკინს დღეისთვის საკმაო პოტენციალი აქვს იმისა, რომ ახლო მომავალში აშშ არა მხოლოდ აზიაში, არამედ მსოფლიო ასპარეზზე შეცვალოს. აშშ-ს განსაკუთრებით ჩინეთთან არსებული არასახარბიელო სავაჭრო ურთიერთობები აღელვებს (ვაჭრობის სფეროდან მიღებულმა შემოსავალმა ჩინეთს წელს 200 მილიარდი აშშ დოლარი მოუტანა). არსებული ვითარების გათვალისწინებით, პეკინში ვიზიტის დროს, ბუში მთელ რიგ ეკონომიკურ საკითხებზე, მათ შორის ჩინეთის სავალუტო პოლიტიკის ფორმირებასა და კომუნისტურ ქვეყანაში მსხვილ ამერიკულ კომპანიათა ამოქმედებაზე აპირებს აქცენტის გაკეთებას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში ინტელექტუალური საკუთრების მიტაცების გამო ქვეყანაში მოქმედი ბევრი ამერიკული კომპანია ფინანსურად სისტემატურად ზარალდება, 20 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერთან ჰუ ძინტაოსა და ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელთან ვენ ძიაბაოსთან დაგეგმილ შეხვედრაზე ჯორჯ ბუში ინტელექტუალური საკუთრების გარშემო არსებულ პრობლემებზეც გაამახვილებს ყურადღებას. იმაზე, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტი ხმაურიანი იქნება, ისიც მეტყველებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის სტივენ ჰედლის თქმით, პეკინში ვიზიტის დროს ჯორჯ ბუში სიტყვის თავისუფლების პარალელურად, ქვეყანაში არსებულ "დემოკრატიულ სიდუხჭირეზეც" აპირებს საუბარს.



ჯორჯ და ლორა ბუშები კიოტოში ჩავიდნენ.

ანალიტიკოსთა მოსაზრებით, ზესახელმწიფოს ლიდერი მსგავსი ქმედებებით მხარეების ურთიერთობაზე დადებით ზეგავლენას ვერ მოახდენს. ყურადღებას იქცევს ბუშის აზიური ტურნეს მარშრუტიც. პეკინში ჩასვლამდე თეთრი სახლის მეთაური იაპონიას ესტუმრა, რომელთანაც ჩინეთს ბოლო პერიოდში საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს. უცნაურია ზესახელმწიფოს ლიდერის სხვადასხვა აზიურ ქვეყნებში ვიზიტის ხანგრძლივობაც. ჯორჯ ბუში იაპონიაში 2,5 დღეს, სამხრეთ კორეაში 3 დღეს, ხოლო ჩინეთში მხოლოდ ერთ დღეს დარჩება. როგორც ჩანს, ბუშის აზიური ტურნე დიდი პიარ-კამპანიის ნაწილია, რომელიც კომუნისტური ჩინეთის ხელისუფლებაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას ითვალისწინებს. სავარაუდოდ, ამ პიარ-კამპანიის ნაწილი აზიაში ვიზიტამდე აშშ-ს პრეზიდენტის ჩინეთის ერთ-ერთ მთავარ "მტერთან" დალაი ლამასთან ვახშამიც იყო (შეგახსენებთ, რომ ტიბეტის ამჟამად სამშობლოდან განდევნილი ლიდერი ცოტა ხნის წინ იძულებული გახდა, ტიბეტის დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე უარი ეთქვა).

ჩინეთის შემდეგ ბუში მონღოლეთს, კერძოდ მის დედაქალაქს ულან ბატორს ეწვევა. ნიშანდობლივია, რომ მონღოლეთისთვის ეს აშშ-ს პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იქნება (ოფიციალური ვაშინგტონის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ამ ქვეყანას აქამდე ეწვია, იყო ამერიკის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი ჰენრი უოლესი (1944 წელი). თეთრი სახლის ინტერესს მონღოლეთის მიმართ ქვეყნის სტრატეგიული ადგილ-მდებარეობა განაპირობებს (მონღოლეთი რუსეთსა და ჩინეთს შორის მდებარეობს). ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მომავალ წელს მონღოლეთში ამერიკელ სამხედროთა მასშტაბური სასწავლო ოპერაციები უნდა ჩატარდეს, გამორიცხული არ არის, რომ აშშ-ს აღნიშნულ ქვეყანაში თავისი სამხედრო ბაზების განთავსება ჰქონდეს დაგეგმილი.

საგულისხმოა, რომ აზიური ტურნეს დროს აშშ-ს პრეზიდენტი მონაწილეობას "წყნარი ოკეანე-აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის" ყოველწლიურ სამიტში მიიღებს, რომელიც პუსანში (სამხრეთ კორეა) გაიმართება. სამიტის ფარგლებში ბუში სხვადასხვა პოლიტიკოსების პარალელურად მოლაპარაკებებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთანაც გამართავს.

# სახელმწიფოებრივი იდენტობის ღრმა კრიზისი საფრანგეთში

ხათუნა გაბიევი

19 დღიანი სახალხო მღელვარების შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლება პრობლემის გადაჭრის ეფექტიან გზას ჯერ კიდევ ვერ პოულობს და ქმედითი ზომების ნაცვლად მხოლოდ ზეპირ განცხადებებს სჯერდება. არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის დაპირება კი კვლავ დაპირებად რჩება.

**"ქვეყანაში იდენტობის კრიზისი დაიწყო, რაც სამართლიანად უნდა გადავჭრათ, მხოლოდ აუცილებელი პირობა ამ შემთხვევაში კანონმორჩილება უნდა იყოს. მინდა მივმართო იმ ბავშვებს, ვინც გარეუბნებში გაიზარდნენ, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის შვილები არიან და არავითარი სეგრეგაცია არ არსებობს,"** - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა პირდაპირ სატელევიზიო გამოსვლაში.

ჟაკ შირაკი ასევე დაპირდა ახალგაზრდობას "ახალი ჰორიზონტების" შექმნას, კერძოდ, 2007 წელს საფრანგეთში ჩამოყალიბდება მოხალისეთა სამოქალაქო სამსახური, რომელიც 50 000 ახალგაზრდას დამატებითი განათლების მიღების საშუალებას მისცემს. ამ ეტაპზე კი ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის სამი თვის ვადით გაგრძელების სამთავრობო გეგმა უნდა დაამტკიცოს. რაც შეეხება 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის შემოღებულ კომენდანტის საათს, რამდენიმე ქალაქში - რუანში, ჰავრსა და ელბეფში უკვე გაუქმდა.

პარიზის გარეუბანი კი, საიდანაც დაიწყო მასობრივი არეულობები, გუშინ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა მოინახულა.

**"რასაკვირველია, ჩვენ უსამართლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ კარგად მობილიზებული მოქმედება გვმართებს. ეს ყველა ჩვენთაგანის ვალია,"** - თქვა პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივ სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, პედაგოგებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრაზე. დე ვილპენი, რომელიც ხისტი განცხადებებითაა ცნობილი ("ქვეყანა ნაგვისგან უნდა გავწმინდოთ"), ამჯერად, ფრანგული მედიის შეფასებით, შედარებით ზომიერი ჩანდა.

27 ოქტომბერს დაწყებულ მასობრივ არეულობებს "მესამე სამყაროდან" იმიგრირებული პირები უმუშევრობისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლით ამართლებენ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საფრანგეთში არეულობებში მონაწილეობის ბრალდებით 2 838 პირია დაკავებული, ხოლო 8 810 მანქანა - დამწვარი.

# თიბისი ბანკის საერთაშორისო რეიტინგი გაუმჯობესდა

**FitchRating**-მა თიბისი ბანკს **"B-"** რეიტინგი მიანიჭა

*საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო FitchRating-მა თიბისი ბანკის რეიტინგი გააუმჯობესა: ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი "CCC+"-დან "B-" დონემდე გაიზარდა, ხოლო მოკლევადიანი რეიტინგი - "C"-დან "B" დონემდე. გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკის ზრდა შეფასდა, როგორც "სტაბილური".*



FitchRating ერთ-ერთია მსოფლიოს 3 წამყვანი სარეიტინგო სააგენტოთაგან, რომელიც თითქმის ასი წელია, მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების და უმსხვილესი ბიზნეს-კომპანიების რეიტინგებს ადგენს. სააგენტოს ოფისები მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებს, მისი შტაბ-ბინები ლონდონსა და ნიუ-იორკშია განთავსებული. FitchRating-ის დასკვნა წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით ავტორიტეტულ დოკუმენტს, რომელიც აფასებს კომპანიის მართვის ეფექტურობას, განვითარების პერსპექტივას და საინვესტიციო მიმზიდველობას.

თიბისი ბანკი პირველი ქართული კომპანიაა, რომელსაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მიენიჭა რეიტინგი. პირველად თიბისი ბანკს საერთაშორისო რეიტინგი 2000 წელს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "Thomson Financial Bankwatch"-მა მიანიჭა. მას შემდეგ თიბისი ბანკი რეგულარულად იღებს საერთაშორისო რეიტინგს, რომლის მინიჭებაც მომდევნო წლებში FitchRating-ის მიერ ხდებოდა. 2000-2001 წლებში თიბისი ბანკის რეიტინგი "CCC"-ით განისაზღვრებოდა, 2002-2004 წლებში FitchRating-მა თიბისი ბანკის რეიტინგი "CCC+"-მდე გაუზარდა. 2005 წლამდე "B-"რეიტინგი არც ერთ ქართულ ბანკს არ ჰქონია.

"თიბისი ბანკის რეიტინგის ამაღლება მიუთითებს საქართველოში საოპერაციო გარემოს გაუმჯობესებასა და შიდა ბაზარზე თიბისი ბანკის მიერ ათვისებული კლიენტურის მნიშვნელოვან ბაზაზე, ასევე ბანკის მყარ მომგებიანობაზე, კაპიტალიზაციასა და აქტივების ხარისხზე" - ნათქვამია FitchRating-ის განცხადებაში.

სარეიტინგო კომპანიის ექსპერტთა შეფასებით, მომავალში თიბისი ბანკის რეიტინგის კიდევ უფრო ამაღლების წინაპირობა შეიძლება იყოს საოპერაციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება, ასევე ბანკის მომგებიანობის, კაპიტალიზაციის და აქტივების ხარისხის შენარჩუნება მისი სწრაფი ზრდის ფონზე.

თიბისი ბანკი მეოთხე წელია სტაბილურად ინარჩუნებს საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკის პოზიციებს. დღეისათვის ადგილობრივ ბაზარზე მისი წილი შეადგენს აქტივების მიხედვით 25%-ს, ხოლო დეპოზიტების მიხედვით - 31%-ს. 2002 წლიდან მოყოლებული, თიბისი ბანკი ყოველწლიურად სახელდება მსოფლიოს საუკეთესო ბანკების ჩამონათვალში, მათ შორის - ავტორიტეტული გამოცემების, Financial Times Group-ისა და ჟურნალ "Global Finance"-ს საბანკო რეიტინგებში.

# ახლოს რუსეთთან - შორს ევროპისგან

*უზბეკეთი კიდევ უფრო უახლოვდება რუსეთს. ორშაბათს ორ ქვეყანას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც შეიძლება ურთიერთდახმარების (უფრო სწორად, რუსეთის სამხედრო დახმარების) პაქტიც ეწოდოს. თითქოსდა, დასავლეთის "მოკავშირე" რუსეთთან უზბეკეთის კავშირების გაღრმავება, მით უმეტეს, რომ ოფიციალური ვერსიით, ეს თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს საერთო მტრის - "ტერორიზმის" - წინააღმდეგაა მიმართული, დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში არ უნდა სწყენოდათ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ რუსეთის დასავლეთთან "მოკავშირეობა", ისევე როგორც მის მიერ წარმოებული "ტეორირიზმის წინააღმდეგ ბრძოლა", მეტად პირობითი ცნებებია.*

ევროკავშირმა სანქციები დაუწესა უზბეკეთს. ბრიუსელი კატეგორიულად აცხადებს უარს უზბეკეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეშვებაზე შენგენის ზონაში. პირველ რიგში, ევროპისთვის არასასურველი "სტუმრების" სიაში უზბეკეთის ყველაზე გავლენიანი პირები – შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მოხვდნენ. სავარაუდოდ, ამ სიაში მოხვედრის პერსპექტივა უზბეკეთის სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებსაც აქვთ, ანუ ყველა იმ ჩინოვნიკს, "ვინც პირადად არის პასუხისმგებელი მიმდინარე წლის მაისში უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში დატრიალებულ ტრაგედიაზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიებისთვის დაბრკოლებების შექმნაზე".

გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნებს ეკრძალებათ უზბეკეთთან იარაღით ვაჭრობაც. ემბარგო ეხება იარაღის ექსპორტს, სამხედრო აღჭურვილობასა და სხვა მასალებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს "შიდა რეპრესიებისთვის".

ოფიციალური ვერსიით, ეს გადაწყვეტილება უზბეკეთის უზენაესი სასამართლოს "არადემოკრატიულ" განაჩენს მოჰყვა. სასამართლო პროცესზე, რომელსაც ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა "მართლმსაჯულების პაროდია" უწოდეს, ანდიჟანის მოვლენებში მონაწილე 15 ბრალდებული დამნაშავედ ცნეს ტერორიზმში, მკვლელობებში, მასობრივი არეულობის მოწყობაში და 14-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ერთი შეხედვით, ბრიუსელს ადეკვატური რეაქცია ჰქონდა მომხდარზე – მათ ხომ დემოკრატიული ღირებულებების გათელვა არ აპატიეს კარიმოვს. მაგრამ აშკარაა, რომ ევროპული ქვეყნების მიერ უზბეკეთის მთავრობისთვის გამოტანილი "მკაცრი განაჩენის" ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსულ-უზბეკური ალიანსის გამყარება იყო.

რუსეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა, პუტინმა და კარიმოვმა, ორშაბათს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ურთიერთობის შესახებ. ხელშეკრულება უპრეცედენტო სამხედრო-სტრატეგიული და თავდაცვითი ალიანსის შექმნას ითვალისწინებს.

როგორც უკვე "24 საათი" წერდა, დოკუმენტში, ფაქტობრივად, ღია ტექსტითაა ნათქვამი, რომ მოსკოვი მზად არის, უზბეკეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ კრიზისულ ვითარებაში ჩაერიოს, თუკი რეჟიმის სიმტკიცეს საფრთხე შეექმნება.

სანაცვლოდ, ტაშკენტმა მოსკოვს უზბეკეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის განთავსების ნება უნდა დართოს.

**"უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში ცალკეული ხელშეკრულების საფუძველზე ერთმანეთს უფლებას აძლევენ, გამოიყენონ მათ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ობიექტები,"** – ნათქვამია ხელშეკრულებაში.

ასე რომ, ევროკავშირის გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ბევრი ვერაფერი დააკლოს ტაშკენტს - მას ისედაც სამყოფი აქვს შეიარაღება (ანდიჟანში კარიმოვის რეჟიმმა დაამტკიცა, რომ სამხედრო ძალა არ აკლია). ამიერიდან კი, კიდევ უფრო ადვილად შეძლებს "ექსტრემისტთა" გამოსვლების აღკვეთას – მას ხომ რუსეთი დაეხმარება.

ჰქონდა თუ არა კარიმოვს სხვა არჩევანი? ბუნებრივია, არსებული რეჟიმისა და საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში, ძნელად თუ ჰქონდა.

მაისამდე იგი წარმატებით ახერხებდა ცენტრალურ აზიაში გავლენის მოსაპოვებლად (რუსეთის შემთხვევაში - აღსადგენად) მებრძოლ ორ ქვეყანას შორის ბალანსირების პოლიტიკით თავის გატანას. სამხედრო ბაზის სანაცვლოდ, აშშ თვალს ხუჭავდა უზბეკეთში გამეფებულ კორუფციაზე, ავტოკრატიულ მმართველობაზე, ოპოზიციისა და თავისუფალი მედიის შეზღუდვაზე. რუსეთსაც, თითქოს, ძალიან არ ადარდებდა აშშ-ს გავლენის გაძლიერება მისი გავლენის სფეროში (თუმცა, სავარაუდოდ, 2001 წელს კრემლსაც არ ჰქონდა სხვა გზა).

დღეს სიტუაცია შეიცვალა. ნავთობზე ფასების ზრდამ, აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში "დემოკრატიის გავრცელების სტრატეგიის" გაბატონებამ, ჩინეთის არნახულმა აღმავლობამ რეგიონში ვითარება შეცვალა. ვაშინგტონის "დემოკრატიული" ჟინით შეშფოთებულმა ტაშკენტმა ისევ ძველ, მასავით "სტაბილურობის მოყვარე" მფარველს მიმართა დახმარებისთვის. მოსკოვმაც არ დააყოვნა და "სტრატეგიული მეგობრის" ხელი გაუწოდა სტაბილურობის დასაცავად მებრძოლ კარიმოვს. შედეგად, უზბეკეთის პრეზიდენტი მზადაა, ხმამაღლა განაცხადოს, რომ **"რუსეთის პოზიციის გაძლიერება ცენტრალურ აზიაში იქ მცხოვრებთა ფუნდამენტურ ინტერესებს შეესაბამება და მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია იქნება"**.

თუ კარგად დავაკვირდებით, ძალიან საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. დასავლეთთან ურთიერთობების გაფუჭების ხარისხი, პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული რუსეთთან მეგობრობის დონეზე. როგორც ჩანს, კრემლი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ცივი ომისდროინდელი (ან უფრო ადრინდელი) მსოფლმხედველობიდან, როცა შენი მტრის მტერი შენი მეგობარია...

**ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური** იტყობინება, რომ 2005 წლის 13 ოქტომბერს, გაზეთ "24 საათში", ამავე სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოწყობა ვაზისუბნის II-IV მიკრორაიონებში) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ვიქტორია", რომელმაც წარმოადგინა არქიტექტორ ტ. მირგატიას პროექტი, ექსპერტ თ. ქელიძის დადებითი დასკვნით. წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს. საექსპერტო დასკვნაში დადებითად არის შეფასებული პროექტის ვიზუალური და ტექნიკური მხარეები.

ამასთანავე შპს "ვიქტორია" იღებს ვალდებულებას, უსასყიდლოდ ააშენოს და შემდგომში მითითებული პირობებით ექსპლუატაცია გაუწიოს საკონკურსო ობიექტებს.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

ფეხბურთი

## დეკუ: "დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ"

"რეალი"-"ბარსელონას" თამაშამდე ერთი კვირაც კი აღარ დარჩა და "ბარსას" ნახევარმცველი დეკუ დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი "სანტიაგო ბერნაბეუდან" სამ ქულას წამოიღებს. თუმცა, ამის მიუხედავად, პორტუგალიელი მიიჩნევს, რომ "რეალში" უაღრესად ძლიერი ფეხბურთელები არიან თავმოყრილი და მათი დამარცხება არც ისე იოლი იქნება. ამასთან, დეკუს მიაჩნია, რომ გუნდური თვალსაზრისით "ბარსა" "რეალზე" ძლიერია.

**- ამას წინათ ტრავმა მიიღე, როგორ ფორმაში ხვდები "რეალთან" მატჩს?**

- საუკეთესო ფორმაში. ბევრს ვარჯიშობ და ძალიან მინდა მინდორზე გამოვიდე. ასე რომ, ჩემთვის საუკეთესო თამაში საუკეთესო დროს ემთხვევა.

**- ეს შენი პირველი მატჩი იქნება "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ბარსელონას" შემადგენლობაში. განსაკუთრებულად ემზადები ამისთვის?**

- მართალია, "ბარსას" შემადგენლობაში პირველად ვითამაშებ, მაგრამ "ბერნაბეუზე" "პორტუს" შემადგენლობაში უკვე მითამაშია. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მოვემზადები, რადგან "რეალი"-"ბარსელონა" განსაკუთრებული მატჩია.

**- წინა თამაში, რომელიც თქვენ 4:2 წააგეთ, რაღაცნაირად მძიმე ტვირთად გაწევთ?**

- "ბარსამ" მოულოდნელად წააგო, მაგრამ ვიცით, რომ "კლასიკოში" ყველაფერი შეიძლება მოხდეს. წელს კი თამაშს უფრო მომზადებული შევხვდებით.

**- როგორ ფიქრობთ, "ბარსელონას" აქვს შანსი მადრიდში სამი ქულა მოიპოვოს?**

- დიახ, ჩვენ გვაქვს შანსი "ბერნაბეუზე" სამი ქულა ავიღოთ. ამისთვის უბრალოდ ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

**- თუ გავითვალისწინებთ თამაშის მანერაში იმ დიდ განსხვავებას, რაც თქვენსა და "რეალს" შორის არსებობს, სატურნირო ცხრილში ერთქულიანი განსხვავება პატარა დისტანციაა?**

- ახლა ჩვენ კარგად ვთამაშობთ და სეზონის დასაწყისშიც ასევე უნდა გვეთამაშა, მაგრამ მაშინ რაღაც-რაღაცები დასამუშავებელი გვქონდა. ჩვენ ეს გავაკეთეთ და ამიტომაც ამჟამად უკეთესად ვთამაშობთ. თუმცა მიმაჩნია, რომ წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელზე რთული იქნება. რა თქმა უნდა, ძნელია წინასწარი ვარაუდი, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩემპიონი უკანასკნელ ტურებში გამოვლინდება და დარწმუნებული ვარ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

**- რით აღემატება "ბარსა" "რეალს"?**

- ვფიქრობ, როგორც გუნდი, ჩვენ უკეთესი ვართ. ჩვენ შესანიშნავი ფეხბურთელები გვყავს და გუნდური პრინციპიც კარგად გვაქვს აწყობილი. გამარჯვების შანსიც ჩვენ უფრო მეტი გვაქვს.

**- რით აღემატება "რეალი" "ბარსას"?**

- სიმართლე გითხრათ, არაფრით. ჩვენც იმდენივე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გვყავს, რამდენიც მათ, ხოლო როგორც გუნდი, მეტოქეს ვჯობნით. მათ ჰყავთ ფეხბურთელები, რომლებსაც ინდივიდუალურად შეუძლიათ თამაშის შემოტრიალება, მაგრამ მე ვერ ვპოულობ არგუმენტს, რომლითაც დამტკიცდება, რომ "რეალი" ჩვენზე უკეთესი გუნდია.

**- რა არის მიზეზი, რომ ბოლო ტურებში ასე იოლად და მრავლად გაგაქვთ გოლები?**

- კარგად ვთამაშობთ და იმიტომ. თავიდან არც ისე კარგად აგვეწყო საქმე, მაგრამ თანდათან დაცვაში თამაში გამოვასწორეთ და სულ უფრო ნაკლებ გოლს ვუშვებთ. ამას გარდა, ჩვენ ყოველთვის სწრაფი გოლი გაგვაქვს და ეს მნიშვნელოვნად გვიადვილებს მატჩების შემდგომ მსვლელობას.

**- ამჟამად "ბარსელონა" ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს?**

- ვფიქრობ, ოთხი ან ხუთი კარგი მატჩი ჩავატარეთ, ან ისინი სხვებზე უკეთესი იყო. ახლა ყველაფერი რიგზე გვაქვს, მაგრამ არ ვიცი, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს ვთამაშობთ. შეიძლება დღეისთვის ევროპულ კლუბებთან შედარებით უკეთეს ფორმაში ვართ, მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ მუდმივად წარმატებული სერია გქონდეს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ იღბლიანი პერიოდი კვლავაც გაგრძელდება.

**- რა მდგომარეობაში ხვდება მადრიდის "რეალი" მატჩს?**

- მატჩს საუკეთესო ფორმაში ვეგებებით, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშანაც კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ წავაგეთ. მადრიდის "რეალში" შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ. მატჩი მათ სტადიონზე გაიმართება და "რეალს" გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერა ექნება. თანაც "კლასიკოს" ყოველთვის შეგვიძლია ისტორიული მატჩი ვუწოდოთ. ასე რომ, ისინი მინდორზე ისე გამოვლენ, თითქოს ცხოვრების მატჩს თამაშობენ. თუ ჩვენც იგივე ეს გავაკეთებთ, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ.

**- რა განსხვავებაა შარშანდელ და წლევანდელ "ბარსელონას" შორის?**

- უფრო გავძლიერდით. უფრო მეტი ფეხბურთელი გვყავს. გაიზარდა კონკურენცია. შესაბამისად, მწვრთნელსაც მეტი არჩევანი აქვს.

**- თქვენ უფრო მომწიფდით?**

- დიახ. ლა ლიგაში გამარჯვების შემდეგ. გუნდი პრაქტიკულად არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია. მოვიდნენ ახალი, მაღალი კლასის მოთამაშეები, ისეთები, როგორებიც არიან მარკ ვან ბომელი ან ესკერო. მესიც შესანიშნავად ათამაშდა და ტრავმირებულებიც ფორმაში შევიდნენ.

**- რა უნდა გააკეთოს "ბარსელონამ", რომ შარშანდელი მიღწევა გაიმეოროს?**

- ისევე უნდა ითამაშოს, როგორც ახლა და უნდა ახსოვდეს, რომ ჩემპიონატს ოთხი-ხუთი კარგი მატჩით ვერ მოიგებ. ჩვენ ვიცით, რომ კარგ ფორმაში ვართ, მაგრამ გვმართებს ასევე გავაგრძელოთ და რთულ მომენტებში თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ.

**- როგორ ფიქრობ, რონალდო შაბათს ითამაშებს?**

- მინდა, რომ ითამაშოს. ასეთ გრანდიოზულ მატჩებში ყველა საუკეთესომ უნდა ითამაშოს. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უკეთესი იქნება, თუ რონალდო არ ითამაშებს. მის გარეშე "რეალი" უფრო სუსტია, მაგრამ თუ რონალდო მინდორზე იქნება, სანახაობრივად მატჩი უკეთესი გამოვა.

**- როგორ შეიძლება რონალდოს არყოფნა აისახოს მატჩის მსვლელობაზე?**

- როცა ბურთი რონალდოს აქვს, ის ყოველთვის სახიფათოა. მცველებისთვის მისი შეჩერება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ფეხბურთელის.

**- რა შედეგით დამთავრდება შაბათის მატჩი?**

- ვფიქრობ, რომ ბევრი გოლი გავა. მე კი მინდა, რომ არ გავუშვათ, სამაგიეროდ კი სამი ან ოთხი გავიტანოთ.

# ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2005 წლის სეზონს დახურავს: ვაკეში, მიხეილ მესხის სტადიონზე "ხუთჯვაროსნები" იორდანიის ნაკრებს უმასპინძლებენ. ძნელია ჩვენს ეროვნულ გუნდზე ცივი გონებით და საქმიანი ტონით ისაუბრო ბულგარეთში განცდილი მარცხის შემდეგ. წაგება, რომლის იქით არავითარი პერსპექტივა არ ჩანს – აი, ასეთი შეფასება მისცეს ქართულმა მედიამ და ქართველმა გულშემატკივრებმა სოფიაში, "ვასილი ლევსკიზე" მომხდარ კატასტროფას. საქართველოს ნაკრები ერთ თამაშში 6-6 გოლის გაშვებასაც გაუშინაურდა, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მდგომარეობის ტრაგიზმს. თან, ბულგარეთი ნამდვილად არ არის დანია. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დანიაში პირველი ტაიმის მე-17 წუთზე ფეხბურთელი გაგვიძევეს მოედნიდან. ფედერაციამ ეს წითელი ბარათი კატასტროფის ასახსნელ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად გამოიყენა. ამჯერად არც არავინ გაუძევებიათ და მეტოქეც მხოლოდ ბულგარეთი გვყავდა. მაინც ექვსჯერ დავშამათდით...

ყველაზე საოცარი კი იცით, რა არის? თურმე, სწორ გზაზე ვდგავართ(?!). ყოველ შემთხვევაში, ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობა ამაში დარწმუნებულია.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დარსაძე მიიჩნევს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ.*

გუშინ ბასა ღოღობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებელ ტექნიკურ ცენტრში გაიმართა ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცისა და მთავარი მწვრთნელის გაიოზ დარსაძის პრესკონფერენცია, რომელიც იორდანიასთან დღევანდელ მატჩს კი არა, ბულგარეთში განცდილი მარცხის მიზეზების ახსნას და გამართლებას მიეძღვნა. ამ საქმეში ნაკრების ფეხბურთელებმაც შეიტანეს წვლილი. პრესკონფერენციაზე მოვიდნენ კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე, ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე, რომლებმაც ამ მძიმე წუთებში მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას და ნოდარ ახალკაცს. მათი პოზიცია პირადად ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ფეხბურეთელები მოიქცნენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც ჯენტლმენური კოდექსი მოითხოვს. ეროვნული გუნდის ლიდერებმა, ჩემი აზრით, დაუმსახურებლად გადაინაწილეს პასუხისმგებლობა ამ მარცხზე, რითაც გაიოზ დარსაძეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩენის საფუძველი მისცეს. საზოგადოების უკიდურესი გაღიზიანება, მედიის კატეგორიული ტონი მთავარი მწვრთნელის შეცვლის მოთხოვნით – ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, დიდად არ აღელვებთ "სწორ" გზაზე მდგომ ფედერაციის ხელმძღვანელებს.

იცით, ექვსი გოლი რატომ გავუშვით? თურმე იმიტომ, რომ ნაკრებს ნორმალური სავარჯიშო მოედანი არა აქვს. დასახელდა სხვა მიზეზებიც, მაგრამ ბედნიერად იმან მაგრძნობინა თავი, რომ ჩვენს ფედერაციას ამ მიზეზ-მიზეზ-ავადმყოფობების განსაკურნებელი რეცეპტები აქვს და ბულგარეთთან წაგებულ მატჩშიც კი მკურნალობა უკვე დაწყებული იყო. ძნელი სათქმელია, განკურნებისთვის ჯერ გარდაცვალებაა საჭირო თუ 6-6 გოლი მხოლოდ კლინიკური სიკვდილია, მაგრამ ფაქტია: ფედერაციას არჩეული გეზის სჯერა. ჰოდა, რაკი სჯერა, მიმართავს პრინციპს: "ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ".


## ევროკომისია წარმომადგენლობა საქართველოში



2005 წლის 16 ნოემბერი

**კონკურსი დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში გრანტის მოსაპოვებლად**

**კონკურსის საცნობარო ნომერი: EuropeAid/122-302/L/G/GE**

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის (EIDHR) პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში განსახორციელებელი მიკროპროექტების თაობაზე. ***ამ კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი მთლიანი თანხა შეადგენს 560.000 ევროს.***

დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის (EIDHR) მიკროპროექტების პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნებზე, რომლებიც შექმნილნი არიან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად. Gგრანტის მოსაპოვებლად კონკურსზე წარმოდგენილი განაცხადები უნდა ეხებოდეს შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებს:

**დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობა:**

(1) არჩევნების ხელშეწყობის გზით;
(2) აზრის გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის გზით;
(3) ისეთი საქმიანობის ხელშეწყობის გზით, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა დემოკრატიული მმართველობისა და პოლიტიკური დიალოგის პროცესებში.

გრანტებით შეიძლება დაიფაროს პროექტების ხარჯების მაქსიმუმ 80%.

გრანტებით დაფინანსებული პროექტების მაქსიმალური ხანგრძლივობა 24 თვეა.

მინიმალური გრანტი შეადგენს 10, 000, ხოლო მაქსიმალური - 50, 000 ევროს.

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ არაკომერციულ და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ორგანიზაციების სათაო ოფისი უნდა უნდა მდებარეობდეს საქართველოში, ანდა ისინი უნდა წარმოადგენდენ სხვა ქვეყნაში სათაო ოფისის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის ადგილობრივ დამოუკიდებელ განყოფილებას. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს **საქართველოში.** განცხადების შემოტანა შესაძლებელია ცალკე ან ჯგუფში, კონსორციუმის სახით.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ "სახელმძღვანელო მითითებებში გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის", რომელიც ამ განცხადებასთან ერთად ქვეყნდება საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ვებ გვერდზე: http://www.delgeo.cec.eu.int/en/proposals/proposals.html. "სახელმძღვანელო მითითებები გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის" შეგიძლიათ აგრეთვე მიიღოთ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობაში, მისამართზე: თბილისი, ნინო ჩხეიძის ქ. 38 0102, ტელეფონი +995 32 943 763, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-00-დან 17-00 საათამდე.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2006 წლის 6 თებერვალი, 16:00 საათი** საქართველოს დროით. ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ ამ ვადის შემდეგ მიღებული ნებისმიერი განაცხადი არ განიხილება.

კონკურსის შესახებ შეკითხვები უნდა გაიგზავნოს ფაქსზე +995 32 943 768 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int. გთხოვთ მიუთითოთ კონკურსის საცნობარო ნომერი.

კონკურსის მონაწილეებს ვურჩევთ განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე რეგულარულად ეწვიონ ზემოთ მითითებულ ვებ გვერდს, სადაც ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ გამოქვეყნდება პასუხები ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვებზე.



## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. შპს "ბურჯი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
2. ს.ს. "ტყიბულნახშირი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
3. შპს "დემო"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე, ნავთობსაწყობის ტევადობით 870კუბ.მ-ის გზშ ანგარიში;
4. ინდ. მეწარმე კარლო ყიფშიძის მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის დამუშავების პროექტი;
5. შპს "ალგეთი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე მადნეული და არამადნეულის წმინდა დაფქვის საამქროს პროექტი;
6. შპს "უნივერსალი-93"-ის მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ასფალტობეტონის ქარხანის და ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს გზშ ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 22 ნოემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 22 ნოემბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.





# საუბრები 202-ზე

### ტოქშოუების წარსული, აწმყო და მომავალი პოსტრევოლუციურ საქართველოში

ნინია კაკაბაძე

კარგი იქნება, რომ მაშინ, როდესაც გვპირდებიან, ტელეკომპანია 202 ახალ ფორმატზე გადავა და ბადეში ახალ გადაცემებს მოათავსებსო, ტოქშოუ "დებატები 202-ზე" განახლებული სახით თუ არა, ახალი სახელწოდებით მაინც გავიდეს. ტოქშოუს აშკარად უფრო მოუხდება **საუბრები**, ვიდრე **დებატები**. ამას ბევრი მიზეზი აქვს და ყველაფერ ამის შესახებ მოგახსენებთ.

**დავიწყოთ შორიდან.** პოსტრევოლუციურ საქართველოში, სურს თუ არა ეს საზოგადოებას, ოპოზიციური, ცარიელი ნიშა ტელესივრცეში პირველმა ინგა გრიგოლიამ დაიკავა. პირველად სწორედ მის გადაცემაში ითქვა, რომ ყველაფერი არც ისე კარგად არის, როგორც ამას გვეუბნებიან. ზოგს მოსწონს მისი გადაცემის სტილი, ზოგს – არა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: მოგვწონს თუ არა, ეს სიმართლეა. მახსოვს, მაშინ, როდესაც ინგა გრიგოლია ტელეკომპანია "მზეს" წარმოადგენდა, ამ ტელეარხის პროდიუსერები თუ მენეჯერები ერთხმად ამბობდნენ, ჩვენი კომერცია ანუ რეკლამა მხოლოდ ინგა გრგოლია არისო. რასაკვირველია, ამის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ხსენებულ არხზე ალტერნატიული აზრის გამოთქმა სხვა ჟურნალისტებმაც დაიწყეს. მაშინ ჩემი პოზიცია აშკარად განსხვავდებოდა გრიგოლიას პოზიციისგან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაყურებელი მას ყოველთვის ჰყავს – ნებისმიერ არხზე და ნებისმიერ დროს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მაგალითად "პირველებში" გრიგოლია, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემაში მხოლოდ ორი მონაწილეა, რომელთაგან ერთ-ერთი ხშირად რიგითი ჯარისკაცია ხელისუფლებაში ან მის მხარდამჭერებში, საინტერესო სანახაობას მაინც ქმნის. მაყურებელი ცოცხალი კამათის და დებატების დამკვირვებელი ხდება. ის, რაც ზოგადად დებატების კულტურაში ქართველებსაც გვიჭირს და ტელეგადაცემებსაც, მეორე საკითხია და ამის შესახებ წინა წერილში ვისაუბრეთ. სანახაობა, რომელიც მაყურებელს ეკრანთან აჩერებს, ამ გადაცემაში ნამდვილად არის. რა არის მთავარი მიზეზი?!

**მიზეზი** ის არის, რომ გადაცემაში წარმოდგენილია ორი განსხვავებული მოსაზრება, ორი პოზიცია ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, რა პრობლემა გვაქვს იმ გადაცემაში, რომელიც პოსტრევოლუციურ საქართველოში გრიგოლიას შემდეგ იკავებს ოპოზიციურ ნიშას. დემოკრატიის კუნძულია – ასე მოიხსენიებენ მას გადაცემის აქტიური მაყურებლები და შემდეგ მათი სიტყვების ციტირებას ახდენენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ოღონდ, რასაკვირველია, მათთვის ჩვეულ ირონიულ ტონში. რა ხდება დემოკრატიის კუნძულზე, სადაც, ვიდრე საზოგადოებისთვის სამწუხარო შემთხვევა მოხდებოდა (შალვა რამიშვილის დაპატიმრება პარლამენტის წევრისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით), სურათი გაცილებით მარტივი და ხელისუფლებისთვის მომგებიანი იყო. ძველი სატელევიზიო სახე განსხვავებულ ამპლუაში, იუმორისტული სტილიდან პოლიტიკურ ნიშაში. ტოქშოუ მხოლოდ თბილისის რადიუსით ვრცელდება, მაგრამ დედაქალაქში მაყურებელთა იმ რაოდენობას აგროვებს, რაც გადაცემის არსებობის შესაძლებლობას ქმნის. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ზოგადად მედიასივრცეში არსებული განსხვავებული აზრისა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოპოზიციური აზრის დეფიციტი გახდა. შალვა რამიშვილის დაპატიმრების შემდეგ გადაცემას ჰყავს სამი წამყვანი (ერთ-ერთი მათგანი დროებით გამოაკლდათ), რომლებიც ერთმანეთს ცვლიან.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მთავარი პრობლემა გადაცემაში "დებატები 202-ზე" ის გახლავთ, რომ მისი სტუმრები ძირითადად თანამოაზრეები არიან და ერთხმად უკიჟინებენ ხელისუფლებას. რამდენად მისაღებიც არ უნდა იყოს მათი მოსაზრება მომთხოვნი მაყურებლისთვის, მაინც ძნელია გამუდმებით უსმინო ერთხმად მოლაღადე პოლიტიკურ ოპოზიციას თუ ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების წევრებს. აქაც ორი მიზეზია: პირველი - გადაცემის მიზანი აშკარად ხელისუფლების კრიტიკაა. მეორე - გადაცემაში მონაწილეობაზე უარს ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ხელისუფლების პროტესტსაც მარგინალური არხის მიმართ (როგორც თვითონ უწოდებენ), ორი მიზეზი აქვს. არაფერია ცალმხრივი, სწორხაზოვანი.

**ხელისუფლების მხრიდან 202-ის იგნორირება** კიდევ უფრო ამძლავრებს არხის მარგინალიზაციის პროცესს, რომელიც საბოლოოდ უინტერესო სანახაობას ქმნის. დაინტერესებული და ობიექტური მაყურებელი არხს დღითიდღე ხელიდან ეცლება. ეს კი გარკვეულწილად ამა ქვეყნის ძლიერთა პატარა გამარჯვებაა. სიძლიერის გამოხატვისთვის მხოლოდ ძალადობრივი გზა არ არსებობს; მშვიდობიანი, ინდიფერენტული დამოკიდებულებითაც შესაძლებელია გამარჯვების მოპოვება. მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე მიზეზი: რატომ არ მონაწილეობს ხელისუფლება "დებატებში 202-ზე".

**არ შეიძლება არ აღვნიშნოთ**, რომ დებატების წამყვანები ქართული ტელევიზიის სინამდვილეში ყველაზე ერუდირებული, საქმეში ჩახედული და კომპეტენტური ადამიანები არიან, მაშინ როდესაც კვალიფიციური და პროფესიონალი წამყვანები ოპოზიციურად არიან განწყობილნი ჩვენს მიმართ, მათი მიზანია გამოგვიჭირონ ტყუილში და ხალხს ჩვენი ნამდვილი სახე დაანახონ. რასაკვირველია, რისკის ფაქტორი გაცილებით დიდია. ჩნდება კითხვა: თუ ხელისუფლებას ეშინია მცოდნე წამყვანის, რატომ არ ეშინია პოლიტიკური ოპონენტის? მაყურებლის წინაშე ხელისუფლება მის პოლიტიკურ ოპონენტთან ერთ სიბრტყეზე მოიაზრება, საზოგადოება მათ სახეებში ყოველთვის საერთო, მანკიერ ზრახვებს ეძებს. ურთიერთბრალდებების პირობებში ყოველთვის შესაძლებელია მაყურებელთა ემოციების მანიპულირება. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი სხვა სფეროს წარმოადგენს და მასთან შეუძლებელია თანასწორუფლებიანი კამათი. ჟურნალისტს ვერ დავაბრალებთ, რომ ამა თუ იმ კანონის გატანაში მისი პირადი ინტერესი იდო, მისი ხელმოწერით თუ შეცდომით მოხდა ესა თუ ის ფაქტი. დაბოლოს, ვერ ვეტყვით, რომ მათ მხოლოდ პოლიტიკური პიარის გაკეთება სურთ. ამიტომ თუ ხელისუფლების წარმომადგენელს ჟურნალისტი უტევს, გაცილებით ძნელია საკუთარი სიმართლის დამტკიცება და, რაც მთავარია, სხვისი გამტყუნება.

**ახლა რაც შეეხება წამყვანებს დამოუკიდებლად.** უკვე ვთქვით, რომ დებატების სამივე წამყვანის ინტელექტუალური შესაძლებლობები და საქმის ცოდნა აშკარად ამოვარდნილია ქართული ტელესივრცის სინამდვილიდან. განსხვავება სხვა ჟურნალისტებთან თუ წამყვანებთან ძალიან მკვეთრი და თვალშისაცემია, მაგრამ...

**მაგრამ არსებობს, მაგრამ.** დასაწყისში ისიც აღვნიშნე, რომ "დებატების" სამივე წამყვანი ხელისუფლების აშკარა ოპონენტია. არც ერთი მათგანი (მეტ-ნაკლებად) არ ცდილობს დაფაროს საკუთარი დამოკიდებულება და პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე "რეფორმების" მიმართ. არავის დაუკანონებია, რომ ტოქშოუს წამყვანი აუცილებლად უნდა იყოს ობიექტურობის განსახიერება. ეს წარმოუდგენელიც არის, რადგან თუ ჩვენ ვართ სუბიექტები და გვაქვს სუბიექტური მოსაზრება სხვადასხვა მოვლენის თუ პოლიტიკოსის მიმართ – ვერ დავმალავთ ჩვენს სუბიექტურ დამოკიდებულებას. ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ტელემაყურებლისთვის, ყოველთვის საინტერესოა ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით ჟურნალისტის თუ წამყვანის პოზიციის გაგება, თუ თემა თავად არის განსჯის ღირსი და არ არის მხოლოდ ამა თუ იმ ფაქტის კონსტატაცია; მაგალითად, უბედური შემთხვევა, თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეზე, ავტოკატასტროფა და ა.შ. მაგრამ თუ რუსულ კალკს გამოვიყენებ, ოქროს შუალედი ყველგან ყველაზე ფასეულია. ვიდრე ერთ კრიტიკულ მოსაზრებას გამოვთქვამდე, მინდა ვთქვა, რომ **კობა ლიკლიკაძე,** ჩემი აზრით, არა მხოლოდ ტელეკომპანია 202-ში, არამედ მთელ ქართულ ტელესივრცეში ყველაზე დახვეწილი, გაწონასწორებული წამყვანია და, აქედან გამომდინარე, მისი გადაცემებიც ყველაზე საინტერესო საყურებელია (განსხვავებული აზრის წარმოდგენის საშუალება რომ ჰქონდეს). განსხვავებული აზრი ამ არხზე სახელისუფლო აზრს გულისხმობს. ამიტომ კრიტიკული მოსაზრება, რომელსაც ქვევით მოგახსენებთ, ლიკლიკაძეს პრაქტიკულად არ ეხება.

**რაც შეეხება დარჩენილ ორ წამყვანს.** მათი კრიტიკული დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია იმისა, რომ "დებატებს 202-ზე" მაყურებელი ჰყავს. მაგრამ თუ იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრიტიკა მათი ერთადერთი მიზანია, ეს უკვე მიუღებელია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ უკანასკნელ ხანს 202-ის ეთერში მომრავლდნენ გურამ შარაძის მსგავსი ოდიოზური სახეები. არ შეიძლება ერთი მანკიერების გასაკიცხად მეორე მანკიერება გამოვიყენოთ. მაშინ ყოველგვარი კრიტიკა ფასს კარგავს. თუ დღევანდელი ხელისუფლება ქვეყანას ტყუილებით აშენებს, 202-ის სტუმრები ქვეყანაში ბნელ და ძირმომპალ იდეოლოგიას თესავენ. ამიტომ, სამწუხაროდ, ოპოზიციურად განწყობილი დებატების წამყვანები, იმ მიზნით, რომ ქართული მთავრობა, რბილად რომ ვთქვათ გააკრიტიკონ, ხშირად კვერს უკრავენ იმ პოლიტიკოსებს თუ საზოგადოების წევრებს, ვინც არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

**გარდა ამისა**, მაშინ როდესაც ვთქვით, რომ წამყვანები რადიკალი ოპოზიციონერები არიან, სამწუხაროდ, თვითმიზნად ქცეული კრიტიკა მათ ბაგეებსაც აიძულებს წარმოთქვან ის, რასაც დიდი სიამოვნებით იტყოდა შარაძე, კირთაძე, შაშიაშვილი, არჩვაძე, ბაღათურია და სხვანი, დანი და ძმანი მათნი. ასე რომ, სავარაუდო ოქროს შუალედს ჯერ ისევ ინგა გრიგოლიას ტოქშოუები ფლობს.

მათ – ხოფერიას, გრიგოლიას, კაკაბაძეს, ჩხარტიშვილს და ლიკლიკაძეს განსხვავებულ, მაგრამ რთულ პირობებში უწევთ საქმიანობა. ყოველ მათგანს განსხვავებული წნეხის ქვეშ უწევს მუშაობა. ყოველ მათგანს განსხვავებული პრობლემა აქვს იმისთვის, რომ საავტორო ტოქშოუ საინტერესო, პროფესიონალური, კომპეტენტური, სანახაობრივი გახადოს. მაგრამ ვიყოთ ოპტიმისტები და გვჯეროდეს – თუ ერთი წლის წინ განსხვავებული აზრის მოსმენა ქართულ ტელესივრცეში წარმოუდგენელი იყო, დღეს ამის აშკარა ნიშნები ჩანს. იმედია, ერთი წლის შემდეგ ყველა ძველი თუ ახალი ტოქშოუ გაცილებით დახვეწილი იქნება და მომავალში ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას წაადგება.






# ფემინისტური (შ)ორეულები

### წესიერების ფარგლებში დაწერილი თამრი ფხაკაძის სკანდალური რომანი

ია ვეკუა

ამ წერილს ნაკლები პრეტენზია აქვს, რომ მცირე სკანდალს მაინც გამოიწვევს, მაგრამ ის, რის შესახებაც მასში მოგითხრობთ, სწორედ, ამისთვისაა განწირული. თამრი ფხაკაძის რომანი "(შ)ორი მე" ჩვენი საზოგადოების ზნეობისა და კდემამოსილების დამცველთა შემოტევებისთვის უკვე მზადაა, თუმცა მანამდე პირველ შემოტევას მკითხველისგან ელის.




"(შ)ორი მე" თამრი ფხაკაძის პირველი რომანია, რომლის წიგნად ქცევაში საკუთარი წვლილი გამომცემლობა "დიოგენემ" შეიტანა, მისი საზოგადოებისთვის გაცნობის პატივი კი "ლიტერატურულმა კაფემ" იტვირთა. საერთოდ, გამომცემლობა "დიოგენე" ფხაკაძისთვის ერთგვარი თილისმაცაა. მწერლის ერთგვარი დებიუტი, სწორედ, "დიოგენეს" მიერ ქართული ლიტერატურული სივრცისთვის მოვლენილი "Penმარათონის" პირველ გამოშვებაში შედგა - მან მესამე ადგილი მოიპოვა მოთხრობისთვის "გაკვეთილი". ამავე გამომცემლობის მიერ დასტამბული კრებულისთვის "სანამ დაგვიძახებენ" 2004 წელს ლიტერატურულ პრემია "საბას" დებიუტანტის ნომინაციაში გაიმარჯვა. ჯერჯერობით, ძნელია იმის თქმა, რამდენად იღბლიანი აღმოჩნდება მწერლისა და გამომცემლობის მორიგი დაწყვილება, მაგრამ რომანი დიდი რეზონანსისთვის რომ არის განწირული, ეს ცალსახაა.

"ლიტერატურულ კაფეში" გამართული პრეზენტაციის ერთობ ფემინისტური განწყობა უკვე იძლეოდა იმის მყარ საფუძველს, რომ რომანი ამავე სულისკვეთებას ინარჩუნებს. ნაწარმოების გმირი, ისევე როგორც ავტორი, ქალია და ამავე სქესის წარმომადგენელთა შესახებ მოგვითხრობს. რომანის მთავარი გმირი მარი მ. სინორჩის ასაკს გადაბიჯებული, კარგი ოჯახის მქონე და ღრმად მორწმუნე ქალია. მან კარგად უწყის, რას მოითხოვს მისგან ქრისტიანული მოძღვრება, მაგრამ იგი, პირველ რიგში, ქალია, ამიტომ გონება ხანდახან შედარებით მსუბუქი ფიქრებისკენ გაურბის.

**თამრი ფხაკაძე:** "ჩემი გმირის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მასში 50/50-ზეა გადანაწილებული რელიგიური და ქალური საწყისი. ერთი ნაწილი უფრო მეტი რომ იყოს, ცხოვრება გაცილებით გაუადვილდებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არჩევანის გაკეთება უწევს. დღეს ისეთი დროა, როდესაც სექსმა სიყვარული მეორე პლანზე გადააგდო. უკვე ველარ ვიგებ, სად არის სიყვარული და სად ფიზიკური ლტოლვა. მინდოდა, რაც შეიძლება ლამაზად შევხებოდი სიყვარულისა და ეროტიკის თემას, თანაც ისე, რომ გვერდი ამეარა ბინძური დიალოგებისა და ჟარგონებისგან. რომანის გმირი საკუთარ ცხოვრებაზე პირველ პირში საუბრობს, რაც იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მარი მ. გარკვეულწილად, მეც ვარ."

ეროტიკა, ფიზიკური ლტოლვა - ეს ის თემებია, რომლის შესახებაც ქართველი ქალები ღიად იშვიათად საუბრობენ და, მით უმეტეს, არ წერენ. თამრი ფხაკაძემ გაბედა, დაწერა და ეს ნაბიჯი საკმაოდ გააზრებულადაც გადადგა - იგი მზადაა ნებისმიერი სახის კრიტიკული თავდასხმისთვის, თუმცა თავდაცვის ინსტინქტს მაინც ვერ უმკლავდება: "სკანდალს ველოდები, თუმცა არ მგონია, რომ წერისას წესიერების ზღვარს გადავედი".


# განცხადება ვაკანსიაზე, ელექტრო ტექნიკოსი

BP საქართველო იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სუფსის ტერმინალზე ელეტრო ტექნიკოსის** პოზიციის დასაკავებლად..

სამუშაოს ადგილმდებარეობა: სუფსის ტერმინალი

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული ფუნქციები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

■ გამოხატული ერთგულება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების მიმართ.

■ მონაწილეობას მიიღებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიებაში საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს დადგენილი ქმედებების ზუსტი შესრულება.

■ იმუშავებს ექსპლუატაციის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაგეგმილ ტექნიკური მომსახურების საქმიანობებს.

■ უზრუნველყოს მაღალი სტანდარტი უსაფრთხო და მიღებული ელექტრო ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამოყენებით, განახორციელოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების დავალებები, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულ დისციპლინურ უნარ-ჩვევებს.

■ აჩვენოს სრული და ძირფესვიანი ცოდნა სამუშაოების წარმოების ნებართვის სისტემისა და ელექტრო იზოლაციის პროცედურებისა. დახმარება გაუწიოს ექსპლუატაციის ჯგუფს თითოეული სამუშაო დავალების ნებართვის პირობების განვითარებაში.

■ ჩანაწერების განხორციელება ტექნიკური მომსახურების Maximo სისტემაში, შესრულებულ სამუშაოზე ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფით.

■ განახორციელოს ხელმძღვანელის მითითებით საგანგებო მდგომარეობაში დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

**განათლება და მუშაობის გამოცდილება**

■ სათანადო უნივერსიტეტის დიპლომი ტექნიკურ სფეროში (საინჟინრო).

■ 3 წლის მუშაობის გამოცდილება სამრეწველო ობიექტებზე, მაგალითად, ელექტრო და ხელსაწყოებთან მუშაობის.

■ ინგლისური ენის ცოდნა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და შემდგომი განვითარების სურვილი

■ მანქანის ტარების ცოდნა (სულ ცოტა B კატეგორია)

■ კომპიუტერის ცოდნა

■ პირადი უნარ-ჩვევების ადაპტაციის უნარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **22 ნოემბერი, სამშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

საცხოვრებელის უზრუნველყოფა სუფსაში იქნება შერჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**სუფსის ტერმინალის ადმინისტრაცია**
სოფ. გრიგოლეთი,
ლანჩხუთის რაიონი
**ან**
**კადრების განყოფილება**
BP Explorations Caspian Sea Ltd.
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ინფორმაცია განსჯისათვის

### ამერიკელი ანალიტიკოსები აფხაზეთში ომს წინასწარმეტყველებენ

ამერიკულ ანალიტიკურ ცენტრში, სტრატფორში ვარაუდობენ, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებები მალე დაიწყება. ცენტრის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საბრძოლო მოქმედებების დაწყება შეუძლიათ გალის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანულ ძალებს. "ისინი ამას გააკეთებენ იმიტომ, რომ სარგებლობენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერით," – აცხადებენ ცენტრის ექსპერტები. მათი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტიზანულ მოძრაობას მხარდაჭერა შეუწყვიტეს, მაგრამ დღეს პარტიზანული ტაქტიკა თბილისმა ისევ დღის წესრიგში დააყენა.

ამასთან, სტრატფორელების აზრით, სააკაშვილს აფხაზეთში ომის დაწყება არ სურს, ვინაიდან გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, თბილისი აპირებს, რომ პარტიზანული მოძრაობა აფხაზებთან მოლაპარაკებებში წარმატების მისაღწევად გამოიყენოს.

*"რეგნუმ.რუ"*

***P.S.* რედაქციისაგან:**
*რუსული საინფორმაციო წყაროები აფხაზეთის საკითხში ობიექტურობით არასოდეს გამოირჩეოდნენ.*

## გამოკითხვა

**აფხაზეთიდან დევნილებისათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში ბინებს ყიდულობს. ამასთან, მათ დევნილის სტატუსი შეუნარჩუნდებათ. ამ პროექტის პირველი ეტაპი 150 ოჯახზეა გათვლილი. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

**დავით ზარდიაშვილი**, იურისტი, ექსპერტი: "როცა ეთერ ასტემიროვამ, აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე საათნახევარი ისაუბრა მისი სამინისტროს მუშაობის კონცეფციაზე, კახა ბენდუქიძის ერთი შეკითხვით ის საუბარი მთლიანად წყალში ჩაიყარა. ბენდუქიძემ იკითხა: "რა სტრატეგია არსებობს - ჩვენ ლტოლვილების კონსერვაციას ვაწარმოებთ, რომ როცა იქნება, ისინი დავაბრუნოთ, თუ მათ ინტეგრაციას ვახდენთ?" ასტემიროვას მაშინ პასუხი არ ჰქონდა. ჩვენ თუ მათ ბინების შესაძენად ვაუჩერებს დავურიგებთ, როგორც ამას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აპირებს, ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ძირითადად, თბილისში დასახლდებიან, თავიანთ საქმეს იპოვიან, ინტეგრირდებიან და მაშინ იქ ვის ვაბრუნებთ? თუ ჩვენ ვაპირებთ ისინი შევინარჩუნოთ, როგორც აფხაზეთის მოსახლეობა, რომელიც, ადრე თუ გვიან, იქ უნდა დაბრუნდეს, აბსოლუტურად სხვა პოლიტიკაა საწარმოებელი. სამწუხაროდ, მე შემიძლია გითხრათ, რომ ჯერჯერობით არ არსებობს გამოკვეთილი სტრატეგია ამ თვალსაზრისით. არსებობს სხვა ქვეყნების გამოცდილება. როცა ამ ჯგუფის კონსერვაცია ხდება, აქ სულ სხვაგვარი სოციალური ადაპტაცია მიმდინარეობს - ისე კი არა, რომ სხვა ჯგუფებთან დაპირისპირება შეიქმნას, მაგრამ ისე, რომ მათ, პირველ რიგში, უნარჩუნდებათ თავიანთი სტატუსის შეგრძნება, მაგალითად - რომ ისინი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა არიან."

**ზაკირ გასანოვი**, მარნეულის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის საკითხებში: "მე ვფიქრობ, პირველ ეტაპზე ეს მისასალმებელია - რომ ადამიანებს ჰქონდეთ სახლი და ყოფაცხოვრების ელემენტარული პირობები, რომ მათ საყოფაცხოვრებო პრობლემები მოიგვარონ. მაგრამ, მეორე მხრივ, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, აშშ-მ უნდა გააძლიეროს თავისი გავლენა ამ კონფლიქტების სწრაფი მოგვარებისათვის. მოხდეს ამ ადამიანების დაბრუნება თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და იქ შეექმნათ მათ ცხოვრების უსაფრთხო და ნორმალური პირობები. ეს ადამიანები ნელნელა უნდა დაბრუნდნენ ჩვენი საქართველოს ამ კუთხეებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, იქ, სადაც მათ ჰქონდათ თავიანთი წეს-ჩვეულებები, რიტუალები, როგორც სხვა კუთხეების წარმომადგენლებს. პარალელურად, მე ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით უნდა მოხდეს მხარდაჭერა და დაფინანსება იმ პროექტებისა, რომელთა საშუალებით დევნილ ბავშვებს, ვინც თბილისში ან საქართველოს სხვა კუთხეებში აღიზარდა, არ დაავიწყდებათ თავიანთი მშობლიური ადგილები და დოკუმენტური ფილმებისა თუ სპექტაკლების, ან სხვა ღონისძიებების საშუალებით მათ მშობლიურ კუთხეზე შთაბეჭდილება ვიზუალურად მაინც შეექმნებათ."

**ინა სელიპანაშვილი**, ეკონომისტი: "მე, პირადად, მომწონს ეს პროექტი და, ვფიქრობ, გაამართლებს. იმიტომ, რომ ბევრმა ლტოლვილმა მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევა შეძლო - ბინები იყიდეს, დასაქმებულნი არიან საკმაოდ კარგად. მაგრამ უმრავლესობას ძალიან უჭირს, და ასეთ ცუდ პირობებში როდემდე უნდა ცხოვრობდნენ სასტუმროებში თუ ბავშვთა სახლებში? როცა ინტეგრაციის საშიშროებაზე ლაპარაკობენ, ის ისედაც არსებობს. ახალი თაობა წამოვიდა, უკვე ახალ ცხოვრებას არიან მიჩვეულები, თბილისელები გახდნენ. ბევრი არ იქნება მათ შორის ისეთი, რომელიც იმისთვის დაბრუნდება, რომ მუდმივად იქ იცხოვროს. ისინი ჩავლენ იქ, როგორც სოფელში მივდივართ ბებიასთან და ბაბუასთან. დაბრუნდება უფროსი ასაკის ხალხი, ახალგაზრდა თაობა კი, ძირითადად, დასასვენებლად ჩავა."

**ნონა შენგელია,** ფიზიკოსი: "ჩემი აზრით, ეს ინიციატივა მისასალმებელია. ჩვენმა სახელმწიფომ ვერ შეძლო, დევნილები სათანადოდ დაეცვა და შეენახა. ეგებ, სხვები მაინც დაგვეხმარონ და ამ ხალხმა თავის სამშობლოში თავი ადამიანებად იგრძნონ. ახლა ამბობენ, რომ თუ ეს ხალხი აქ დამკვიდრდება, აფხაზეთში ვიღას ვაბრუნებთო? ძირითადი ნაწილი, ვინც დამბრუნებელი იყო, არალეგალურად უკვე დაბრუნდა და ცხოვრობს თავის მიწაზე, თუმცა მუდმივი შიშის ქვეშ. მაგრამ აფხაზებს მაინც მოუწევთ, მათ ანგარიში გაუწიონ. რაც შეეხება დანარჩენებს, მათგანაც დაბრუნდება ერთი ნაწილი მუდმივად საცხოვრებლად, როცა ეს საკითხი ოფიციალურად გადაწყდება, მაგრამ იძულებით ვერავის დააბრუნებ. ახლა, რაც შეეხება ამ მედლის მეორე მხარეს - ჩემი აზრით, ეს აქცია იწყება იმისათვის, რომ საქართველო ნატო-ში შესასვლელად მოემზადოს. მაგრამ თუ ეს იმის საფასურად მოხდება, რომ საქართველო უარს იტყვის თავის ტერიტორიებზე, ასეთი არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი."

## გადარჩენილი ფოტოები



**სოხუმი, 1982 წელი. გიორგი ცაავას ქორწილში. მარცხნიდან: ვანო, ქეთინო, გურამ, ლუბა, ნინო ცაავები და შაქრო ცავა (მარცხნიდან მეორე).**
*ფოტო მოგვაწოდა ციური ცაავამ.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# გალელ მძევალთა სიცოცხლისათვის

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს პარლამენტის ულტიმატუმმა თავისი საქმე გააკეთა – ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვის მორიგი ტალღა გამოიწვია, რამაც არაერთი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე უკვე შეიწირა. რა თქმა უნდა, ულტიმატუმის ავტორებს უფრო კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდათ და ამოძრავებთ – კონფლიქტური ზონებიდან მშვიდობისმყოფელებად წოდებული, რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა და დაკარგული ტერიტორიების შემოერთება. მაგრამ ისიც ყველამ იცოდა, რომ დიდ ქვეყანასთან ჭიდილს, რომლის სტომაქს გაუმაძღრობით ქვეყანაზე ბადალი არ ჰყოლია, დიდი პროვოკაციებიც მოჰყვებოდა. მართალია, საშვილიშვილო მიზნებს საქვეყნო მსხვერპლიც თან ახლავს ხოლმე, მაგრამ, როცა საკუთარი ხალხი სეპარატისტების ხელში, ფაქტობრივად, მძევლადაა დატოვებული, ულტიმატუმის ვადა მაინც უნდა იყოს მოკლე, რომ ერთი-ორი კაცი ცოცხალი გადარჩეს. დღეს გალში ქართულ ოჯახებს ყოველდღე აწიოკებენ, ზოგს ცემით კლავენ, ზოგს – ტყვიით. ცოცხლებს ემუქრებიან, ვინც ჩვენს მოქალაქეობას და სამხედრო ფიცს არ მიიღებს, ქვეყნიდან გავყრითო. 1 ივნისამდე, ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე, 200 დღე და კიდევ ერთი, საგაზაფხულო გაწვევაა. ჩვენს ხელისუფლებას კი ასეთი განცხადებების გაკეთების მეტი არაფერი შეუძლია:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - **"სამშვიდობოები თვალებს ხუჭავენ შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფებების მოქმედებებზე. კონფლიქტურ ზონებში ადამიანის უფლებების დაღრვევასა და ძალადობას დასასრული არ უჩანს. საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ გამოთქვა უკიდურესი შეშფოთება იმის გამო, რომ კონფლიქტურ ტერიტორიებზე თავისუფლად მოთარეშე ბანდფორმირებები იტაცებენ ადამიანებს და ეს ხდება სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ზონებში. მკვლელობებისა და გატაცებების ფაქტები ადასტურებენ, რომ სამშვიდობოები თვალს ხუჭავენ იმ კრიმინალური დაჯგუფებების არსებობაზე, რომლებიც მოქმედებენ სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების მფარველობის ქვეშ. მიმდინარეობს ქართული ეთნიკური მოსახლეობის მიზანმიმართული ტერორი. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან წაყრუებამ და აღნიშნული ფაქტების სათანადო შეუფასებლობამ კი შეიძლება ისედაც დაძაბულ ვითარება კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანოს და უმძიმესი შედეგები გამოიწვიოს."**

ჩვენმა პარლამენტმა რუსეთს უთხრა, რომ თუ მისი ჯარი ნაკისრ სამშვიდობო ვალდებულებას 1 ივნისამდე პირნათლად არ შეასრულებს, მოვითხოვთ სამშვიდობო კონტინგენტის დაუყოვნებლივ ჩანაცვლებას მართლაც ნეიტრალური საერთაშორისო ძალებითო. მოსკოვმა შესაბამისი საპასუხო განცხადებები ჯერ თვითონ გააკეთა და შემდეგ დე ფაქტო პრეზიდენტს, ბაგაფშს ათქმევინა: **"საქართველოს ულტიმატუმებმა ყველას თავი მოაბეზრა. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მანდატის შეცვლა აფხაზური მხარის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.**

**ასეთი სურვილი აქვს ეუთოს, ამით დაინტერესებულია ნატო, სამშვიდობოების შერეული ძალებით ჩანაცვლებას მოითხოვს საქართველო, მაგრამ აფხაზეთის პოზიცია უცვლელია – აფხაზეთის ტერიტორიაზე არავითარ შერეულ ძალებზე არ შეიძლება იყოს საუბარი. 12 წელია, დამუშავებული სქემით ვმოქმედებთ და მისგან უარის თქმას არ ვაპირებთ."**

ამრიგად მოსკოვი ისევე თავისუფლად არღვევს ყველა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმას, როგორც აფხაზი სეპარატისტები - ადამიანის უფლებებს, და არც ერთისთვის და არც მეორესთვის სამყაროში რუსეთის გარდა სხვა ქვეყანა არ არსებობს. საქართველოს ხელისუფლება კი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არსებობენ სხვა ძლიერნიც ამა სოფლისანი და მიხეილ სააკაშვილის პირით ამბობს, რომ **"ნატო აქტიურად უნდა ჩაერთოს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ჩვენ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციასთან ერთად ამ მიმართულებით საინტერესო გეგმები გვაქვს და იმედია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ევროკავშირიც ჩაერთვება."**

მეტი დამაჯერებლობისთვის ნამდვილად გამოდგება იმხანად საქართველოში სტუმრად მყოფი და სააკაშვილის გვერდზე მდგომი, ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის სიტყვები: **"რაც არ უნდა მოხდეს ამ რეგიონში – სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა პროცესები - და იმის მიუხედავად, თუ რა სირთულის იქნება პრობლემები, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ვიყოთ და ვიმუშაოთ თქვენთან ერთად. დიახ, ჩვენ ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებში აქტიურ ჩართვას ვაპირებთ."**

ლიტვას არაფერს ვერჩით, მაგრამ სხვა მხრივ დაპირებები ბევრია; იმდენად ბევრი, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღენიადაგ სახვეწარი ნამდვილად აღარ უნდა ჰქონდეს, საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების რეალური ჩართვა.

ამასობაში, ქართულ-აფხაზურ დაძაბულ ურთიერთობას სულ უფრო ახალი ნაპერწკალი ემატება. ასპარეზზე გამოვიდა ოფიციალური პარტიზანი და "თეთრი ლეგიონის" რაზმის ლიდერი ზურაბ სამუშია: **"ამჟამად გალის რაიონის ქართული მოსახლეობა სრულიად დაუცველია. სეპარატისტები კი დაუსჯელობით სარგებლობენ და მშვიდობიან მოსახლეობას ატერორებენ. სიტუაციის ანალიზი გვაჩვენებს, რომ აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლება აუცილებელია. ახლო მომავალში პარტიზანების საერთო კრებაზე გადავწყვეტთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ."**

ზურაბ სამუშიას ფენომენი ისტორიკოსებისთვის, ალბათ, მუდმივ გამოცანად დარჩება. იგი ყოველთვის აკრძალული იყო, მაგრამ ყოველთვის ჩანდა და პარტიზანობას იჩემებდა, პარლამენტში სტუმრობდა, ინტერვიუებს იძლეოდა, სეპარატიზმის რისხვად გვევლინებოდა. მის მფარველობას საქართველოშიც და რუსეთშიც ყველა უარყოფდა და ასევე ყველა ამაოდ მოითხოვდა მის შეჩერებას. ვითარება ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეიცვალა, როცა პარტიზანული მოძრაობა და, მათ შორის, სამუშიას საქმიანობაც რეალურად აიკრძალა. ახლა, სამუშიას განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ყველაფერი თავიდან იწყება. არადა, ხმაურიან დაჭერებში უკომპრომისო ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლების პირობებში ასეთი თვითნებობა წარმოუდგენელი უნდა იყოს. ლოგიკით, ტყეში გასვლისა და სროლის მსურველი თავის მხარეს უფრო უნდა უფრთხოდეს, ვიდრე მტერს და ყოველმხრივ ცდილობდეს, რომ მის პარტიზანობაში ეჭვი არავინ შეიტანოს. მაშ, რა ხდება ჩვენს თავს და გაცხადებული პატრიზანობის უკან?

ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი: **"სამუშიას განცხადებებმა ის შედეგი გამოიწვია, რომ დღეს კიდევ სოფელ რეფში შევარდნენ კრიმინალები და ქართველი მოსახლეობა ააწიოკეს. ვითარების ასე დაძაბვა ხელს აძლევს რუსეთს. ამიტომ მგონია, რომ სამუშიას განცხადების უკან რუსული ძალა უნდა იდგეს.**

**თავის დროზე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ პარტიზანული მოძრაობა ალაგმა. ერთადერთი დადებითი მომენტი, რაც მოხდა აფხაზეთის კონტექსტში, ეს იყო პარტიზანული მოძრაობის შეჩერება. ამიტომ პარტიზანული მოძრაობის აღდგენა საქართველოს ინტერესებში არ შედის. სამაგიეროდ, შედის რუსეთის ინტერესებში, ვინაიდან აფხაზეთში ძალიან საგრძნობია გაუცხოება რუსეთის მიმართ. რუსეთში ამით შეშფოთებულები არიან, ამიტომ სჭირდებათ კარგი ანტიქართული კამპანია, რომ აფხაზები რუსეთისკენ მიაბრუნონ. პარტიზანული მოძრაობის აღდგენა კი ამის საუკეთესო საშუალებაა.**

**საქართველოს ხელისუფლების დუმილი ასეთ დროს გაუგებარი და შემაშფოთებელია."**

ასეთია ექსპერტის აზრი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია – ამ თამაშსა თუ სერიოზულ პროვოკაციას გალელი ქართველების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირება. ამის უფლება კი, მტრის გარდა, არავის აქვს.

# გაუგებარი ტენდენცია ქვეყანაში

ინტერვიუ აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსთან მზია ჯალაღონიასთან

**- ქალბატონო მზია, აფხაზეთის პრობლემის მოგვარება ჭიანურდება. როგორია თქვენი და დევნილი მოსახლეობის განწყობა?**

- ჩემი და, ვფიქრობ, დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობა ასეთია: ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს გაგებით ვეკიდებით და ხელისუფლებისაგან გადამჭრელ ზომებს მოთმინებით ველოდებით. ახალი სისხლისღვრის წარმოდგენაც კი გვზარავს, ამიტომ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. მიმაჩნია, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს – მიუხედავად უმძიმესი სოციალური პირობებისა, როგორიცაა უბინაობა, უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, გადავარჩინოთ ერთმანეთი სულიერად და ფიზიკურად. ყოველგვარი საქმიანობა უნდა ვაკეთოთ იმ შეგნებით, რომ ეს არის მზადება აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებისათვის.



*მზია ჯალაღონია.*

**- თქვენ აფხაზეთის სტრუქტურების აღდგენის პირველივე დღეებიდან მუშაობთ სხვადასხვა თანამდებობაზე. თქვენი აზრით, დღეს საჭიროა თუ არა აფხაზეთის სტრუქტურების არსებობა, როცა ტერიტორია დროებით, ფაქტობრივად, დაკარგულია?**

- მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს. ამ სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების აღდგენამ საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი, რამაც პარალელურად შესაძლებელი გახადა დევნილი მოსახლეობის კოორდინაცია სხვადასხვა მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა ჩვენი გაფანტვა მილიონიან დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და რაიონებში. თუმცა, ჩემი აზრით, წლების მანძილზე მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მნიშვნელოვან საკითხებში სათანადო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა რომ ყოფილიყო.

**- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, განვლილი წლების მანძილზე რა ღირებული ნაბიჯები გადაიდგა და რისი გაკეთება შეიძლებოდა?**

- შევეცდები, მოკლედ მოგახსენოთ ჩვენი სამმართველოს მაგალითზე, რამდენადაც ერთ ინტერვიუში ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რათა საკუთარი ძალებით შეგვექმნა მონაცემთა ბაზა დევნილ შრომისუნარიანთა შესახებ დემოგრაფიულ, ასაკობრივ და პროფესიულ ჭრილში (ძირითადად, თბილისისა და იმერეთის რეგიონში განსახლებულ დევნილთა მიხედვით). რაც შეეხება სხვა რეგიონებს, მონაცემები დღემდე მწირია, რამდენადაც სრული მონიტორინგის ჩატარება გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული, რასაც ვერ მივაღწიეთ. ასევე ვერ მოხერხდა დევნილთა სოციალური დაცვისა და დასაქმების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, მიუხედავად ჩვენ მიერ შემუშავებული და სხვადასხვა დონეებზე წარდგენილი არაერთი წინადადებისა და პროექტისა. საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით კი, მართალია, საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ, გარკვეულ შედეგებსაც მივაღწიეთ, მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილ ობიექტურ მიზეზთა გამო, დევნილთა დასაქმების სფეროში მნიშვნელოვანი გარდატეხა ვერ მოვახდინეთ. ჩვენ მიერ ყოველწლიურად მუშაობდა "აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვისა და დასაქმების მიზნობრივი პროგრამა," რომელშიც მოცემულია განვლილი წლების შედეგები, ანალიზი, პრობლემები და მათი გადაწყვეტის ჩვენეული ხედვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პროგრამების არსებითი განხილვა არასოდეს მომხდარა.

აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურების რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და სოციალურ საკითხთა სამმართველო, რომლის დაქვემდებარებაშია სამი განყოფილება: შრომითი ურთიერთობებისა და დასაქმების, სოციალური დახმარების, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის განყოფილებები.

სოციალური დახმარების განყოფილებაში (დევნილ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა) მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებული საქმიანობა. აღნიშნულ პროგრამაში დღეისათვის ჩართულია 4046 დევნილი ოჯახი, აქედან თბილისში – 1342, რეგიონებში - 2704, მათ შორის, მარტოხელა – 2740, I ჯგუფის უსინათლო – 280, 18 წლამდე ინვალიდი ბავშვები – 617, ორი და მეტსულიანი უმწეო ოჯახები – 338, შვიდი და მეტშვილიანი – 4, დედ-მამით ობოლი ბავშვები – 66.

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის განყოფილებაში მიმდინარეობს დროებით უნარშეზღუდულთა სოციალური პასპორტიზაცია და რეგისტრაცია, შედგენილია კომპიუტერული ბაზა. დღეისთვის რეგისტრირებულია ამ კატეგორიის 1700 დევნილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შემოდის განცხადებები მოთხოვნით სასმენ აპარატებზე, ინვალიდის ეტლებზე, ყავარჯნებზე და სხვა. ამ მხრივ, მიმდინარე წელს ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 25-ზე მეტი დევნილი დააკმაყოფილა.

ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს სამეგრელოს რეგიონში სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი ახორციელებს. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ასეთი წარმომადგენლობების ამოქმედება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, ამიტომ იმერეთის რეგიონში აფხაზეთის სამთავრობო ცენტრის დახმარებით ამ ცენტრის ერთ-ერთ მუშაკს შეეთავსა აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

აუცილებელია წარმომადგენლობის ამოქმედება რეგიონებში და, ვიდრე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, აღნიშნულ საკითხთა მოსაგვარებლად საჭიროა პერიოდულად გასვლითი ღონისძიებების მოწყობა.

მიმდინარე წელს მონაწილეობა მივიღეთ გასვლით ღონისძიებაში კოდორის ხეობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ელგუჯა ბერია. უსასყიდლოდ გავსინჯეთ და გამოვიკვლიეთ მოსახლეობა, გადავამოწმეთ სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები, მივიღეთ ახალი საბუთები. ამჟამად კოდორის ხეობის 74 ოჯახია ჩართული სოცდახმარების პროგრამაში. შევისწავლეთ ასევე მოსახლეობის სხვა პრობლემები. პრობლემები უამრავია, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის მთავრობის მხრიდან რეგიონი არ არის ყურადღების გარეშე. პერიოდულად ანალოგიური გასვლითი ღონისძიებების მოწყობა აუცილებელია, და არა მარტო ამ რეგიონში.

**- როგორ აფასებთ პირადად თქვენ რეორგანიზაციის შედეგებს, გაუმჯობესდება თუ არა თქვენი მუშაობა?**

- ამასთან დაკავშირებით ჩემს სუბიექტურ აზრს გულწრფელად მოგახსენებთ. პირადად მე და ჩემმა კოლექტივმა მტკივნეულად განვიცადეთ მიმდინარე რეორგანიზაცია, რადგან მას კადრების შემცირება მოჰყვა და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს შერჩევა ძალიან გაგვიჭირდა.

ფუნქციები რეორგანიზაციის შემდეგ, გარკვეულწილად, შეიცვალა, რაღაც მოაკლდა, რაღაც მოემატა. მოემატა წმინდა სოციალური საკითხები, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. ამ ნაწილში, შეიძლება ვთქვათ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა. რაც შეეხება დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მდგომარეობა გაუარესდა. საერთოდ, ამ მიმართულებით პირადად ჩემთვის გაუგებარი ტენდენცია შეიქმნა. კერძოდ, სახელმწიფო პროგრამები, ძირითადად, მიმართულია სოციალურ სფეროზე, როგორიცაა სოცდახმარება, შემწეობები, პრევენციული ღონისძიებები, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და დასაქმება პრიორიტეტული არ არის.

**- რა აზრისა ხართ სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე?**

- ყოველგვარი პროგრამა, რაც მიმართულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, თავისთავად მისასალმებელია. მათ შორის, რა თქმა უნდა, ეს პროგრამაც. მაგრამ, რამდენი ოჯახი მოექცა ამ პროგრამაში და რამდენი დარჩა მის გარეთ, რამაც შეიძლება სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვიოს მოსახლეობაში. და მეორე, სიღარიბის დაძლევის რეალურ გზად მაინც შრომისუნარიანთა და ნაწილობრივ შრომისუნარიანთა დასაქმების ხელშეწყობა მიმაჩნია.

სიღარიბის ზღვარს დაბლა მყოფმა ოჯახებმა რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაიარონ. თბილისში დევნილთა რეგისტრაციას, ძირითადად, ემსახურება აფხაზეთის დასაქმების სააგენტო – ლეონიძის ქ.N2, ოთახი N20, ამ პუნქტში დღეისათვის რეგისტრაცია 2000-მდე ოჯახმა გაიარა.

ასევე, დევნილებს შეუძლიათ მიაკითხონ სხვა საკომუნიკაციო პუნქტებს განსახლების მიხედვით, რომლებიც გახსნილია ყველა რეგიონში.

**- თქვენ ზემოთ ახსენეთ დევნილთა სოციალური დაცვისა და დასაქმების ერთიანი სისტემის შექმნა. როგორ გესახებათ ეს სისტემა?**

- ერთიანი სისტემა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

საქართველოს რეგიონების მიხედვით განსახლებულ დევნილთა სრული მონიტორინგი: მონაცემთა ისეთი ბაზის შექმნა, რომელშიც კლასიფიცირებული იქნება ყველა კატეგორია ასაკობრივ, დემოგრაფიულ, პროფესიულ ჭრილში; შრომისუნარიანი, ნაწილობრივ შრომისუნარიანი, ინვალიდი და ა.შ.

რეგიონების მიხედვით შრომის ბაზრის შესწავლა და დასაქმების საკითხთა პრიორიტეტების განსაზღვრა;

რეგიონების მიხედვით შრომითი რესურსების შეწავლა;

შრომითი რესურსების გადამზადება შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად;

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება მცირე, საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის, მინი-კრედიტების დაბანდება;

სოციალური დაცვისა და დასაქმების პროექტების შემუშავება და რეალიზაცია: შრომისუნარიანთა დასაქმება, დევნილ ინვალიდთა ინტეგრაცია დასაქმების გზით, სპეციალური დასაქმების პროექტები უსინათლოთათვის, სმენადაქვეითებულთათვის და ა.შ.

აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებელია, ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ზემოთთქმულიდან დიდი ნაწილი ისევ და ისევ იდეის დონეზე დარჩება, როგორც აქამდე იყო.

*აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი*



სტუმრად

მაია ჭალაგანიძესთან

# პაუზა ისტორიაში

პირველი გვერდიდან

**- ყოველი სერიოზული მეცნიერული დასკვნა კვლევებს ეყრდნობა. რას ეყრდნობა ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია და პოლიტიკა?**

- ევროპისა და ამერიკის პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ცენტრებთან გარკვეული კავშირები არსებობს და, აქედან გამომდინარე, აქაც ხდება რაღაც-რაღაცეები. შეიძლება ერთი-ორი ისეთი ადამიანის დასახელებაც, რომელიც ადეკვატურ ენაზე მეტყველებს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთი-ორ მერცხალს გაზაფხული ვერ მოჰყავს. საერთო ჯამში, ფუნდამენტური კრიზისია. რაღაც დარგები საერთოდ არ არსებობდა. პოლიტიკური და სოციოლოგიური მეცნიერებები ასეთი არ იყო - არსებულის შეცვლა გახდა საჭირო.

12 წლის განმავლობაში ყალიბდებოდა არასამთავრობო სექტორი, რადგან საჭირო იყო იმ კადრების შექმნა, რომელიც ამ ახალ რეჟიმს მოემსახურებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ვარდების რევოლუცია", გარკვეულად, "ენჯეო-ცივილიზაციის" პროდუქტი იყო.

მაგრამ აქ მთავარ და სერიოზულ პრობლემას ვეჯახებით - განათლებას. ყველაზე დიდი ილუზია, რომელსაც ხელისუფლებაც ქმნის და ოპოზიციაც, ეს არის ის, რომ გვყავს ევროპულად ან ამერიკულად განათლებული ხალხი.

ორი სემესტრის განმავლობაში ვიყავი მიწვეული მეცნიერი ბერკლის უნივერსიტეტში და დაკვირვების საშუალება მომეცა. ამერიკაში, ძირითადად, ვმუშაობ იმაზე, რასაც კულტურულ ძიებებს და ლიტერატურულ ძიებებს უწოდებენ. რამდენიმე უნივერსიტეტთან მაქვს კონტაქტი, ვიბეჭდები და სხვა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ასე თუ ისე, ვიცნობ ჰუმანიტარულ ველს.

**- დაკვირვებების შედეგად რა დაასკვენით?**

- რასაც ჩვენში ამერიკულად ან ევროპულად განათლებულ ადამიანს უწოდებენ, ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება იმას, რაც იქ სპეციალისტში იგულისხმება. ადამიანი სპეციალისტი ხდება მას შემდეგ, რაც გაივლის, მინიმუმ, 14-16 წლიან სასწავლო კურსს. ამაში იგულისხმება 4 წლიანი ბაკალავრიატიც, რომელიც საკმაოდ ზედაპირული რამ არის, რადგან ამერიკელი სტუდენტი ბაკალავრის დონეზე - ყველაზე უფრო გაუნათლებელია თავის სპეციალობაში. 4 წლის განმავლობაში ის, ასე ვთქვათ, აზრზე მოდის, შემდეგ არის მაგისტრატურის 2 წელი. აქ რაღაც ინტერესი იკვეთება. სერიოზული მუშაობა კი დოქტურანტურაში იწყება, სწორედ აქ ყალიბდება სპეციალისტი; დოქტურანტურის გავლის შემდეგ ითვლება, რომ ადამიანმა სპეციალობაში მინიმუმზე მეტი იცის და ის შარლატანი არ არის. უკეთეს შემთხვევაში კი, გარკვეული დონის პეციალისტი ნამდვილად არის.

მიმითითეთ, თუ შეიძლება, საქართველოში, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ მეცნიერებათა სივრცეში ადამიანი, რომელსაც ეს ციკლი გავლილი აქვს. ასეთი, 2-3 თვით ან წლით ნაცხოვრები ადამიანი ჩამოდის და ამას თვლიან ამერიკულ ან ევროპულ განათლებად.

**- არასამთავრობო სექტორიდან მოსულ ადამიანებს, რაღაც დონის დემოკრატიული ცოდნები გააჩნდათ, თუმცა, ხელისფლებაში მოსვლის შემდეგ მათი ზოგიერთი ქმედება ან განცხადება ამის საწინააღმდეგოს აჩვენებს...**

- ამერიკაში ძალიან ბევრი ადამიანია კრიტიკულად განწყობილი უმაღლესი განათლების იქაური სისტემისადმი, მაგრამ კრიტიკა გარკვეულ ტენდენციებს ეხება. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში არსებული "ენჯეო-ცივილიზაცია" გაუნათლებელია. ამა თუ იმ სახით, პრაქტიულად, ყველას ვიცნობ, მაგრამ ამ ხალხს რეალური განათლება არა აქვს და როგორც კი ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, იმ წამსვე დადგა კრიზისი.



ზაზა შათირიშვილი: ცოტა უცნაური პოზიცია მაქვს, მაგრამ ჩემნაირებიც არსებობენ.

ბაჩო ბულაშვილის ფოტო

**- ანუ, ეს არის განათლების კრიზისი და არა სამთავრობო, ან დემოკრატიის კრიზისი?**

- შეიძლება ვთქვათ, რომ ოფიციოზსაც და ოპოზიციასაც განათლება აკლია. ჩვენი მთავარი პრობლემა რეალური ცოდნის და რეფორმების კრიზისია. მეტსაც გეტყვით, საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა, რომელიც, წესით, ამერიკული მოდელის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს, გაუგებარია როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სფეროში. ვგულისხმობ უცოდინარობასა და შეცდომებს. მიმაჩნია, რომ ვინც ამ რეფორმას ახორციელებს, გააზრებული არა აქვს, რას აკეთებს.

მომწონს თუ არა ამერიკული სისტემა, ის ჩამოყალიბებული და ლოგიკურია. თუ ჩვენ ამის ადაპტაცია გვინდა, ეს ისეთმა ხალხმა უნდა გააკეთოს, რომელთაც შესაბამისი განათლება აქვთ. ხომ შეუძლებელია ექიმად ჩავთვალოთ ადამიანი, რომელსაც სწავლების 22 წლიანი კურსი არა აქვს გავლილი?! ვთქვათ, სოროსი ყოველწლიურად ექვს მაგისტრს დააფინანსებს. კი ბატონო, მაგრამ თუ ამ მაგისტრანტებმა ხარისხი არ დაიცვეს, ეს ნახევარფაბრიკატი გამოვა.

**- რა სურათი გვაქვს დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?**

- ძველი სიტემა დაინგრა და ახალს ვერ ქმნიან - აი, ეს სურათია. ამ სიტუაციას გოდების კედელს შევადარებდი, როდესაც იერუსალიმის ტაძრიდან ერთი კედელია დარჩენილი და დანარჩენი ტაძრის აშენება სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია. უნივერსიტეტში ეს ვითარება დიდხანს არ შეიცვლება და ეს პროცესი 80-იან წლებში დაიწყო. როდესაც 1983 წელს უნივერსიტეტში შევედი, სისტემა უკვე მკვდარი იყო. საბჭოთა კავშირი გაქრა და ეს მაშინვე გამოჩნდა. დღეს, პრაქტიკულად, სისტემა არ არსებობს; რასაც ახლა თვალს ვადევნებთ, ეს რელიქტებია. აბსოლუტურად ვერ ვხედავ გააზრებულ პროგრამას.

**- 70 წელიწადს პლუს კიდევ 12 წელი არა მხოლოდ ეს სისტემა ინგრეოდა...**

- გასაგებია, მაგრამ ამას უნდა გააზრებული საკანონმდებლო ბაზა. ამ სფეროში ზოგიერთ დოკუმენტს ვიცნობ. ამ სფეროს ძალიან მნიშვნელოვანი ექსპერტების აზრითაც, კანონთა შორის არსებობს წინააღმდეგობები. განათლების რეფორმა ვერ ხორციელდება არა იმიტომ, რომ მას ეწინააღმდეგებიან, არამედ იმიტომ, რომ თვითონ მესვეურებს არ ესმით ბოლომდე, რას აკეთებენ.

**- არსებობს გარკვეული სახელოვნებო წრე, რომელიც ყოველთვის, როცა ეს საჭიროა, იჩენს სოციალურ თუ პოლიტიკურ აქტივობას...**

- ინტელიგენცია?

**- ეს სიტყვა ხომ უნდა დავივიწყოთ?**

- რამდენიმე წლის წინ "კავკასიურ სახლში" გია ნოდიამ გამართა დისკუსია თემაზე - "ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტუალები". ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი. თემით დაინტერესდნენ ამერიკელებიც, რუსული ლიბერალური ჟურნალიც "Неприкосновенный Запас" და შემიკვეთეს სტატია, რომელიც მერე ინგლისურადაც ითარგმნა. შევეცადე, აღმეწერა, რა განსხვავებაა ამ ორ პარადიგმას შორის.

მიმაჩნია, რომ საქართველოში ინტელიგენცია, როგორც რუსული ფენომენი, მეცხრამეტე საუკუნეში არ გვყავდა. ინტელიგენტი წარმოშობით მარგინალურია. ის არის ე.წ. მესამე და მეოთხე წოდებებიდან წარმომდგარი მოვლენა. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ინტელიგენცია თავიდან ბოლომდე არისტოკრატიული იყო. რუსეთში ინტელიგენცია არისტოკრატიას, მის ეტიკეტს ებრძოდა და მის ამოყირავებას ცდილობდა. საქართველოში ასე არ ყოფილა. ჩვენს ქვეყანაში ინტელიგენცია ჩნდება ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ, სტალინურ პერიოდში, როდესაც ინსტიტუციები ჩამოყალიბდა. საქართველომ მხოლოდ ასეთი ტიპის ინტელიგენცია იცის.

მოაზროვნე ხალხი, რომელიც საუნივერსიტეტო ან აკადემიის სივრცეში ტრიალებს, რაღაცით უფრო ევროპულ ინტელექტუალებს ჰგვანან, ვიდრე რუს ინტელიგენტებს. რაც კი რამ საინტერესო მომხდარა 60-70-იანი წლების საქართველოში, პრაქტიკულად, საუნივერსიტეტო სწავლების სფეროში იყო. აკაკი ბაქრაძის თუ მერაბ მამარდაშვილის ლექციები, 1978 წლის 14 აპრილი - ყველაფერი უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული, ამ სივრცის გარეთ არ ხდებოდა. რუსული ინტელიგენცია კი უნივერსიტეტს გარეთ გავიდა.

დღეს ინსტიტუციების დაშლასთან ერთად რელიქტი იშლება, ძველ თაობაში არის ხალხი, რომლებიც არიან ქართველი ევროპელი ინტელექტუალები – მაგალითად, ზურაბ კიკნაძე, მერაბ ღაღანიძე, მიტო თუმანიშვილი.

კლასიკურ ფილოლოგიაში ჩვენ, პრინციპში, გარკვეულ ევროპულ სტანდარტებს ვაკმაყოფილებთ. აღარ ვლაპარაკობ ტექსტოლოგიასა და არქეოგრაფიაზე, რომელიც ნამდვილად ევროპული დონის მოვლენაა, მაგრამ დღევანდელი დღის შეკვეთა ეს არ არის. ხელისუფლებას ევროამერიკული სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე სჭირდება პოლიტიკური და სოციოლოგიური მეცნიერებები. აქ კი სერიოზული არავინ არ გვყავს. დიალექტიკური მატერიალიზმის, ძველი ეკონომიკის სპეციალისტები უცბად "გადაკეთდნენ" ახალი ფორმაციის პოლიტოლოგებად და ასეთები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ.

ჰუმანიტარიაში ასე თუ ისე გვყავს ინტელექტუალები, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჰუმანიტარებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ და აქვთ გაუცხოება ხელისუფლებისადმი, პოლიტიკურ-სოციალური ველისადმი. ეს ყველგან ასე ხდება. ევროპულ სივრცეში ისინი არიან მემარცხენე ინტელექტუალები, ან პოლიტიკურად აპათიურები, რომლებიც, როგორც წესი, არსებული პოლიტიკურ-ოფიციალური დისკურსის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ამერიკაში კიდევ უფრო საინტერესო ვითარებაა - უნივერსიტეტები, პრაქტიკულად როგორც მონასტრები, ამოლებულები არიან მთლიანი სოციალური ველიდან და ეს იმითაც გამოიხატება, რომ ქალაქებიდან მოცილებული არიან და გარკვეული აზრით, საშუალო საუკუნის მონასტრებს მოგვაგონებენ.

სხვათა შორის, ევროპაში პირიქით იყო - ევროპული უნივერსიტეტების გარშემო იქმნებოდა ქალაქები. ასე მოხდა სორბონაში, ბოლონიაში და სხვაგან.

**- განათლების შეძენა ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ახალ თაობაში ასეთი მისწრაფება მეტად იგრძნობა, ვიდრე იმათში, ვინც საბჭოთა დროს ეუფლებოდა უმაღლეს განათლებას.**

- საბჭოთა კავშირიც კი რაღაცნაირად ინარჩუნებდა ძველი ფორმაციის ნამდვილ ჰუმანიტარებს, რომლებმაც 80-იან წლებამდე მოაღწიეს და მათ მეც მოვესწარი. ეს არის ხალხი, რომელთაც აქვთ თავსი ინტერესები, მაგალითად, ძველი ხელნაწერები. ადამიანი, რომელიც სწავლობს ძველ ხელნაწერებს, პოლიტიკურად ძალიან აქტიური ვერ იქნება. ისევე როგორც აღმოსავლეთმცოდნე, რომელიც 7-8 წელს ენის შესასწავლად არაბულ ქვეყნებში ატარებს. ეს პრობლემა ევროპაშიც დგას.

**- თქვენ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებით?**

- ცოტა უცნაური პოზიცია მაქვს, მაგრამ ჩემნაირებიც არსებობენ. ეკონომიკაში ლიბერალი ვარ, კულტურაში კი – კონსერვატორი.

**- ის, რაც ევროპაში დღეს ხდება, მიანიშნებს თუ არა იმას, რომ ევროპულ ლიბერალიზმს ყავლი გაუვიდა?**

- ნაციონალიზმი, ნაცია, ანუ როგორც ამას თავის დროზე უწოდებდნენ - ბურჟუაზიული ღირებულებები დღეს ევროპაში სერიოზულ კრიზისს განიცდის. ნაციონალიზმი და დემოკრატია, ნაციონალიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთს სცილდება. რა იყო საფრანგეთის რევოლუცია? მესამე წოდებამ, ერთ-ერთმა კლასმა, კერძოდ კი ბურჟუაზიამ თქვა - მე ვარ ნაცია, მე ვარ ერი; მეფე ერი არ არის, ეკლესია ერი არ არის, არისტოკრატია ინტერნაციონალური ფენომენია ანუ ისინი ერის მოღალატეები არიან. ერთი კლასი გახდა მთლიანობა და თავისი ღირებულებები გაავრცელა. ასე წარმოიშვა ახალი ევროპული ერები. დღეს ეს ნაციონალიზმი კრიზისშია და ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ის არის, რომ წარმოიშვა არაბული, თურქული და სხვა ანკლავები. კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, ნაციონალური კულტურები ყველგან კრიზისშია და ნაციონალიზმი და ლიბერალიზმი დღეს ერთმანეთთან არის დაპირისპირებული.

**- ცივილიზაციათა და სამყაროთა ჭიდილში ჩვენ სად ვართ?**

- ძალიან საინტერესო სურათია – ჩვენ ვართ ჭეშმარიტი ხიდი პირველსა და მესამე სამყაროს შორის. დემოგრაფიით ევროპა ვართ და ეკონომიკით – აზია. ვერ ვმრავლდებით, ისევე როგორც მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები და ისეთივე დანგრეული ეკონომიკა გვაქვს, როგორც მოწინავე აზიურ და აფრიკულ ქვეყნებს.

**- ამ გეოპოლიტიკურ და სამყაროთა გზაჯვარედინზე ყოფნა ჩვენი გადარჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. რა უნდა მოხდეს, რომ საკუთარი იდენტურობაც შევინარჩუნოთ, ეკონომიკაც გავაძლიეროთ და სახელმწიფოდაც დავრჩეთ?**

- დღეს ძალზე პოპულარულია ელიტური თეორიები. ელიტას კი განათლება ქმნის. ეს ქათმის და კვერცხის ისტორიაა - ვერ ვქმნით შესაბამის რეფორმებს იმიტომ, რომ არ გვყოფნის განათლება და თუ რეფორმები არ გვექნა, არც განათლება იქნება. ეს ჩაკეტილი წრეა და მიჭირს ამისგან გამოსასვლელი გზის დასახვა. ცალკეული მეცნიერი შეიძლება გადარჩეს, მაგრამ საუნივერსიტეტო სივრცისა და სტრუქტურის მხრივ, ძალზე პესიმისტურად ვარ განწყობილი.

საყოველთაო განათლება, რომელიც საშუალო ადამიანის ფორმირებას უწყობს ხელს, ეს კაპიტალიზმის შედეგია იმ თვალსაზრისით, რომ იაფად და სწრაფად უნდა იყოს ყველაფერი. ერთი შეხედვით, განათლების ამერიკული სისტემა თითქოს ყველასთვის არის, მაგრამ იქ ძალიან სერიოზული ელიტები არიან. წარმატებას აღწევს ის, ვისაც სერიოზული განათლება აქვს.

სპორტთან დაკავშირებით კუბერტენს ჰქონდა ასეთი პრინციპი - იმისთვის, რომ იყოს ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, საჭიროა იყოს 4 ამავე დონის სპორტსმენი; იმისთვის, რომ იყოს 4 ამავე დონის სპორტსმენი, დაახლოებით 2 000 ადამიანი უნდა ვარჯიშობდეს, ხოლო დაახლოებით 100 000 კაცი სპორტს რაღაცნაირად უნდა მისდევდეს.

ჩვენ ორიენტაცია გვაქვს საშუალო განათლებაზე, მაგრამ სად და როგორ გვაქვს? განათლებაც ელიტის ჩამოყალიბებულია. საშუალო ადამიანი ვერ გააკეთებს საშუალო ადამიანს, ეს ელიტის საქმეა. დღეს მეტისმეტად საშუალო ადამიანები არიან დაკავებული საშუალო ადამიანის ფორმირებით და ასეთი ადამიანი, ნიცშე რომ ამბობდა, ადამიანს ქვევით იქნება.

**- ცოტა რამ პარტიათა ორიენტაციაზეც მინდა გკითხოთ. რატომ ხდება, რომ ადამიანები, ვისაც, თითქოსდა, მემარჯვენე ღირებულებები აქვთ, დღეს პრაქტიკულად მემარცხენე პოლიტიკას ატარებენ?**

- მოსაზრებებსა და ქმედებებს შორის არის განსხვავება. როდესაც გაქვს კარგი მოსაზრებები და ამის განხორციელება უცბად, ერთ წუთში გინდა, ბოლშევიკი ხარ. მთავარია საშუალებები და არა მიზნები. ევროპა არის საშუალება. როცა პეტრე პირველი რუსეთის გაევროპელებას შეეცადა, მიიღო რუსეთი, რომელიც დღემდე ვერ გამხდარა ევროპა. მიზანი არ ამართლებს საშუალებას. თუ ცხოვრებას არ აცლი, რომ მოვლენები გარკვეულად სტიქიურად განვითარდეს, არანაირი მემარჯვენე არ ხარ, ბოლშევიკი გამოდიხარ. ვუსმენ ხალხს, რომელიც საუბრებით მემარჯვენე ან რესპუბლიკური ღირებულებების არის და ძერჟინსკი და სვერდლოვი მახსენდება.

**- რას გრძნობს ჩვენი საშუალო ადამიანი, საზოგადოება, რომელიც არსებული პოლიტიკის გამო ათწლეულების განმავლობაში არის სტრესში, ცრუ გმირებში, ცრუ ღირებულებებში, რაღაც მითებში?**

- სრული ფრაგმენტაციაა. არ არსებობს სოციუმი, როგორც ასეთი. არსებობენ ჯგუფები, არსებობენ ვითომ ელიტები. ისე, მართალი ხართ, რაშიც ჩვენ ვართ, ეს შეიძლება აღიწეროს როგორც ნამდვილ ღირებულებათა ქაოსი. რუსული სოციუმი ასე 13-14 წლის განმავლობაში იყო, ესპანეთში ეს ვითარება 5-7 წელს გაგრძელდა. ეს ისტორიაში პაუზას და შეჩერებას ჰგავს.

# ქართული კონსტიტუციონალიზმის სამოყვარულო დონე

*საქართველოში 2003 წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობას დიდი იმედები ჩაუსახა, შეიცვალა ხელისუფლება, შეიცვალა მისდამი დამოკიდებულებაც. ბევრი რამ თვალშისაცემი გაკეთდა და კეთდება. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. მაგრამ ის, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ შეფასებას საჭიროებს. ქალაქების გარეგანი ფასადის გალამაზება და გზებზე ასფალტის გადაგება ქვეყანას უთუოდ უხდება, თუმცა, იგივე მეთოდის გამოყენება ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას ნამდვილად ვერ წაადგება: საქმეს ვერც ძველი, ფერ-უმარილით შელამაზებული იერი და ვერც ძველი, ასფალტგადაგებული გზით სიარული უშველის.*

ოთარ მელქაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უთუოდ სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს ის ვითარება, რომ საქმიანობის ძველი სტილიდან ბევრი რამ მყარად გადმოჰყვა ახალ პარლამენტსაც. ეს არის კანონპროექტების მომზადების დახურული რეჟიმი, ექსპერტ-სპეციალისტთა ინსტიტუტის უგულებელყოფა და პლენარულ სხდომებზე ცაიტნოტის რეჟიმში კანონპროექტის სერიული მიღების წესი. ახალი რეალიების გათვალისწინებით, კონსტიტუციური ცვლილებები და ორგანული კანონმდებლობის მისადაგებაც რომ სავალდებულო იქნებოდა, იმთავითვე ცხადი იყო. ცუდი ის არის, რომ ყოველივე ამან, ჩემი აზრით, თავისი არაკეთილსასურველი გავლენა იქონია ქართულ კონსტიტუციურ სამართალზე, რომლის წამკითხავი კონსტიტუციონალისტი ვერანაირად ვერ გაიგებს, მმართველობის რომელი მოდელის სახელმწიფოს მშენებლობა გვაქვს გადაწყვეტილი.

არ შეიძლება კანონმდებელმა კონსტიტუციური სამართალი საკუთარი შეცდომების სკოლად აქციოს. მით უფრო, განწირულია ქვეყანა, რომელიც კონსტიტუციონალიზმის სიბრძნეს საკუთარი შეცდომების გამოსასწორებლადაც არ იყენებს. არადა, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის პრინციპების შერჩევისას დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა წაიღო 1995 წლის კონსტიტუციით ნაცხოვრები ათწლეული.

შეცდომების მთელ რიგს, კიდევ ერთი შეცდომა დავუმატეთ, ისევ სიჩქარეში, ძველი და ახალი პარლამენტარებით დაკომპლექტებული, შერეული შემადგენლობის პარლამენტი ავამოქმედეთ და ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის მოდელი ძველი პარლამენტის უმრავლესობას მივაღებინეთ. ვფიქრობ, 2004 წელს განხორციელებული შესწორება-დამატებების ძალით დამკვიდრებული მართვის მოდელის ჭეშმარიტი ბუნების შეცნობა კიდევ წაიღებს წლებს. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე საგანგაშო სიმპტომი კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებათა საგანძურის უგულებელყოფა და კონცეპტუალურად არასწორი არჩევანია – უამრავი საკუთარი გამოგონებებით. ამას ერთი არსებითი ფაქტორიც ემატება: მთელი ამ წლების განმავლობაში კონსტიტუციამ ვერ დაიცვა არჩევნების სამართლიანობა.

### წერე და იკითხე

ჩემი დაკვირვებით, კარგა ხანია კონსტიტუციური და ორგანული კანონები სამოყვარულო დონეზე იწერებოდა და იწერება დღესაც. მიზეზი, ქართულ პროფესიონალურ პარლამენტში არსებული ძალთა დისბალანსია, მის შემადგენლობაში არა მხოლოდ პოზიცია-ოპოზიციის, არამედ საკანონმდებლო პროცესში ჩართულ ხმოსანთა და ჭეშმარიტ კანონშემოქმედთა თანაფარდობის თვალსაზრისითაც ცხადია, პირველთა აშკარა უპირატესობიდან გამომდინარე. ყველაფერი ეს მმართველი ელიტის სასარგებლოდ მუშაობს. ამიტომაა, რომ მმართველი პარტია, თავისი მორჩილი უმრავლესობის "თავდადებით", ზოგადად კანონმდებლობას და განსაკუთრებით საარჩევნო კანონებს, კვლავაც პარტიულ ინტერესს უქვემდებარებს. მე არ ვიცი საქართველოს უახლეს ისტორიაში მმართველი პარტია, რომელსაც თავისი პერსპექტივა ამ შანსით არ განემტკიცებინოს. ცხადია, აღნიშნული რესურსი წარმოუდგენელ ჰანდიკაპს უქმნის მმართველ ელიტას, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემა არ ჩამოყალიბდეს, ვინაიდან, თავადაც იცის, რომ ეს არ იქნება მომგებიანი მისთვის. ამიტომაც ჩაიკეტა მთელი საკანონმდებლო პროცესი შეზღუდულ წრეში. ჭეშმარიტად, რა საჭიროა სხვათა "შეწუხება", როცა ჯიბის უმრავლესობა შენია და უმრავლესობის ლიდერების მიერ მრავალგზის გაჟღერებული პრინციპიც ცალსახაა – ხელისუფლებაში ჩვენ ვართ, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. თქვენ რომ მოხვალთ, რაც გინდათ, ის გააკეთეთ. რას იზამ, ჩვენი ცხოვრების შეფასების თვალსაზრისით ვერც მეიდავები, ვინც მოდის, უკვე მერამდენედ, იმას აკეთებს, რაც სურს, რომელიც, თუნდაც ძველი მაგალითების დონეზე, ის არ არის, რაც ქვეყანას სჭირდება.

უნდა ვაღიარო, რომ ჩემ პოზიციას ნამდვილად ასეთი სახე მიეცა – წერე და იკითხე. ვწერ იმიტომ, რომ მაწუხებს, რა გზითაც ვითარდება ქართული კონსტიტუციური სამართალი, ვწერ, მაგრამ არც წამკითხავი და არც განმკითხავი არავინაა, მათ შორის ვისგანაც თუ არა წინადადებების გათვალისწინება და შეცდომების გასწორება, უბრალოდ, უარმყოფელი პასუხი მაინც ეგების.

მე მაინც ვწერ და ამით ვიხდი მოქალაქეობრივ ვალს. 2001 წლის 12 ივნისს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მიერ წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე გამოვაქვეყნე წერილი "საქართველოს რესპუბლიკაში". საბედნიეროდ, მისი მიღება არ მომხდარა. თუმცა, მასში არსებული იდეების დიდი ნაწილი 2004 წლის თებერვალში მიღებული კონსტიტუციური ცვლილება-დამატებებით გაფორმდა, რასაც 29 მარტს გაზეთ "24 საათში" ჩემი წერილი მოჰყვა – "პოლიტიკით განპირობებული კონსტიტუციური პრობლემები". შემდგომ, მოულოდნელად, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კანონპროექტის წინასწარი განხილვის მიზნით, პარლამენტის მიერ შექმნილ კომისიაშიც დამასახელეს. დეტალურად განვიხილე კანონპროექტი, მოხსენებით ბარათიც მოვამზადე, მაგრამ კომისიის სხდომაზე არავის მივუწვევივარ და მეც, "პოსტფაქტუმ" იგივე მასალა სათაურით "საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება!" 2004 წლის 24 ივნისს კვლავაც "24 საათში" გამოვაქვეყნე.

კურსმა, რომლითაც ქართული კონსტიტუციონალიზმი ვითარდება და არაპროფესიულმა დამოკიდებულებამ მისდამი, აღმიძრა სურვილი, ღრმად გამეანალიზებინა ქართული კონსტიტუციონალიზმის პრობლემების ტრადიციული ხასიათი – პირველი ქართული კონსტიტუციიდან დღემდე. იმისათვის, რომ მთელი ეს გზა კიდევ უფრო თვალნათლივი გამეხადა ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა და პერსპექტივის შესაფასებლად – ქართული კონსტიტუციონალიზმის აღწერილობითი კალენდარიც შევქმენი – მისი ეტაპების აღწერის ფორმით. ძველი პუბლიკაციები და ახალი მასალა ერთი კრებულის სახით გამოვეცი:

საკონ**S**ტიტუციო
ქართველ**O**ლოგიის
**S**აშიშროება!?

ასე დავასათაურე იგი. იქვე, ცალკე მასალის სახით ჩამოვაყალიბე "პასუხი კითხვაზე – რა შუაშია საშიშროება?" ბუნებრივია, ყველაფერი ეს უყურადღებოდ დარჩა, იმიტომ, რომ საპარლამენტო უმრავლესობას რაც უნდა, იმას აკეთებს, მიუხედავად ყველაფერი დანარჩენისა.

### საარჩევნო სამართალი ქართულ ვარიაციებში

საარჩევნო სამართალი დემოკრატიის ბარომეტრია. სწორედ საარჩევნო სამართალია ცივილიზებულ ქვეყნებში დემოკრატიის აღმძრავი და მისი სტაბილურობის გარანტი. მაგრამ ეს ძალიან შორსაა ქართული სინამდვილისაგან. ქართული პარლამენტარიზმის ყველაზე "ნათელი" ფურცელი იმის დასტურია, რომ ერთპარტიულმა საპარლამენტო უმრავლესობამ, 1995 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, საარჩევნო კანონმდებლობა პარტიულ ინტერესთან დააბალანსა. ქართულ საარჩევნო კანონმდებლობას იმთავითვე "დეპატრონა" პარლამენტართა და აპარატის მუშაკთა გარკვეული ჯგუფი. ამ ჯგუფმა მოქალაქეთა კავშირის ბიოგრაფის როლი იკისრა. კონსტიტუციის მიღების ცხელ კვალზე, 1995 წლის 1 სექტემბერს, ერთ დღეში, განხილვის გარეშე მიღებულმა კანონებმა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შესახებ, ფაქტობრივად, ერთმმართველობის რეჟიმს დაუდეს საფუძველი, როდესაც მმართველმა პარტიამ ერთდროულად სახელმწიფოს მეთაურის პოსტი და ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების უმრავლესობა პარტიულ აღრიცხვაზე აიყვანა.

აქედან მოყოლებული, საარჩევნო სამართალი მმართველი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი გახდა. ყოველი მორიგი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, მმართველი პარტიის დაღმავალი რეიტინგის შესაბამისად, საარჩევნო ტექნოლოგთა აღნიშნული ჯგუფი საარჩევნო კანონმდებლობის "სრულყოფაზე" იწყებდა მუშაობას. ასე რომ, ყოველი არჩევნების წინ, რაც უფრო დაბალი იყო მმართველი პარტიის რეიტინგი გამსვლელი ხმების მოსაპოვებლად, საარჩევნო კანონი მით უფრო ხისტ კორექტირებას ექვემდებარებოდა.

ბოლოს და ბოლოს, საარჩევნო კანონმდებლობაში ჩართულმა ქართულმა ნოვაციებმა სასურველ პარტიულ ხანგრძლივობაზე მაინც არ იმუშავა, მაგრამ ხანგრძლივად მოქმედი პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბებას მაინც შეუწყო ხელი. ე.წ. მმართველმა ელიტამ, რომელმაც იცის, როდის უნდა გადგეს განზე, პარტიიდან პარტიაში დროული გადასვლის ალღოც შესანიშნავად გამოიმუშავა, საარჩევნო ტექნოლოგიების ქართული "სპეციალისტებიც" თან გაიყოლა და ვინაიდან კარგად იცოდა რა მმართველი პარტიის საარჩევნო ცოდვები, ისინი თავისავე მოგონილ იდეებზე ააფეთქეს. "სპეციალისტთა" მოცემულ ჯგუფს არარად მიაჩნდა კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლური პრინციპები, არც სამართლიანი არჩევნები ყოფილა მათი ზრუნვის საგანი და ახალ გუნდში, ახალი იდეოლოგების მიერ და მიზნებით წახალისებულნი, ახალი ძალით იყენებენ საკუთარ "გამოცდილებას", ანუ რაც უნდოდათ და უნდათ, სადღეისოდ კვლავაც იმას აკეთებენ.

დრო შეიცვალა, მმართველი პარტიის საარჩევნო ტექნოლოგებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამომრჩეველიც გრძნობს თავის პასუხისმგებლობას არჩევანის შედეგზე და, ამდენად, არჩევნებში გამარჯვება მომავალში გაცილებით რთული იქნება. წინა წლებში ყველაფერი იოლად წყდებოდა: მმართველი ძალის გამარჯვებისათვის საკმარისი იყო კანონის დროული კორექტირება, საარჩევნო ადმინისტრაციაში მისეული ხელმძღვანელობა და ხმების უმრავლესობა, არასრულყოფილი ამომრჩეველთა სიების რესურსი და ფალსიფიკაციის მიზნით კარუსელებისა და ჭარბი ბიულეტენების მარაგის ამოქმედება. ერთპარტიული ხელისუფლების საგარანტიო საშუალებების ამ კომპლექსს თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს. მაგრამ მათი ამოქმედება საშიში ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ წინამორბედი ხელისუფლება შეიწირა. ხომ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: უკანასკნელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისდროინდელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა და წევრებმა რა საგანგებო დამსახურებისათვის მიიღეს ჯილდოდ მაღალი რანგისა და ანაზღაურებადი თანამდებობები. რევოლუციური ეიფორიის ქვეშ რაც მიიჩქმალა, შეიძლება მესამეჯერ აღარ ეპატიოს ახალ ხელისუფლებას.

ამიტომ, მომავლის იმედი ახალ გამოგონებებს უკავშირდება, ნოვაციებს, რომელიც მმართველი პარტიის საარჩევნო პოტენციალის რადიკალურ გაძლიერებაზე იქნება მიმართული. საზოგადოების თვალში კეთილი მიზნით აგორებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების იდეა ისე განხორციელდა, რომ არც არავის მოუთხოვია "პროფესიული კომისიის" დეფინიცია. ხელისუფლებამ სიტყვა შეასრულა და კომისია თავისი საქმის პროფესორებით დააკომპლექტა - ფიზიკოსით, ქიმიკოსით და, მგონი არ ხუმრობენ, როცა ამბობენ, რომ კომისიაში პროფესიონალი სანტექნიკოსიც ჰყავთ. ასე რომ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა შეასრულა და ქართულ პარლამენტარიზმში ახლა, პროფესიონალური პარლამენტის გვერდით, პროფესიონალური ცსკ-აც ჩამოყალიბდა, თანაც მიზნები ორივეს ერთგვაროვანი აქვთ. მმართველმა პარტიამ კომისიაში არსებული უმრავლესობის ნაცვლად ასპროცენტიანი კომისია მიიღო. განა რა არის ამაში ცუდი? ვაცალოთ და დრო მოვა ყველა ისწავლის თავის საქმის კეთებას, როგორც უნდათ.

მაგრამ მოქკავშირის განაციონალებული საარჩევნო ტექნოლოგები გრძნობენ, რომ ერთპარტიული დემოკრატიის ბატონობის შესანარჩუნებლად მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნება და ამიტომაც გადაწყვიტეს თბილისის თვითმმართველობის დონეზე გარანტირებული ერთპარტიული საარჩევნო ტექნოლოგიის პრაქტიკაში გამოცდა. ასეთ პერსპექტივაზეა გათვლილი "საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" კანონის საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებები. პირდაპირ ვიტყვი, ახალი ქართული გამოგონების ამ ეგზომ უცნაური ექსპერიმენტის თბილისის საკრებულოს არჩევნებში მმართველი პარტიისათვის წარმატებულმა შედეგმა, საქართველოს პარლამენტში მანდატების შემცირებული ვარიანტის პირობებში და სამხარეო საარჩევნო ოლქების შექმნის იდეასთან დაკავშირებით, შეიძლება იგივე მექანიზმის გამოყენება საარჩევნო კოდექსშიც განაპირობოს.

### საარჩევნო სამართალი ობიექტურ განზომილებებში

ის, რაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართულ საარჩევნო სამართალს დაენათლა, მმართველი პარტიის მზაკვრული გეგმის უმთავრესი ნაწილია: საქართველოში არ მოხდეს ნორმალური მრავალპარტიული, პერსპექტივაში ორპარტიულობაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, არ მოხდეს კონკურენტუნარიანი პოლიტიკური ფიგურების წარმოჩენა, რომელთაც ძლიერი და სუფთა პოლიტიკური ზურგი ექნებათ.

საარჩევნო კანონი, ქართული პრაქტიკიდან გამომდინარე ერთჯერადი მოხმარების აქტად ვაქციეთ. არადა, კონსტიტუციონალიზმის უმნიშვნელოვანესი იდეების დონეზე და დემოკრატიული სახელმწიფოების მაგალითზე, კონკურენტუნარიანი ორპარტიული სისტემების ჩამოყალიბება მყარი და სამართლიანი საარჩევნო სამართლის პირობების ბაზაზე ხორციელდება. ამ დროს, მთავარი კი ის არის, რომ როცა ამომრჩეველი ირწმუნებს საარჩევნო სამართლის სამართლიანობას, თავად ცდილობს ხელი შეუწყოს პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას. მაგალითად, აშშ-ს სამხრეთ შტატებში, სწორედ ასეთი გარემოს შექმნის მიზნით, ამომრჩევლებმა თავად დაამკვიდრეს პრაქტიკა, როცა ცენტრალურ ორგანოებში წარსაგზავნად რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს უჭერენ მხარს, შტატის ორგანოებში მათი რჩეული დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ხდება. გამოდის, რომ ამომრჩევლებმა ორივე კონკურენტული პარტიის წარმომადგენლები თავისი შტატის ინტერესების სამსახურად დაუპირისპირეს და იმავდროულად გააერთიანეს!

საარჩევნო სისტემა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რას უწოდებენ მას – მაჟორიტარულს, პროპორციულს თუ შერეულს, არამედ იმაზე, თუ როგორ არის მასში შეჯერებული და როგორ მუშაობს აღნიშნული სისტემების მახასიათებლები. ცნობილია, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პირობებში ამომრჩეველთა მეტი ხმები იკარგება, პროპორციულის დროს ნაკლები. მათი შედეგებიც შესაბამისად ასახავენ ამომრჩეველთა ნებას. ქართულმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ განვლილ პერიოდში კანონმდებლობით გათვლილი ნებისმიერი სისტემის ვარიანტი მმართველი პარტიის ხელქვეითობით მოქმედებდა. თბილისის შესახებ კანონში შემოთავაზებული საარჩევნო სიახლეებიც ამავე ბუნებისაა. მათზე საგანგებოდ შევჩერდებით. ახლა ნასესხები იდეების სწორად გამოყენების საკითხს შევეხებით, ვინაიდან საარჩევნო სამართლის სამართლიანობის განმაპირობებელი, ობიექტური განზომილებებით შეკრული სისტემის შექმნა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი.

შედარებითი კონსტიტუციური სამართლისადმი უკანასკნელ ხანებში გაზრდილი ინტერესი სწორედ ეროვნული კონსტიტუციებისა და ორგანული კანონმდებლობის სრულყოფის ამოცანებთან არის დაკავშირებული. კონსტიტუციონალიზმი იძლევა მოდელირების პროცესისათვის აუცილებელი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, ხოლო შედარებითი კონსტიტუციური სამართლის პრაქტიკული ნიმუშების სიმრავლე, კონსტიტუციონალიზმიდან შერჩეული ნასესხები იდეების საკანონმდებლო მოდელირების შესაძლებლობას. მაგრამ ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თეორიისა და პრაქტიკის ეროვნულ კონსტიტუციურ სამართალთან და ქვეყნის მართვა-გამგებლობის მოდელთან შესადარისობის ფაქტორი.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნასესხებ იდეები, რომელთაც წინ არ უსწრებს კონსტიტუციური სამართლის მოდელური მახასიათებლების ადგილობრივ თავისებურებებთან მეთოდოლოგიური შეთავსებადობის შესწავლა-შეფასება, ეროვნულ კონსტიტუციურ სამართალში შეუთავსებელი, არაორგანული ნორმებისა და მექანიზმების ჩართვა, ხელისუფლების დანაწილების სისტემაში შეიძლება სერიოზული დისბალანსის გამომწვევი მიზეზი გახდეს.

სახელისუფლებო ინიციატივის ერთგული ოფიციოზი ცდილობს, შეუსადარი ლოგიკითა და არგუმენტებით დაუჭიროს მხარი შემოთავაზებულ პროექტს და ხშირად ცალსახა მაგალითებს იყენებს არგუმენტებად: თურმე გერმანიის კანცლერს ბუნდესტაგი ირჩევს და ეს კარგია; ან მერის პირდაპირი არჩევნები სულ ახლახან შემოიღეს პარიზსა და ლონდონში; ან მერი ირიბი წესით აირჩევა ამა და ამ ქალაქებშიო. ჩვენი აზრით, ყველა ეს ე.წ. არგუმენტი, დონისა თუ მასშტაბების თვალსაზრისით, მარტივი შეუსადარი ფაქტურაა და არ შეიძლება შედარებითი ანალიზის საგნად მივიჩნიოთ. პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების გარეშე, ასეთი, სწორედ რომ არაკონკრეტული მსჯელობის შედეგად, ძირითადი დავის საგანი თვითმიზნურად მერის არჩევითობის საკითხი გახდა. მერი არჩევითია მაშინაც, როდესაც მას ამომრჩევლები პირდაპირ ირჩევენ და მაშინაც, როდესაც საკრებულოს წევრები ირიბი წესით ირჩევენ. უკანასკნელ შემთხვევაში შედეგი შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა უმრავლესობის ნებას. ამ დროს საპარლამენტო უმრავლესობის ხაზგასმული "პრინციპულობა", მით უფრო, როდესაც საზოგადოებრივი განწყობის გამოკითხვა 90 პროცენტის დონეზე მხარს მოქალაქეთა მიერ მერის პირდაპირ არჩევნებს უჭერს, ცხადია, ამჯერადაც პარტიული ინტერესის პრიმატს ადასტურებს.

სხვათა შორის, მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. იგივე თბილისის შესახებ კანონში ცვლილება-დამატებები მრავალ ნიმუშს შეიცავს, თუ როგორ შეიძლება ნასესხები იდეა პარტიულ მიზანს მორარგო, თუნდაც ამას თავად იდეის არსი შეეწიროს. მერის ირიბი არჩევნების მხარდაჭერის მიზნით, პარლამენტში მიმდინარე დებატების დროს, გერმანიაში ბუნდესტაგის მიერ კანცლერის არჩევის წესი, არგუმენტადაც კი მოიხსენიებოდა. არადა, რომ ვუფიქრდები, ერთი შეხედვით ეს პროგრესული იდეა, გაუთვითცნობიერებულთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, უბრალოდ, სიტყვის მასალად გამოიყენებოდა, თორემ მაშინ კანონში დამატებული 221 მუხლის რედაქციაში გერმანული იდეა ქართული ვარიაციით არ იქნებოდა შემოთავაზებული. საქმე ის არის, რომ გერმანული კანონმდებლობა კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმით წყვეტს საკითხს, როდესაც ბუნდესტაგში კანცლერისადმი უნდობლობის საკითხი მომწიფდება. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ უნდობლობის ინიციატორთა წინადადება კანცლერის გადადგომის შესახებ, იმავდროულად, კენჭისყრაზე აყენებს კანცლერის ახალ კანდიდატურას. ამგვარად, ბუნდესტაგი ერთდროულად წყვეტს ძველი კანცლერის გათავისუფლებისა და ახალი კანცლერის დანიშვნის საკითხს. ქართულ რედაქციაში (იმავე მუხლის მე-4 პუნქტი) გაჩნდა ერთი შეხედვით უწყინარი ჩანაწერი: "თუ მერის თანამდებობაზე დასახელდება რამდენიმე კანდიდატი(?), მათ კენჭი ეყრება ერთად და გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობას". როგორც ჩანს, ამ ცვლილებების ინიციატორი საპარლამენტო უმრავლესობა, საკრებულოს ფორმირების მათივე ნოვაციით წინასწარ დარწმუნებულია შედეგში. თორემ, მისი ავტორები ნორმის დასრულებულ სახეზეც იფიქრებდნენ. იმ შემთხვევისათვის, თუ ორი ან მეტი(?) კანდიდატურიდან პირველ ტურში ვერც ერთი ვერ დააგროვებს სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობას, განა მეორე ტურის ჩატარება არ იქნება საჭირო?

მთლიანობაში მოცემულ პუნქტს არც მეტი, არც ნაკლები, კვლავაც პარტიული ინტერესის დაცვის ფუნქცია აკისრია: თუ ვინიცობაა უნდობლობის საკითხის ინიციატორი ოპოზიცია იქნება – ხმების 1/3-ით, უმრავლესობა იძულებით, თუნდაც თავისივე მერის უნდობლობის აქტის მონაწილე ხდება. მაგრამ მათთვის ხომ მთავარი მერის თანამდებობის შენარჩუნებაა, ამიტომ თავის კანდიდატურასაც დაასახელებენ და კენჭისყრისას ხმებსაც მკაცრად გააკონტროლებენ, უმრავლესობა ხომ მათ საკრებულოს ფორმირების ახალი წესით შემოთავაზებული მექანიზმის ძალით, გარანტირებული ექნებათ. სხვათა შორის, პარტიული ინტერესების დაცვის მიზნით, თეთრი ძაფით დაკემსილი ნორმები შემოთავაზებულ ცვლილება-დამატებებში სხვაც ბევრია.

### რაც პოლიტიკური დებატების მიღმა დარჩა

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული ცვლილება-დამატებების ირგვლივ გამართული დებატების აქცენტის მერის პირდაპირი თუ ირიბი არჩევის წესზე გადატანა, საზოგადოების მიერ საარჩევნო სამართლის სპეციფიკური თავისებურებების გაუთვითცნობიერებაზე იყო გათვლილი, რათა, ატეხილი ხმაურის მიღმა, შეუფასებელი დარჩენილიყო თავად საკრებულოს ფორმირების შემოთავაზებული მექანიზმი.

როგორც ჩანს, უმრავლესობის იმედები არ მართლდება, თბილისელები მერის პირდაპირ არჩევას ითხოვენ. თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს თბილისელთა უმრავლესობის პოზიციას, ძალიან ბევრს წააგებს. მაგრამ უმრავლესობის ლიდერთა "ჯიუტი პრინციპულობის" გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ ისინი არც იმაზე დაიხევენ უკან, რათა შექმნან მერი ქიბროწაშვილის სახე, ცხადია, თუ სერიოზული საფრთხის შემცველი, არადემოკრატიული ბუნების საარჩევნო მექანიზმი ძირეულად არ შეიცვალა. ისე, კაცმა რომ თქვას, ქიბროწაშვილი თავისთავადი იქნება თუ უმრავლესობის წევრებიდან წარმოდგენილი, საქმისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

თბილისის მერის ირიბი წესით არჩევის ტექნოლოგია იმ მიზნით არის გამოგონებული, რომ მმართველი პარტიისთვის, მის ხელთ არსებული ყველანაირი რესურსების გამოყენებით, გაცილებით ადვილია საკრებულოს არჩევნებში მაქსიმალური გამარჯვება და ამ გზით მერის არჩევა, ვიდრე მერის პირდაპირი არჩევა საერთოდ. თანაც, ყველაფერი ეს მომგებიანად ეწერება მრავალი წლის მანძილზე სიყალბით მისუსტებულ ქართულ საარჩევნო სამართალში, რომელიც ფუნქციურად მმართველი პარტიის პოლიტიკური მიზნების იარაღად არის მოაზრებული.

სხვათა შორის, ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიმართ არსებითი ცვლილება-დამატებების სიმრავლე ერთდროულად ძნელად წასაკითხს ხდის მომავალ კანონს და კიდევ უფრო ძნელად ამოსაცნობს მის იურიდიულ ბუნებას, რომელსაც იგი სერიოზული ცვლილებების შემდეგ მიიღებს.

პარლამენტში მიმდინარე პოლიტიკური დებატების მიღმა სათანადო შეფასების გარეშე დარჩა ახალი საარჩევნო გამოგონების არადემოკრატიული ბუნება და იმის აღიარება, რომ მისი ამოქმედებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყანაში კონკურენტუნარიანი პოლიტიკური პარტიული სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობის წინააღმდეგ. მოცემული კანონის მიღებით ოპოზიციური ძალის დაუფასებლობა უკვე იურიდიულად გაფორმდა. როგორც ჩანს, პარლამენტის მორჩილი უმრავლესობა მზად არის, დაჩქარებული მეთოდით დაასრულოს ცენტრალიზებული ერთპარტიული სახელმწიფოს მშენებლობა.

საკონსტიტუციო ქართველოლოგია დღითიდღე იფურჩქნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი "შედევრი" კონსტიტუციონალიზმში იმკვიდრებს ადგილს. ქართული კონსტიტუციური სამართლის განზომილებები, მ.შ. საარჩევნო ნორმათა სისტემა, გამარტივებაზეა ორიენტირებული, მარტივდება მერის შერჩევის კრიტერიუმებიც და 25 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქის ქალაქის პრემიერად დანიშვნის წარუმატებელი ექსპერიმენტი, ცხადია, დავიწყებას მიეცა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი საკითხების ასეთი მარტივი გზით გადაწყვეტის გამო, სულ უფრო და უფრო იზრდება კონსტიტუციური ინფლაციის მოსალოდნელი საშიშროების ხარისხი. სიჩქარეში, მარტივად "მოგვარებული", ბოლომდე გაუაზრებელი საკითხები ჯერ კიდევ ბევრი შეგვეფეთება წინ. ერთი ასეთი მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების საკითხია: კიდევ კარგი, რომ ერთი ქართული გამოგონების შედეგად მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს უმთავრდებათ უფლებამოსილება პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებზე ხუთი თვით ადრე, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტის ის ნაწილი შეგვრჩებოდა ბოლომდე, რომელსაც სხდომების ჩატარების უფლებამოსილება აღარ ექნებოდა.

მიმაჩნია, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, თბილისის მერის არჩევის მექანიზმი არადემოკრატიულია. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემი არგუმენტი ირიბი არჩევის წესს კი არ უკავშირდება, არამედ საკრებულოს არჩევნების შემოთავაზებულ სისტემას, რომელშიც ჩადებული თვითმიზნური იდეების შედეგად, პარტიული მექანიზმის ამოქმედებით, ფაქტობრივად, დანიშნული მერის სახით პარტიული ნომენკლატურის ინსტიტუტს მივიღებთ.

### შემოთავაზებული საარჩევნო სისტემის საიდუმლოებანი

საკანონმდებლო პროცესის რაციონალიზაციის თვალთახედვით, ქართველ კანონმდებელთა საგამომგონებლო ტალანტს ზღვარი არა აქვს. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც, მხოლოდ ერთი საერთო ნიშნით: ყოველი ქართული ნოვაცია მმართველი პარტიის პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება.

ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების თვალსაზრისით თანასწორობის პრინციპი საარჩევნო სამართლის სამართლიანობის დამცავი ერთი უმთავრესი პრინციპთაგანია, რომელიც უშუალოდ არის მიბმული ხელისუფლების დანაწილების სისტემაზე, როგორც პოლიტიკური ბალანსის განმაპირობებელი ფაქტორი.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის შესახებ კანონში ცვლილება-დამატების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მმართველმა პარტიამ, თბილისის საკრებულოს ფორმირების სქემა დაამტკიცა უდებატოდ და უგანგაშოდ. არადა, ამ ორუცნობიანი განტოლების მიღმა კიდევ ერთი "მნიშვნელოვანი" გამოგონება იმალება. როგორც აღვნიშნეთ, თბილისში მისი "წარმატებით" გამოცდის შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით საყოველთაო აღიარება მიიღოს. მთავარი კი ის არის, რომ საკრებულოს მანდატების მოსაპოვებლად საჭირო ხმების თანასწორობის თვალსაზრისით, ინიციატორებმა, ძნელად პროგნოზირებადი ვარიანტების სისტემით მმართველ პარტიას პერსპექტივა განუმტკიცეს. მიზანი ცხადია, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი მმართველი პარტიის სასარგებლოდ მთავრდება.

თბილისის საკრებულოს ფორმირების ფორმულა 25+12 უამრავ შენიშვნას ბადებს. როგორც ჩანს, მმართველ პარტიას მყარი უმრავლესობის იმედი აქვს – 25 მანდატის დონეზე, აბსოლუტურად უუფლებო 12 მანდატი კი ოპოზიციისთვის გაუმეტებია. ერთი გადასაცემი ხმის სისტემა, რომელიც კონსტიტუციონალიზმში პრაქტიკულად მკვდარი მექანიზმის სახით არის ცნობილი, კარგა ხანია არც არავის გამოუყენებია. ჩვენ კი უკვე მეორედ დაგვჭირდა იგი. ამჯერად ინიციატორებს 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცდილება გამოადგათ, რომლის შედეგად მაშინ მანდატები სამ ათეულზე მეტ პოლიტიკურ სუბიექტზე განაწილდა და უამრავი გათითოკაცებული პარტია "მოღვაწეობდა" პარლამენტში. ამჯერადაც, შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა, მოცემული ფორმულის პირობებში, უმცირესობას მთელი შემადგენლობის მესამედზე ნაკლებ მანდატებს პირდება და ისიც პარტიების მრავალრიცხოვნობის პირობებში.

ამასთან, მოცემული ფორმულისა და საარჩევნო სისტემის პირობებში შეიძლება ამომრჩეველთა გაცილებით მეტი ხმა დაიკარგოს, ვიდრე ცალ-ცალკე პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის გამოყენების შემთხვევაში. შედეგების ბალანსის თვალსაზრისით, განსახილველი მექანიზმის ამოქმედებით უამრავი გაუთვალისწინებელი მოულოდნელობაა შესაძლებელი. მაგრამ შემოთავაზებული მოდელის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ თანასწორობის საარჩევნო პრინციპის აბსოლუტური უგულებელყოფის შედეგად, როდესაც უბრალო არითმეტიკული ბალანსის სახით 12 მანდატის მოპოვებისათვის აუცილებელია ხმების 48 პროცენტი, ხოლო 25 მანდატისათვის საკმარისი ხდება ხმების 52 პროცენტი. არჩევნების შედეგების ყველა მოსალოდნელი ვარიანტი მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს:

- გამორიცხული არ არის, არჩევნებში მონაწილე პარტიათა სიმრავლის დროს მმართველმა პარტიამ 25 მანდატი ხმების 20-30 პროცენტის ხარჯზე მოიპოვოს. მაშინ ოპოზიციის მიერ მოპოვებული ხმების 48 პროცენტი დაიხარჯება 12 მანდატზე, ხოლო ხმების 20-30 პროცენტი დაიკარგება;
- მმართველი პარტიის მიერ მოპოვებული ხმების 40 პროცენტმა შეიძლება მას 25 მანდატი მისცეს, მაშინ, როდესაც შედეგებით მეორე პარტიას 50-100 ხმის ნაკლებობის შემთხვევაშიც კი შეიძლება 12 მანდატიც არ შეხვდეს;
- მმართველი პარტიის მიერ მოპოვებული 50-60 პროცენტი ხმების პირობებში, თუ იგი ყველა ოლქში გაიმარჯვებს, საკრებულო სრულად ვერ დაკომპლექტდება და მთელ ოპოზიციას 12 მანდატიც არ შეხვდება;
- თუ მოხდება, რომ უმრავლესობა რომელიმე ოლქში ხმების 8 ან 12 პროცენტიანი მარაგით არჩევნებს წააგებს, იგი ამ დანაკლისს პროპორციული არჩევნებისათვის განკუთვნილი 12 მანდატიდან 2 ან 3 მანდატის მოპოვებით შეავსებს.

ყველა ვარიანტის გათვლით, რეალურად, ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა მაქსიმუმ 12 იქნება. როგორც ჩანს, ესეც წინასწარ არის გათვლილი, რაც ოპოზიციას, არა უმეტესს მხოლოდ არსებობის უფლებას აძლევს, ვინაიდან ნებისმიერ ინიციატივას ხმების 1/3 სჭირდება, ეს კი 13 მანდატია და არა ოპოზიციაზე გამოყოფილი 12 მანდატი. და თუ მაინც, ოპოზიცია შეძლებს 13 ხმა მოიძიოს, ზემოთ აღნიშნული მერისადმი უნდობლობის საკითხის დაყენების გარდა, შეუძლია ახლაარჩეულ საკრებულოში მერის კანდიდატურა დაასახელოს, მაგრამ ამ შემთხვევაში კანდიდატურის დასახელების პირველობა საკრებულოში პარტიული სიით შესულ უმრავლესობას ეკისრება და ოპოზიციისთვის მერის კანდიდატურის დასახელებაც ფიქციაა, ვინაიდან არანაირი აზრი არა აქვს.

გაგრძელება B3 გვერდზე

# ქართული კონსტიტუციონალიზმის სამოყვარულო დონე

B2 გვერდიდან

### ე.წ. შუალედური არჩევნების თაობაზე

ცნობისათვის: საარჩევნო ოლქში წარმოქმნილი ვაკანსიის მიზეზით დამატებითი არჩევნები ტარდება. ჩვენ კი მათ რატომღაც შუალედური არჩევნები ვუწოდეთ, რომელიც თავისი არსით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში პარლამენტის შემადგენლობის ნაწილობრივ განახლებასთან არის დაკავშირებული. მიმაჩნია, ტერმინთა ასეთი აღრევა იმით არის გამოწვეული, რომ მმართველმა პარტიამ მას სწორედ შუალედური დატვირთვა მისცა, მომავალი ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნებისთვის გარკვეული სარეიტინგო მონაცემების "გამოსავლინებლად". ხუთ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების მაჩვენებლებს მოსახლეობის განწყობაზე ზეგავლენის შუალედური ფუნქცია დაეკისრა, მიზანი კი მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით მათი რწმენის დამორჩილება იყო, პირველ რიგში ხელისუფლებისადმი დაპირისპირების უპერსპექტივობის დემონსტრირების თვალსაზრისით.

უკვე მერამდენედ, მმართველი ელიტა მოჩვენებითაც კი არ ცდილობს, ბოლო დაადგას მოქალაქეთა საარჩევნო სიების შედგენას, მას უფრო მხარდამჭერთა სია აინტერესებს და ყველანაირად ცდილობს, ხელიდან არ გაუშვას ამომრჩეველთა არასრული სიების არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების ბერკეტები. ადრე თუ ეს სიაში მკვდარი სულების სიმრავლის ხარჯზე, "უპატრონოდ" დარჩენილი საარჩევნო ბიულეტენების რესურსების ამოქმედებით წყდებოდა, დღეს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლების სათვალავიდან ამოღების მიზნით შეზღუდვების მექანიზმი ამოქმედდა.

როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლების საქმიანობის განვლილ პერიოდში, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი გონს მოეგო. მმართველი პარტიის რეიტინგის ვარდნა თვალშისაცემია და ამიტომ, საარჩევნო სამართლის ახალი კორექცია გახდა საჭირო, კვლავაც არამართლზომიერი ქართული ნოვაციის ამოქმედების მეშვეობით. კანონმდებლობაში არჩევნების შედეგების შესადარის ბაზად, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნაცვლად, ე.წ. რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ჩაიდო, წინასწარი რეგისტრაციის სავალდებულო პირობის შემოღებით, რომელიც მნიშვნელოვნად აგდებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ფაქტობრივ მაჩვენებელს და შესაბამისად ზრდის ხელისუფლების მხარდამჭერთა ნაწილს - რეგისტრირებული რაოდენობის მიმართ. შედეგად, ერთდროულად შემცირდა არჩევნების უფლებამოსილების ნორმა და არჩევნებში გამარჯვებისათვის საჭირო ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობაც.

როდესაც მმართველი პარტიის სურვილების დაკმაყოფილება, მისივე მორჩილი ხმოსნებისაგან შემდგარ საკანონმდებლო უმრავლესობაზეა დამოკიდებული, იგი ყველაზე იოლი გზით აღწევს ე.წ. გამარჯვებას. როგორც ჩანს, მოქკავშირის მწარე გაკვეთილს, მისი ყოფილი ლიდერების მეხსიერებაშიც არ დაუტოვებია, თუნდაც, მოგონების კვალი.

ხუთ ოლქში ჩატარებული დამატებითი არჩევნებისთვის გამოყენებული მექანიზმი, ამომრჩეველთა საერთო სიის იმგვარ კორექტირებაზე იყო მიმართული, რომ არჩევნების "შედეგები" არ გაფუჭებულიყო იმათ გამო, ვინც არჩევნებზე გაუსვლელობით ბოიკოტს უცხადებს ხელისუფლებას. სხვათა შორის, მათი უდიდესი ნაწილი ის ამომრჩევლებია, რომლებიც არც წინა ხელისუფლების დროს მონაწილეობდნენ არჩევნებში, მაგრამ როდესაც მოთმინების ფიალა აევსოთ, იმ დიდ მასად იქცა, რომელმაც ხელისუფლება დაამხო. ახლა, როდესაც სწორედ მათ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა გუნდმა, თავისი საპარლამენტო უმრავლესობით, ამომრჩევლის ნდობა არარად ჩააგდო, მათ კვლავინდებურად ბოიკოტის ძველ ფორმას მიმართეს. მაგრამ ვინაიდან, ახალმა ხელისუფლებამაც ვერ ისწავლა მოქალაქეების მოთმინების დაფასება, იმას მაინც ნუ დაივიწყებს, რომ ეს უკვე ის ხალხია, რომელმაც მოთმინების ზღვარზე ძალიან კარგად იცის საკუთარი ნების ძალა.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნაცვლად, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე საარჩევნო კრიტერიუმების დაფუძნება, კვლავაც მმართველი პოლიტელიტის გამარჯვებაზე გათვლილი საგარანტიო ნოვაციაა, რამეთუ ხელისუფალთ დაავიწყდათ, რომ ამომრჩეველთა სიის შედგენა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, ამ უპასუხისმგებლობას კი თავის სასარგებლოდ იყენებენ.

აღნიშნულ კონტექსტში, ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის წესის შემოღება, ერთი მხრივ, იმის ნათელი დასტურია, რომ ხელისუფლებას არ ძალუძს და არც სურვილი აქვს ბოლოს და ბოლოს უზრუნველყოს არჩევნების ნორმალური საარჩევნო სიით ჩატარება; მეორე მხრივ, სირთულეებს უქმნის ამომრჩეველთა კორპუსს; მესამე მხრივ, არჩევნების უფლებამოსილების ნორმის ფალსიფიცირებაზეა მიმართული, ვინაიდან საბაზო მაჩვენებლებიდან გამორიცხავს ამომრჩეველთა დიდ ნაწილს, რომლებიც არათუ წინასწარ რეგისტრაციას, საერთოდ ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს.

ქართულ სინამდვილეში ყოველთვის დიდი იყო იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც ბოიკოტის ნიშნად თავს არიდებდნენ არჩევნებს. არჩევნებში მაღალი რეიტინგით გამარჯვებულ პრეზიდენტს და მის საპარლამენტო უმრავლესობას, როგორც ჩანს, ხელს აღარ აძლევს რეალური სურათის დაფიქსირება და არც საზეიმო შთამბეჭდაობის ზემოქმედი ძალის დაკარგვა უნდა საკუთარ მხარდამჭერებზე. ამიტომ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მმართველმა პარტიამ არასრულყოფილი საარჩევნო სიის მნიშვნელოვანი რესურსი ხელიდან არ გაუშვას. საარჩევნო სიის შედგენის ჭიაბერაშვილისეულმა მეთოდმა, წინასწარი სავალდებულო რეგისტრაციის წესის დამკვიდრებით, უბრალოდ, მოქალაქეთა დიდ ნაწილს კონსტიტუციურად განმტკიცებული საარჩევნო ხმის უფლების გამოყენების საშუალება ჩამოართვა.

არადა, მმართველი პარტიის რეიტინგი სერიოზულ ვარდნას განიცდის. ეს ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებითაც დასტურდება, შედეგები ასეთია: ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერს 38,5 პროცენტი, ხოლო მთლიანად ოპოზიციას 17,6 პროცენტი. მაგრამ ჩვენ ყურადღებას ორ მაჩვენებელზე გავამახვილებთ: ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 42,8 პროცენტს არც ერთისთვის არ დაუჭერია მხარი, სწორედ ამომრჩეველთა იმ რაოდენობაზე მიანიშნებს, რომელიც საარჩევნო ხმის უფლების გამოყენების წინასწარი რეგისტრაციის წესის შემოღებით შეიძლება არც მივიდეს საარჩევნო უბანში; მეორე მაჩვენებელი კი მმართველი პარტიისთვის უდავოდ საგანგაშო დინამიკას წარმოაჩენს, ვინაიდან გამოკითხულთა 3/5-ზე მეტი, უბრალოდ, მხარს არ უჭერს მას.

### იკითხე და წერე

ჩვენი აზრით, ქართულ კონსტიტუციურ სამართალში მდგომარეობა თანდათანობით სულ უფრო რთულდება. აქ ცალსახა მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. ერთი მხრივ, ყოველივე კონსტიტუციონალიზმის ცოდნის დეფიციტს უკავშირდება, რომლის დაძლევაც უსაზღვრო, ხშირად აბსოლუტურად გაუმართლებელი ფანტაზიის, იდეის ინიციატორთა თუ დამკვეთთა ზეწოლის შედეგია, მეორე მხრივ, კონკრეტული საკითხისა თუ მექანიზმის სადღეისო გადაწყვეტის სურვილითა და პოლიტიკური პრიმატით არის განპირობებული.

ნებისმიერი იდეის რეალიზაციისას, კონსტიტუციური სამართლის სამეცნიერო მეთოდოლოგიის, კერძოდ, ფორმალურ-იურიდიული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდების და სხვა ანალიტიკური ხერხების უგულებელყოფას და დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკით გამოცდილი ნიმუშების უარყოფას იმ მდგომარეობამდე მივყავართ, რომ ეროვნულ კონსტიტუციურ სამართალს უნიმუშო იდეებზე მორგებული ქართული გამოგონებებით ვამდიდრებთ. ასეთ ნოვაციებს, ცხადია, თავისი გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვება. ზოგიერთი მათგანი დღესვე წარმოჩინდა გარკვეული პრობლემების სახით. მომავალში კი უფრო მეტი გველოდება. მით უფრო, რომ ყოველ ახლად ამოქმედებულ იდეაში ცალსახად გამოკვეთილია ცენტრალიზაციისა და ერთქვემდებარების ტენდენცია. გულახდილად, ძალიან მაფიქრებს არაიურისტი ინიციატორების ზედმეტი თავდაჯერებულობა, ისევე როგორც პარლამენტში მომრავლებული ახალგაზრდა იურისტების, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელ სამართლებრივ რყევებთან შემრიგებლური პოზიცია, სულ ერთია, კონსტიტუციონალიზმის ცოდნის დეფიციტს უკავშირდება იგი, თუ პარტიულ დისციპლინას.

მოცემული შენიშვნა პარლამენტში მოსულ ახალ სახეებსაც ეხება, რომელთა შორის ისეთებიც არიან, რომლებმაც პრინციპების დევალვაცია განიცადეს პარლამენტში და რასაც უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ გუშინ, დღეს ანალოგიურ მოვლენებსა და კურსს თავგამოდებით იცავენ. გამოდის, მათი პოზიცია ფასეულობების პრინციპს კი არ ემყარებოდა და ემყარება, არამედ პირადი მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზეა გათვლილი. ჩემი აზრით, ეს ბაცილა ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა პოლიტელიტაში.

არადა, ყოველივე აღნიშნულის ფონზე, მკაცრი, მაგრამ ობიექტური მოსაზრებების საპირისპიროდ, ხშირად მსმენია შემწყნარებლური - ვაცალოთ. მე კი მიმაჩნია, რომ პარლამენტის უფლებამოსილების წელიწადნახევარზე მეტი გამოსაცდელი პერიოდი საკმარისია შედეგების შესაფასებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი მოსაზრება გამოითქვას: უდავოდ დასანანია, რომ პარლამენტართა შორის კონსტიტუციური სამართლის სფეროში პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა უკანა პლანზე გადადის. ეს უთუოდ იმის ბრალიცაა, რომ სამართლის ამ დარგის სპეციალისტები ნაკლებად ხვდებიან პარტიულ სიებსა და გამარჯვებულთა შორის მაჟორიტარულ ოლქებში. არსებულ ვითარებაში ხომ არ აჯობებდა პარლამენტარ-რეზერვისტების მომზადებაზე დახარჯული დრო და თანხა, ყოველი ახალი უფლებამოსილების პარლამენტში, პირველსავე თვეებში, პარლამენტარებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამდიდრების ტრენინგებზე დაგვეხარჯა და სავალდებულო სამართლებრივი ცოდნის გამავრცელებელი სემინარის მსგავსი ინსტიტუტი აგვემოქმედებინა. სხვათა შორის, არც პარლამენტის ამჟამინდელ შემადგენლობას აწყენდა, თორემ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეგვექმნება, როდესაც რიცხობრივად შემცირებულ პარლამენტში კიდევ უფრო დაბალი იქნება კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, თვითნასწავლი პროფესიონალებით თუ არ დავკმაყოფილდებით მხოლოდ.

უნდა ვაღიარო, რომ კონსტიტუციური სამართლის სფეროში ჩართულ ჩვენს პარლამენტარებს ნამდვილად არ აწყენდათ ასეთი სახის რჩევა – იკითხე და მერე წერე. კიდევ კარგი, რომ კონსტიტუციონალიზმის თეორიისა და შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სფეროში ლიტერატურის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოგრაფია არსებობს. პარლამენტარებს, თუ მაინცდამაინც, იურიდიული ლიტერატურის კითხვა არხელეწიფებათ, ვიდრე საკითხის გადაწყვეტას აიღებენ საკუთარ თავზე, აზრი მაინც იკითხონ პროფესიონალ-ექსპერტებთან და მხოლოდ შემდეგ შეუდგნენ წერას, რომ თუნდაც კანონპროექტის არსზე და დანიშნულებაზე პასუხებში არ გამოჩნდეს საკითხის ინიციატორთა თუ მომხსენებელთა განსახილველი საგნისადმი მიდგომის ზედაპირულობა, სამომავლოდ, საკუთარი შეცდომების გასწორების სიმრავლეზე რომ არაფერი ვთქვათ.

---

## საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის
# განცხადება ვაკანსიის შესახებ
## ინდივიდუალური კონსულტანტი იურიდიული მომსახურებისთვის

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტით (TF 023968) დაფინანსებული და მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის კოორდინაციასა და მართვაზე, აცხადებს კონკურსს იურიდიული მომსახურებისთვის ინდივიდუალური კონსულტანტის შესარჩევად.

**სამუშაოს მოცულობა**

ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების, დავით გარეჯის დაცული ლანდშაფტის დასაკანონებლად და ალაზნის ჭალების მართვის გასაუმჯობესებლად კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე აქტების სამუშაო ვერსიების მომზადება; კანონქვემდებარე აქტების სამუშაო ვერსიის მომზადება თუშეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ბაწარა-ბაბანეური-ილტოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების დასამტკიცებლად; კანონიერების დაცვის გასაუმჯობესებლად კანონპროექტების სამუშაო ვერსიების მომზადება შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად; კანონქვემდებარე აქტის სამუშაო ვერსიის მომზადება დაცული ტერიტორიების ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების დასანიშნად; პროექტის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა იურიდიული მომსახურება.

**მოთხოვნილი კვალიფიკაცია**

1. იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების საფუძვლიანი პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი
2. საერთაშორისო სამართლის და რეგულირებების (კონვენციების) ბრწყინვალე ცოდნა
3. საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების და გარემოს დაცვის კანონმდებლობის ბრწყინვალე ცოდნა
4. წერითი და ზეპირი ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა
5. მრავალდისციპლინარულ ჯგუფებში მუშაობის გამოცდილება
6. შესაბამისი განხრით დიპლომის ქონა

**კონტრაქტის ხანგრძლივობა**

კონტრაქტის ხანგრძლივობაა სამი თვე. კონტრაქტი განახლდება კონსულტანტის მიერ სამუშაოს დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: ინტერესის გამოხატვის წერილი, კურიკულუმ ვიტა (CV), ორი სარეკომენდაციო წერილი.

განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადაა: 30 ნოემბერი, 2005, 18.00.

**მისამართი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩა 9, V სართული, თბილისი, 0179 საქართველო**
**ტელ: (99532) 251566; ფაქსი: (99532) 251349, ელ. ფოსტა: atevdoradze@gpadc.org.ge**
**ვებ-გვერდი: www.gpadc.org .**

---

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე

| N | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს შესრულების ადგილი |
|---|---|---|
| ლოტი N1 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები; 2. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 3. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. 4. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | **ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ.N68** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N2 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები; 2. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 3. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. 4. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | **ქ.თბილისი, ც. დადიანის ქ.N34** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N3 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | **ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.N2** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N4 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. | **ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N4** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N5 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | **ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ.N158** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N6 | **სამშენებლო სამუშაოები:** 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიცირების (ზამთარი-ზაფხული) მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | **ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N70** საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 01-02 დეკემბერს, 18 საათამდე, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გმზ. N30, ოთახი N96 ტელ. 758291.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

. 1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი N62ა, **2005 წლის 06-07 დეკემბერს, 1800 საათამდე.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-82-91, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 96.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

სახე საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა.ფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

# კერუაკი 21-ე საუკუნეშიც აქტუალურია

ნინო ჩიმაკაძე

ჯეკ კერუაკის ლეგენდა კვლავ ცოცხალია. მისი ცნობილი ნაწარმოები "გზაზე", რომელიც 1957 წელს დაიწერა, ცოტა ხნის წინ "თაიმ მაგაზინის" ყველა დროის საუკეთესო ნოველების ასეულში მოხვდა. ეს წიგნი 37 ენაზეა თარგმნილი და წელიწადში საშუალოდ 120 ათასი ეგზემპლარი იყიდება. კერუაკის შემოქმედება წიგნების გარდა მთელს მსოფლიოში აუდიო ჩანაწერების სახითაც ვრცელდება.

მწერალი, რომელიც 1969 წელს 47 წლის ასაკში გარდაიცვალა, "ბიტ თაობის" ხმად მოიაზრებოდა (რა თქმა უნდა, ალენ გინზბერგსა და უილიამ ბეროუზთან ერთად). კერუაკის ზემოთ აღნიშნული ნოველა "გზაზე" მეამბოხე ახალგაზრდების ერთგვარ მანიფესტად იქცა. მწერალმა განსხვავებული მსოფლმხედველობა და ღირებულებები შეიტანა კონფორმისტულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და მათ კონსერვატულ შეხედულებებს აბსოლუტურად ახალი მრწამსი დაუპირისპირა.

აღსანიშნავია, რომ უკვე ორი ათწლეულია, კერუაკის მშობლიურ ქალაქ ლოუელში ყოველწლიურად ტარდება მისი სახელობის ფესტივალი. "ის იყო ადამიანი, რომელმაც ეს პატარა ქალაქი მსოფლიო ლიტერატურულ რუქაზე აღნიშნა, ლოუელის ხსენებაზე, ხალხს მაშინვე კერუაკი ახსენდება", - აცხადებენ მწერლის თანამოქალაქეები.

მომავალი წლის გაზაფხულზე იგეგმება მწერლის სკეტჩების წიგნის გამოცემა. ასევე გადაწყვეტილია დაიბეჭდოს წიგნი, სადაც შევა კერუაკისა და მეორე ბიტ-ლეგენდის, ალენ გინზბერგის ერთმანეთისადმი მიწერილი წერილები.

ჯეკ კერუაკზე და მის მსგავს მწერლებზე დღესაც დიდი მოთხოვნაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც ყოველგვარი ცვლილების და სიახლის ეშინიათ და სადაც ყოველთვის ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც ათწლეულების წინ იყო. აქაური სიახლეც, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ძველის ახლებური ინტერპრეტაციაა (ამის მაგალითს ალბათ მალე ვიხილავთ თავისუფლების მოედანზე).


## ბიზნეს შეხვედრა
## 2005 წლის 18 ნოემბერი

ინდოეთის ფარმაცევტიკის ექსპორტის ხელშემწყობი საბჭოს (რომელიც დაფუძნებულია კომერციული დეპარტამენტის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, ინდოეთის მთავრობის მიერ) დელეგაცია ჩამოდის თბილისში 2005 წლის 18, 19 ნოემბერს. ვიზიტის მიზანია ფარმაცევტულ სექტორში სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და ინვესტიციის შესაძლებლობები. დელეგაციის შემადგენლობაში არიან წამლების, ფარმაცევტული შემადგენლობები, ვეტერინარული, ქირურგიული და მცენარეული პროდუქციის და ა.შ. მწარმოებლები/ექსპორტიორები. საბჭო მოაწყობს ბიზნეს შეხვედრას 11სთ-დან 17სთ-მდე, 2005 წლის 18 ნოემბერს, სასტუმროში "შერატონ მეტეხი პალასი", თელავის ქ. 20, თბილისში. მათი სურვილია ურთიერთობა დაამყარონ ფარმაცევტული პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, დილერებთან.

ბიზნეს შეხვედრაზე შესვლა უფასოა ბიზნესმენებისათვის, რომლებიც მოღვაწეობენ ზემოხსენებულ სექტორებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ქ-ნ თეა ტრაპაიძეს, ინდოეთის საელჩოს წარმომადგენელს საქართველოში, ტელ: 899 195803,

**ელ.ფოსტა:** tea17@rambler.ru, ან ქ-ნ ლილიტ ოგანესიანი, ინდოეთის საელჩო ერევანში, ტელ: 0037410 539173/174/175, ელ.ფოსტა: administration@embassy-ofindia.am





# ეკა და ფეხბურთი

**ეკა კვესიტაძე:** დღევანდელი გადაცემის თემა ქართული ფეხბურთი და ჩვენი ნაკრებისა და ბულგარეთის თამაშია. თამაში, როცა ჩვენმა ნაკრება ორით ექვსი წააგო. გადაცემის სტუმრები არიან ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერი დათო კოვზირიძე და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე. ჩვენმა ნაკრებმა წააგო ორით ექვსი. რა იყო ეს – რეკორდის მოხსნა? რით შეიძლება გავამართლოთ ასეთი შედეგი და რატომ ვერ შეძლო ვერც ერთმა ხელმძღვანელმა მდგომარეობის გამოსწორება?

**გოგი ქავთარაძე**: სამწუხარო რეკორდი დამყარდა დანიასთან, ექვსით ერთი, მაგრამ ასეთი ლაპარაკი არ არის მთლად კორექტული. ეს არის ძალიან დიდი ცვლილებების პერიოდი ფეხბურთში. ასეთ დროს შეიძლება მსგავსი რაღაცები მოხდეს. რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი. რადგან გვყავდა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი და სხვები, გვგონია, რომ ფეხბურთის განვითარების დონით ვუტოლდებით წამყვან ქვეყნებს. სამწუხაროდ, ჩვენი დონე, არა მარტო სანაკრებო, არამედ, საერთოდ, ძალიან დაბალ დონეზეა.

**დათო კოვზირიძე**: ეს იყო ამხანაგური მატჩი. მოტივაცია არის მხოლოდ ის, რომ მთავარმა მწვრთნელმა აღმოაჩინოს გამოსასწორებელი ხარვეზები. ეს დაახლოებით იგივეა, რაც თეატრალური დასისთვის რეპეტიციები. ეს არის მზადების პროცესი, როცა შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც უნდა შეისწავლო მდგომარეობა.

**ეკა კვესიტაძე**: რა არის მთავარი, რომ კარგი ნაკრები ჩამოყალიბდეს, ფინანსები, კარგი მწვრთნელი და კიდევ რა? არის თუ არა საკმარისი ის თანხა, რომელსაც ფედერაცია იღებს და, პირველ რიგში, რაში უნდა დაიხარჯოს ეს თანხა?

**დავით კოვზირიძე**: ვერც ფინანსებში გვაქვს კარგად საქმე. ეს არის ჯაჭვი. თუნდაც იმ ბაზაზე დაიხარჯა მილიონ ექვსასი ათასი, მაგრამ იქაურობა საშინელ დღეშია. რაღაცების გაკეთება მოვასწარით, მაგრამ როდესაც კალაძე ჩამოდის მილანიდან, სადაც ბაზაზე ფარშევანგები დადიან... ასე რომ, ის ფინანსები, რომლებიც გვაქვს, ოპტიმალურად უნდა დაიხარჯოს, უნდა მოხდეს ინვესტირება და ის თანხაც საჭიროებისამებრ განაწილდეს.

**გოგი ქავთარაძე**: საჭიროა მთელი ინფრასტრუქტურა. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დღეშია ქართული ფეხბურთი, მარტივ მაგალითს მოვიტან. არ იფიქროთ, რომ თავს ვიმართლებთ. ფაქტი ფაქტია და ის გულშემატკივარმა უნდა იცოდეს. რა თქმა უნდა, მას პირველ რიგში აინტერესებს შედეგი, ის, თუ რა ანგარიში წერია ტაბლოზე, მაგრამ უნდა ვიმსჯელოთ რეალობის მიხედვით. 16 ნოემბერს იორდანიის ნაკრებთან გვაქვს მატჩი. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს არა აქვს კუთვნილი სავარჯიშო ადგილი. წარმოგიდგენიათ რომელიმე ევროპული ნაკრები, რომელსაც არ ექნება საკუთარი სავარჯიშო მოედანი? ეს საკითხი არ მოგვარდა თავის დროზე, რაშიც ფედერაციაა დამნაშავე. მოედანი გაკეთდა, მაგრამ იქ ვარჯიში შეუძლებელია. ამიტომ დღეს ჩვენს კონტაქტებს ვიყენებთ სხვადასხვა კლუბთან. ხან თბილისის "დინამო" გვაძლევს ვარჯიშის საშუალებას, ხან – თენგიზ სულაქველიძის აკადემია. ეს ერთი პატარა მაგალითია იმისა, თუ რა ცუდ პირობებში ვართ. ჩვენი, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის ის, რომ გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა. არსებული თანხები არ არის საკმარისი, უფრო სწორად, მინიმუმია იმასთან შედარებით, რაც გვჭირდება. ამით მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ. მცირე დაფინანსების დროს თანხის დახარჯვა ძირითადად გვიწევს ნაკრების შეკრებებზე და გუნდის მოძრაობაზე. უნდა მოვიძიოთ ახალი სპონსორები. სხვათა შორის, ბოლო დროს გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო წინადადება. ბევრი კომპანია დაინტერესდა, მაგალითად, კოკა-კოლა, სხვებიც... მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ერთ თვეში გაირკვევა ალბათ ნაკრების გენერალური სპონსორის ვინაობა. ჩემი აზრით, სახელმწოფომ უნდა გააკეთოს ინვესტირება ინფრასტრუქტურაში. ეს ჩვენ უნდა მივუთითოთ მას. ამ ეტაპზე პროექტს ვამუშავებთ. ახლა სახელმწიფოს ძალიან უჭირს, მაგრამ საუბარია მინიმუმზე, რათა ის დაეხმაროს ქართულ ფეხბურთს.

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ ალან ჟირესის წასვლას, თვლით თუ არა, რომ ფედერაციამ შეცდომა დაუშვა მასთან მიმართებაში?

**დავით კოვზირიძე**: ფედერაციას არავითარი შეცდომა არ დაუშვია, თუნდაც იმიტომ, რომ ჟირესის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა შვიდი მატჩი ჩაატარა და ხუთი ქულა დააგროვა. ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა. უკვე გაიოზ დარსაძის ხელმძღვანელობით დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ისევ ხუთი ქულა მივიღეთ, მაგრამ ეს ქულები სატურნირო ცხრილის მიხედვით არ გვჭირდებოდა. მარტო ამ მშრალი სტატისტიკიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ალან ჟირესი არ არის იმ დონის მწვრთნელი, რომელიც ჩვენს ნაკრებს ააყვავებს.

**გოგი ქავთარაძე**: გაიოზ დარსაძე არის ძალიან კვალიფიციური სპეციალისტი, ძალიან ძლიერი თეორეტიკოსი, პრაქტიკაშიც ჰქონდა საკმაო წარმატებები. თქმა იმისა, რომ გაიოზ დარსაძე არ გვინდა და ჩამოვიყვანოთ უცხოელი მწვრთნელი, ადვილია. კი ბატონო, მთავარია რა დონის მწვრთნელს ვითხოვთ? ჟირესის დონის მწვრთნელის ჩამოყვანას არანაირი აზრი არ ექნება. ეს ვერ მოხდენს ქართულ სანაკრებო ფეხბურთში რევოლუციას. თუ გვინდა უკეთესი, მაშინ გვჭირდება დაახლოებით ორი მილიონი ევრო. მე მესმის გულშემატკივართა აღშფოთება, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ ერთი და ორი წლის შემდეგ მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩეს.

**ეკა კვესიტაძე**: დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრა ნაკრების წარმატებებით იქნება გამოწვეული, მის გულშემატკივარს კი აღშფოთების საფუძველი აღარ ექნება.




# „განვითარების სახლის" კარი გაიღო

*"განვითარების სახლი" - ასე ჰქვია ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, ფონდი "კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის" (CTC) ახალ ოფისს, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა. ცენტრის მიზანია, განვითარების სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა დამკვიდრებაში დაეხმაროს.*



ირმა კახურაშვილი

ახალი ოფისი სადისკუსიო ფორუმის ფუნქციას შეითავსებს. ორსართულიანი, კეთილმოწყობილი შენობის პროფესიულად აღჭურვილი აუდიტორიები, რომლებიც კომფორტულ გარემოს ქმნის, ძალზე მოხერხებულია კონფერენციების, ტრენინგებისა და საქმიანი შეხვედრების ჩასატარებლად.

ცენტრის განსაკუთრებული ინტერესის სფერო საქართველოს სახელმწიფო სექტორში პროფესიული განვითარების პოლიტიკა, პროგრამების დაგეგმვის ჩვევების დამკვიდრება, სკოლების მენეჯმენტის სწავლება და სხვაა.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ირინა ხანთაძის განცხადებით, ცენტრი მზადაა მოემსახუროს პროფესიონალიზმის ამაღლების მსურველებს, აგრეთვე, მათ, ვისაც თანამოაზრეებსა და ოპონენტებთან კონსტრუქციული დიალოგის გამართვა სურს. "დარწმუნებული ვარ, ამ ლამაზ სახლში ტრენინგების გავლას ბევრი მოინდომებს. განათლების დონე ყველამ ერთად უნდა ავიმაღლოთ. ჩვენი სახელმწიფოს ძალაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და ეფექტურად შევძლებთ ინოვაციების ათვისებას," – განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა, მეცნიერებისა და განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ფოტოკონკურსმა - "მრავალფეროვნება, როგორც ღირებულება" – გამარჯვებულებიც გამოავლინა. დაჯილდოვების საპატიო მისია ლევან ბერძენიშვილს ერგო. ორი პირველი ადგილი მარიკა ასათიანმა და დავით ქავთარაძემ, მეორე კი თამარ ქოთელაიძემ მოიპოვა. ფოტოკონკურსის განზოგადებული სათაურიდან (შესაბამისად, თავისუფალი თემიდანაც) გამომდინარე, გამოფენა მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. 30 საუკეთესო ნამუშევართა ავტორებში "24 საათის" ფოტოკორესპონდენტები ბესო გულაშვილი და ვახო ბესელიაც მოხვდნენ. საინტერესოა, რომ გამოფენილ ფოტოებში სოციალური თემატიკა ჭარბობდა. მცირე ხანში კი ოფისის ეზოში მოქანდაკე ზურაბ კუპრაძის სკულპტურული კომპოზიციაც გაიხსნა. ცენტრის ხელმძღვანელობამ მისთვის სახელის შერჩევა სტუმრებს შესთავაზა, თუმცა სკულპტურის ავტორის აბსტრაქციონალიზმმა სტუმრები საგონებელში ჩააგდო.

ცენტრში მთელი კვირის განმავლობაში გაიმართება შეხვედრები თემაზე - ზრდასრულთა განათლება, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ორგანიზაციები, პოლიტიკის ფორმირების პროცესი და სხვა.